



ISSN 0132-1307

საბჭოთა სელოვნება

1981

8



შპრნალი ბამომის
1921 წლიდან

8 / 1981

სსსკოტა სელოვსება


საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
სოციალური შპრნალი

შინაარსი

თეატრის საუკუნოვანი ბზა	2
ვახტანგ ბერიძე — პარტული ხელოვანება შუა საუკუნეებში	12
გიორგი ვეხაზია — ფიმიტრი მარსტავი — კინოხატვარი	20
ნეკო ლეონიძე — ბელუბაღაკავა თუ ვიდეოფილმი?	24
თეიმურაზ ბერიძე — კველი თბილისი	31
ნინო ნატროშვილი — ბიკა მუხარბია	38
ლილი ლომთაძიძე — ირაკლი ბაგრატიანი	44
გივი შორდანი — სანახათო მახინჯი	52
ეთერ დავითაია — ბათონა კინინაძე	60
ზურაბ სარჯველაძე — სასწაულებრივ ბაღარბაძე	66
გიორგი სვირიდიანი — ფილმი ბაგრატიანი კომპოზიტორმა	72
ინესა კონაძე — პარტული საბოტაჟი დეკლარაციის სათავეებთან	73
ლია ჭიჭია — შემოქმედებითი აქტიუობა, როგორც ალბანის სულიერი მოღვაწეობის ერთ-ერთი ფორმა	77
ვახტანგ ჩალიაშვილი — ჯანხის ისტორიკოსი	80
ეკვანი ბარათია — ქვანთაძის ტაძარი და მისი სარეწარმოება	87
პეტრე გიქოშვილი — უღმის ისტორიკოსი	91
მარკ ზღატიანი — წიგნი და მხატვარი	93
ნიკოლოზ მაკიაველი — მთავარი	97
გულნარა ქარხალაშვილი — ფონიტიანი ხელოვნების სამსახურში	107
ფრიდრიხ ვალდემარ იოზეფ შელინგი — ხელოვნების ფილოსოფია (შესავალი წერილი ე. გიორგაძისა)	109
კრედიტა	116

თეატრი შინაარსი მხატვრობა კინო საბოტაჟი სოციალური

მთავარი რედაქტორი
თამაზ ვილხაძე
სარედაქციო კოლეგია:
პაპია ბაგრაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ნოდარ გავრია,
ჯუმაბეგ თითქარია
(პასუხისმგებელი გვიანში),
განთილი კინაძე,
ნოდარ გულაშვილი,
ზურაბ ნიქარია,
გივი მარგარიტიანი,
ნათელა შარვაშიძე,
რევაზ ჩხიშიძე,
ანტონ ფულუკიაძე,
ნიკო ვაჟაშვილი,
ნოდარ ჯანაშია



ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის შენობა

თეატრის საუკუნოვანი გზა

ბათუმის თეატრის წარსული და ღღვანადელოვა

ჩვენ ხალხი ზემოთ აღნიშნავს ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის 100 წლის თავს, ამასთან დაკავშირებით, ეურნალმა „საბჭოთა ხელოვნებამ“ ბათუმში გამართა საუბარი მრგვალ მაგიდასთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თეატრის დირექტორმა ლევან ღღვანდამ, მთავარმა რეჟისორმა გურამ აბასაძემ, აკადრის ასსრ მწერალთა კავშირის განყოფილების მდივანმა პოეტმა შირინ ხალვაშვამ,

დრამატურგმა ალექსანდრე ჩხანიძემ, ბათუმის თეატრის მთავარმა მხატვარმა ანდრე შილიაშვილმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტებმა იური ცანკაპაძემ, მგელაძემ, ხასან მებრეღიძემ, ნაზი კეკელიძემ, ნათელა წამბეშვილმა, მახიოხებმა სერგო ბატიყაშვილმა, ჯურაბ შილაშვილმა, ლეონი ჯიბლაძემ, შირინა ბაქანიძემ.

რედაქციის თხოვნით, საუბარს წარმოართავდა თეატრ-მცოდნე ნანა ღღვანდამი.

ნანა ლეონიძე: —

...ჩვენ ჩვენს სენსას იო ლეონას ესთხოვთ. პირველი — რომ მართლა განმწმენდლო იყოს ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენი კულისა და გულის განმანაწლებელი და მწვრთნელი. და მეორე — იგი უნდა იქნას იმ ადვილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შევნებითა და სიმდიდრითა — ამას ამბობდა ის აღმზანი, რომლის სახელიც დაენათლა ბათუმის თეატრს და რომელსაც მიაჩნდა თეატრი მწერლობის ქადაგებამოდგერების ტრიბუნად, ზნეობის ამამალებელ ასპარეზად, სკოლად.

— გაბედული ვიტყვი — ჩვენში დიდებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართულ თეატრს, როგორც პატარებისთვის სკოლასო, — თითქოს აქვე ზის და საუბრობს ჩვენთან ერთად თეატრის უზენაეს როლზე დიდი ილია.

— ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდო, — უნდა. აკი ჩაუდგა კიდევ სათავეში აკაცი წერეთელთან ერთად ქართული პროფესიული თეატრის აღდგენის საქმეს, რაც 1879 წელს აღსრულდა.

დაუვეკრდეთ ამ ფაქტს: 1879 წელი პროფესიული ქართული თეატრის აღდგენის თარიღიცა და ბათუმში პირველი ქართული წარმოდგენის დადგმის წელიც. შემთხვევითი როდია ეს წლის მოზიარებობა: ის იყო აპარამ თავი დასხნა ოსმალეთის სამსწლოვანი ბატონობისაგან და დახასც, შველა, გათავისუფლება ეწადა დედა ენასაც, აქამდე მიჩქარებულა და შეღახულს. ეს დიდი შისია დაეკისრა სკოლასაც, რომლის დაარსების ასი წლისთავი წელთა იხეიშეს აპარამო.

დედაქართულიდან დიდიხნით მოწყვეტილ და დანატრებულ აპარას ესპირობობდა ძმის მზარდაკერა, ძმის ძმობა და ერის მოძღვართა მამა-შვილური სიტყვა და მზრუნველობა.

ამ მხრეც ახლადგანთავისუფლებული მხარის უბირველესი ჭირისუფალი იყვნენ ილია კუპეკაძე, აკაცი წერეთელი, დავით კლიაშვილი, რომელიც ამბობდა: უარესად მიინტერესე ვარ, რაც დღეს ჩვენს ცხოვრებაში ხდება. თვალს ვდევნივებ, ვაძლევ ანგარიშს და ვმსჯელობ გულახდილად, დაუმაჯავად...

მის თვალწინ იშვა და აღორძინდა ბათუმში თეატრალური ხელოვნება, რამიც დიდი წვლილი მიუძღოდა სწორედ ახლად აღდგენილი ქართული თეატრის დასს.

უნდენ მიმავალ ცხოვრებას ასიცოცხლებდნენ ხანდახან ქართველი არტისტები, ისინი ჩამოდიოდნენ უფრო ზღვებულობით, მაშინ ბათუმში თეატრი არ იყო. წარმოდგენები იმართებოდა სამოქალაქო სასწავლებლის ეზოში მდგარ ერთ პატარა შენობაში, სადაც იყო მოწყობილი სენა. ასიოდ მყურებელი თუ დატეხილი...

...ამ სახელდახელო სეცენაზე თამაშობდნენ მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, ლადო მესხი-შვილი, ალექსანდრე ყაზბეგი.

— ვის არ გამოაღვიძებდ ლამაზი, ცქრიალა, საუფრო კოლოზე მოლაპარაკე საფაროვა-აბაშიძისა, ან

ნატოს თამაში — სიმღერა, ვასო აბაშიძის კუბუტეტი, ლადო მესხი-შვილის შეხედვა და მოსმენა...

და აკი გამოაღვიძა კიდევ! ვთხოვთ ნატონ ლევანს: ვეესაუბროს თეატრის წარსულზე, ლევანდელ დღეზე, გემგებზე.

ბათუმის ი. კუპეკაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი ლეონა ლეონიძე: პირველი ქართული წარმოდგენა ბათუმში გაიმართა 1879 წელს ქეთევან ეურელის თათნობით. სცენამოყვარულთა დასმა მაყურებელს უჩვენა ზ. ანტონოვის პიესა „განა ბიძია კოლი შერთო?“ მოყოლოვანი იმ ღირსშესანიშნავი დღიდან ბათუმში თეატრალური ცხოვრება და უფრო ფართო მასშტაბს ღებულთა. ამ სახეობის დიდი წვლილი შეიტანა ჩვენმა გამოჩინულმა მწერალმა დავით კლიაშვილმა. ბათუმი გადაიქცა საქართველოს ერთ-ერთ თეატრალურ ქალაქად. ამიტომაც გაშალეს ბათუმში ფართო თეატრალური მოღვაწეობა ჩვენმა სახელმწიფოვკვილობა მწერლებმა და რეჟისორებმა შლვა დადიანმა, აკაცი ფლავამ, ალექსანდრე წუწუნავამ, მიხეილ ქორეღამ და სხვებმა. განსაკუთრებით დიდა ბათუმის თეატრალური ცხოვრების აღორძინების საქმეში კოტე მარჯანიშვილის წვლილი, მან დააარსა ქუთაის-ბათუმის თეატრი და ამით მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ბათუმის თეატრალური ცხოვრების შემდგომ განვითარებას.

ი. კუპეკაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის უწყვეტი და ნამდვილი განვითარება იწყება 1937 წლიდან, როცა სანდრო ახმეტაიის თათნობით აპარადან წარგზავნილმა ახლავარდებმა რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებული სტუდია დაამთავრეს და მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდნენ. სწორედ მაით მონაწილეობით დადგა დიმიტრი ალექსიძემ 1937 წელს გიორგი მიცივის პიესა „ბრმა“ და ვოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“. აი, ამ წლიდან იწყებს ბათუმის თეატრი აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას და მას შემდგომ მიმდევნოვანი წვლილი შეიტანს ქართული თეატრალური კულტურის განვითარებაში. ჩვენ ვამბობთ იმით, რომ აბამიანზე, რომელთა 1937 წელს საფუძველი ჩაუყარეს ბათუმის საბჭოთა თეატრს, დღესაც ჩვენს გვერდით მოღვაწეობენ. დიდად ვწუხვართ რომ დღეს ჩვენს შორის აღარ არის ბათუმის თეატრის ერთ-ერთი ბურჯი, დიდი ხელოვანი იესუფ კობალაძე, რომელმაც უღრმად კოლორიტული და დასამახსოვრებელი სახეები შექმნა ბათუმის თეატრის სცენაზე. დიდი დანაკლისა ბათუმის თეატრის მოამბავის არჩილ ჩხარტიშვილის არყოფნა, აქ მის მიერ დადგმული არაერთი სპექტაკლი, ხანსაკუთრებით კი „მოკვეთილი“ და „ოკი-ლიპის მეფე“, რომ დიდად გახამურდა. მაგარამ კვლავ აქტიურად მოღვაწეობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ბ. ხინიაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ბ. მეგრეთელი, გ. ახვლედიანი, ა. მგვალიძე, ნ. კუპეკაძე ნ. თეთრაძე ნ. წერეთელი, მ. შერვაში-



ძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ს. თურმანიძე.

ჩვენს თეატრს ახალგაზრდებთან მუშაობის კარგი ტრადიცია აქვს და ამ მხრივ ერთ-ერთი წყაყენი ადგილი რეჟისორს უკავია. თეატრალური ინსტიტუტის დაბრუნების შემდეგ ჩვენთან კარგაახლა მუშაობდნენ რეჟისორები გიორგი ყორანაძე, თემო აბაშიძე, გოგი ქავთარაძე, ლალი ნიკოლაძე და სხვები. მათ არაერთი საინტერესო სიტყვა უთქვამთ ჩვენი მსაყურებისათვის თავიანთი სასაუბროებით, მასშტაბურობა მიუჩინებთ ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივისათვის. თემო აბაშიძის ჩვენს თეატრში მუშაობას დაემთხვა თეატრის გასტროლები მოსკოვში, იმავე ხანებში მივიღეთ მონაწილეობა რიგში გამართულ საკავშირო ფესტივალში.

როდესაც ახალგაზრდობაზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ ჩვენი თეატრის კიდევ ერთი კარგი ტრადიცია — ხშირია შემთხვევა, როცა სკოლადაბრუნებული ახალგაზრდა მოდის ჩვენთან, მთელ თავის მომავალს თეატრს უკავშირებს. ამისი თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს დამსახურებული არტისტის იური ცანავას და აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის არსულა კაკაურიძის ცხოვრება. სრულად ჭბამუქებმა შემოდგეს ფეხი თეატრში, დღეს კი წყაყენი მსახიობები არიან.

უქანსკრული ოთხი წელი ჩვენი თეატრისათვის ერთგვარად ტრაგიკულიც კი აღმოჩნდა. გამოგვალდნენ ისეთი თვალსაჩინო ადამიანები, როგორც იყვნენ ი. კობლაძე, შ. ინაძაძე, დევწმომოსი რეჟისორი, რომელმაც ორმოცდახუთი წელი იმუშავა თეატრში, საქართველოს დამსახურებული არტისტი ლ. აფხაზავა, შ. გეჭაძე, გ. ინიანიშვილი.

ეს, ცხადია, ძალიან მტკივნეულია, მაგრამ თეატრი ცოცხალ ორგანიზმია და ხდება თაობათა ცვლა, მოდის ახალგაზრდობა.

ბოლო წლებში ჩვენ საგასტროლო ვიყავით თბილისსა და ქუთაისში. ეს იყო ჩვენი თეატრის საიუბილეო გასტროლები, თუმცა ოუბლე ვერ ვერ ჩავატარეთ. ამჟამად კი საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბათუმის თეატრის 100 წლის თავის მალე ვიხიბებთ. ამ მხრივ გარკვეული მუშაობა უკვე ჩატარდა, უპირველეს ყოვლისა, ოცდაათი მსახიობზე გამოცხად ბიულეტენები და გამოცემა ძალიან კარგად, ოსსახალბო მსახიობზე დაიბეჭდა მონოგრაფია, დაემატაღვე საიუბილეო სამკერფე ნიშნები და თეატრის მუზეუმსაც გაგამდიდრებთ 500-მდე ფოტოსურათით.

რადგან ზემოთ ჩვენს გასტროლებზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სიამოვნებით აღვნიშნო, რომ ბოლო გასტროლების დროს თბილისში ცხადდ ვივარძინეთ პრესის, ტელევიზიისა და რადიოს დაინტერესებულ ჩვენი სასაუბროებით. არ დარჩენილა არცერთი რესპუბლიკური გაზეთი, რომელსაც რეცენზია არ გამოქვეყნებინა, დიდი პატივი დაგვძლ საქართველოს ტელევიზიამ, გადაიღო ჩვენი სასაუბროები, რადიოკომიტეტმა კი თითქმის ყველა სასაუბრო ჩაიწერა და გადმოსცა.

ნანს ლმინწამდ: — როგორ გესხებნათ თეატრის სადღესი ამოცანა, როგორ ეპასუხებით მიწვევლოვან მოვლენებს, როგორი რიტმი ცხოვრობთ?

ლმინს ლმინტი — როგორც მოგვხსენებთ, თეატ-

რი ცხოვრების თანადროული ხელოვნებაა და ჩვენც ფხვადფხვ მიყვებით ცხოვრებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მიუხედავად სპექტაკლი „მესამე თაობა“ ვერისტურ გერმანიიზე გამართვის 35 წლისთავს — „ტრაბუნალო“, ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავს — „რღვევა“. ამ სპექტაკლის განახლება იმტომამა საინტერესოა, რომ იგი ქართულად პირველად სწორედ ჩვენს თეატრში დაიდგა, და, თუ არ ცდებები, 1928 წელს. რუსთაველის თეატრში „რღვევა“ ერთი თვის შემდეგ დადგეს.

ზაგშთა წელს მიუხედავად სპექტაკლი „ნაკარქეკია“. ახლა კი მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმ საკუბროლოტ საკითხებზე, ჩვენს წინაშე რომ დგას. დღეს ჩვენი უპირველესი სასრუნავია თეატრისათვის შესავფირი მატერიალური-ტექნიკური ბაზის შექმნა. ორი წელია ლაპარაკია ჩვენი შრომის კაპიტალურ რემონტზე და ახლა გავიბრდებიან, როგორც კი თეატრის 100 წლისთავს გადავიხლით, მაშინვე შეუდგებით ამ საკითხის მოგვარებასო. დღესდღეობით ავტოტელევიზიის სცენის მიქმნა-ცია. ვანათვის მთელი სიტუების გამოცვლა და საგრი-მორობებისა და სარეპეტიციო დარბაზის გაფართოება. ამ ციტა ხნის წინათ ჩვენთან გაიხსნა მუსიკალურ-პორეგრაფიული საზოგადოების კომბინატი, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს ანსამბლებსა და თეიმომქმედ კოლექტივებს შესანიშნავი კონტინუებით ამარავებს. კარგი იქნება, თუ ეს საკითხი ამგვარად გადაწყდება სახელმწიფო დრამატული თეატრებისათვისაც.

რაც შეეხება რიტმს, ძალიან დიღია ახალი სპექტაკლების გამოშვების გეგმა (საერთო ჯამში სეზონის მანძილზე შეიღ სპექტაკლი). რაც დასი დაკომპლექტებულბა სულ რაღაც ორმოცი-ორმოცდაოთხი მსახიობით, ძნელდება პარალელური სპექტაკლების მომზადება და ხშირად ვეგმის შესრულება საფრთხის წინაშეა. ჩვენი არა-ფერთი არ შეგვიძლია არ მოვამზადოთ პარალელური სპექტაკლები, რადგან ვემსახურებთი მალაღმობიანი რაინებლს, სოფლებს, დაგეგმილია ოცდაათი ვასკლით წარმოადგენა და სწორედ ეს ართულბეს მდგომარეობას.

გარდა ამისა, როცა სოფელში ვავდივართ, ვერ ვიხიბებთ დიდი გაბარტიანი სპექტაკლის წალებსა, უნდა შევარჩიოთ მკორეგაბარტიანი სპექტაკლი რასაც რეპერტუარში გაურკვევლობა. არუელ-დარუელობა შეაქვს და ამ მხრივაც ბევრ წინააღმდეგობას ვაწყდებთ.

ეს პირად ჩემი აზრია, მაგრამ მე აუცილებლობად მიმაჩნია რესპუბლიკის მასშტაბით რეჟისორების უფრო ინტენსიური მოძრაობა, რა მოხდებია, რომ ბათუმისად რეჟისორი ჩავიდეს თბილისში და იქ დადგას სპექტაკლი, თბილისელი რეჟისორი კი ჩამოვიდეს ბათუმში და იმუშაოს ჩვენს მსახიობებთან, შემდეგ გადავიდეს ქუთაისში, ქუთაისიდან სოხუმში და ასე შემდეგ. მართალია, ჩვენი ჩვენი რეჟისორები გვეყავს, მაგრამ დასი როგორღაც იჩევევა მათ. ახალი რეჟისორის ჩამოსვლა თეატრში ისევე აუცილებელია, როგორც თეატრის საგასტროლო გამგზავრება, მართლაც და, განა შეიძლება ისეთ ქალაქებში როგორცაა ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, თელავი ხუთი წლის მანძილზე ადგილად ფეხმოუდებლად ემსახურო მსაყურებულს ერთი და იმავე შემადგენლო-



ბის დასით და თვის არ მოაბეზრო? ხლოთ თუ თეატრი მთელ სეზონს იმუშავებს მშობლიურ ქალაქში, შემდეგ ერთი ან ორი თვით საავსტრალიოდ გაემგზავრება და ამ ქალაქში სხვა თეატრი ჩამოვა, თეატრალური ცხოვრება როგორღაც გადაახლისდება, მაყურებელი ნახავს რაღაც ახალს. უჩვეულოდ, სხვა მსახიბის, შესრულების სხვა სტილს და მეტ ინტერესს გამოიჩენს თეატრალური ხელოვნებადმი. ასევე, მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობს მსახიბიც, რომელიც თანამაყურებელს წარუდგება, ეცდება უკეთ ითამაშოს, შთაბეჭდილება მოახდინოს მასზე. ამას წინათ ჩვენს ქალაქში საავსტრალიოდ იყო მარკანშვილის თეატრი და ბათუმელმა მაყურებელმა მის მიმართ დიდი ინტერესი და უფრადლება გამოიჩინა. ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია ქუთაისის თეატრის ვასტრალურებმაც. ახლანაკი რედაქციის სოხუმის ქართული თეატრის გასტროლები და ტექნე თეთონა ხართ მოწე, რა მსურველ ეტაშით დააჩილდოვა მაყურებელმა ჩვენი სოხუმელი კოლეგები. ქალაქს, ეტყობა, ენტრება სხვა თეატრალური კოლექტივის ნახვა და ეს საკითხი უნდა მოგვარდეს. ეს მილიანად ეხება, რა თქმა უნდა, რეჟისორების გაეკლა-გამოცვალასაც.

მე მივესალმები იმ ამბავს, რომ აჭარაში ჩამოყალიბდა თეატრალური საზოგადოება. ეს საზოგადოება უკვე შეუდგა მუშაობას, ეწყობა შეხვედრები, განხილვები, გვეხმარება როგორც ჩვენ, ასევე სახალხო თეატრებს. ბათუმში განსაკუთრებით კარგად ტარდება ბავშვთა თეატრალური კვრეული. ჩვენი თეატრი ყოველწლიურად ფართოდ უღებს ბავშვებს თავის კარს. წელს ბავშვები რეპერტოვსაც დავასწარიოთ, გავაცანით როგორ მზადდება დეკორაციები სპექტაკლისათვის, დავუშოთ სცენა, სადაც ითამაშეს ნაწყვეტები თავიანთი სპექტაკლებიდან.

სულ ახლანაკი ძალიან კარგი საქმე გაკეთდა, ბათუმში გაიხსნა თოჯინების თეატრი, ამ თეატრს განათლების მუშაობა სახში გამოეყო შერბა. პირველი სპექტაკლი მომზადდა თბილისში, სადაც მივლინებული იყვნენ ჩვენი მსახიბოები. სპექტაკლის მომზადებას ხელმძღვანელობდა თბილისის თოჯინების თეატრის მთავარი რეჟისორი გივი სარჩიშვილიც. თოჯინების თეატრის გახსნა დიდ დამარბებს გავწვევს — თეატრის გეგმა ისე იყო გადტვირთული, რომ ყოველთვის ვერ ვახერხებდით პატარბისათვის შესაფერის სპექტაკლის მომზადლებას. მხედველობაში მყავს საბავშვო ბაღებისა და მეორე-მესამე კლასების აღსაზრდლები და რადგან მომავალი მაყურებლები სწორედ ისინი არიან და მათ სწორად შერჩეული მასალა უნდა მივაწოდოთ, აი, ამასი დიდად დაგვეხმარება თოჯინების თეატრი. ამ თეატრში მსახიბობები ჩვენგანაც გადავიდნენ და ვცდილობთ ახალდაარსებულ თეატრს ყველა დამხმარება აღმოუჭინოთ, რაზეც კი ხელი მიგვწევდება.

ჩვენი ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ვასტრალ სპექტაკლებს, რადგან ადამიანებს, რომლებიც თვადლებულად შრომობენ და პირნათლად იხიდან ვალს სამშობლოსა და პარტიის წინაშე, სულიერი საზრდოც სწორდებოთ და თეატრი, ისევე როგორც მწერლობა, როგორც ხელოვნებას ყველა სხვა დარგი, ვადრდებოდა კეთილინდობიერად მოვესახტროს შრომული ადამიანს.

როგორც ეტყვი, სეზონში დაგეგმილია ოცდაათი სპექტაკლი, ვემსახტრებით ზღოლს, ქედნს-მეხმარების, ხელნაჭურისა და ქობულეთის რაიონებს. ჩვენთავე ყველაზე მძიმე ტრანსპორტის პრობლემა, უფრო სწორად, ავტობუსებისა. არ ვიცი, ვისი შემოღებლია ეს წესი, მაგრამ თეატრს ყოველთვის რატომღაც „უშუბანის“ მარკის ავტობუსებს გამოუყოფენ ხოლმე. ამ ავტობუსებში არავითარ არ არის გათვალისწინებული თეატრალური კოლექტივის განბარბოვი შეზარბისობისთვის, ზამთარში ვიყინებდი, ზაფხულში კი სიცხით ვიხრჩობოდი. ეს საკითხი ჩვენ ხშირად დავცინავს ზემდგომი ორგანობების წინაშე, მა, იმედია, ბოლოს და ბოლოს, გვევარდება, ვაყინულ ან სიცხისაგან მოსავათებულ მსახიბებს, მას შემდგ, რაც 40 კილომეტრს ვავილს, როგორ უნდა ჰქონდეს იმის განწყობლება, რომ მაყურებლის წინაშე წარსდგეს?

მეორე საკურობოროტო პრობლემა ისაა, რომ იშვიათია საქართველოში კლუბები და კულტურის სახლები, სადაც სცენა ვთვალისწინებულია სპექტაკლების აღსადგემლად. შესანიშნავი დარბაზი, შესანიშნავია სავარძლები, მაგრამ სცენაზე ვახვალ და ვერც „ჩვიტს“ იოვი, ვერც ევლისებს, ვანათებაზე ხომ ლაბარაკი უგდმეტია. არ ვიცი რატომ ბუნდა ეს, ამდენი თანხა იხარჯება და სცენა სრულიად მოუწყობილა.

სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად გვხვდებიან. უფვართ თეატრი, მოუთმენლად და ვსკლებსა და ჩვენს ყოველთვის ცვდილობთ, რომ ამ საქმეს პასუხისმგებლობით მოვეკილოთ.

ნანა ლევიწვამძე: — ბატონო გურამ, ტექნე უკვე კარგახანია დამკვიდრდით ბათუმის თეატრში, შეეჩვიეთ, შეიყვარეთ, ტექნეებურად გაწერეთნით და ადვილად აიყოლიეთ დასი; გაქეთ ტექნიე საყვარელი (და ამდენად მაყურებლისათვისაც საყვარელი) სპექტაკლები, გავთე ტექნიე საყვარელი მსახიბობები, რომელთა მეოხებით არავითარ საინტერესო სცენური ჩანაფიქრი განახორციელოთ. რას გვეტყვით სარეპერტურა გეგმებზე, ქართველ და კერბოდ, ადგილობრივ დრამატურგებთან თანაშემოქმედებაზე, ბათუმში ხომ არავითარ ნიქიერი მწერლის სამშობლობა.

ბათუმის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი ბებრბე ბბმსამძე: — მე მხოლოდ იმაზე მინდა ვილაპარაკო, თუ რა სახალეებია დღემდე თეატრში დანერგული და რა სახალეების დანერგვას ვაპირებთ მომავალში. ბატონმა ლევანმა აქ ნაწილობრივ ვიამოთ ჩვენი თეატრის ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე, დავსძენ მხოლოდ იმას, ჩვენს თეატრში ამეამად მუშაობენ სხვადასხვა ასაკის, თაობის, სხვადასხვა სკოლაგაციოლი მსახიბობები. ამას წინათ კი ჩვენ თეატრს შეემატნენ ახალ-კურსდამთავრებულები. ამ ასეთია შემადგენლობის თვალსაზრისით ჩვენი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი. მათ შორის, რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, რომ ისეთივე თავიანთი ოსტატობის ზენიტს მიაღწიეს და ისეთებიც, რომლებიც ახლა იწყებენ დასუტყვებას. მაგრამ შემოქმედებითი კოლექტივის პირთუა აქტიური და ჩანსადაც და თითქმის ყველა მსახიბის თანაშემოც ისპექტაკლებში, ბათუმის თეატრს რომ აქვს რეპერტურაში. ყველადათვის ცხადია, რომ ქართული თეატრის ზრდა



და გამართობა ყოვლად შეუძლებელია ქართული და ამატურების, ქართული ლიტერატურის გარეშე. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ დავდგათ ხოლომე ქართული დრამატურება ნაწარმოებები და ამას ვაღწევთ კიდეც. საქართველოში ცოტა მოიძებნება ქართველი ავტორის მიერ ქართული ხალხის ცხოვრებაზე დაწერილი პიესა, რომელიც ჩვენი თეატრის სცენაზე არ განხორციელდებოდა. უფრო მეტიც, ხშირად სწორედ ჩვენთან იდგება პირველი ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოები და სხვა თეატრები მხოლოდ შემდეგ იწყებენ მათ განხორციელებას. მაგალითისათვის დავასახელებთ თ. ჭიკაბის, ლ. თაბუკაშვილის, გ. მამულაშვილის, გ. ია-თაშვილის და სხვათა ნაწარმოებებს. როგორც კი საქართველოში გამოჩნდება ახალი ქართული დრამატული ნაწარმოები, ქართველი ხალხის საკუთრივობა პობაღვებებს რომ ეხება, ჩვენ ვცდილობთ სწორედ ასეთი პიესა დავდგათ სხვაზე აღრე.

აქ განსაკუთრებით მინდა შეგხერდე ა. ჩხაიძეზე, რადგან იგი ჩვენი ქალაქის მკვიდრია, ჩვენთან ყოველთვის ახლო იდგა და თუ ახლა იგი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პოპულარული დრამატურგია, მის აღმოჩენაში ჩვენც მიგვიძღვის წვლილი, რადგან ამის პიესები პირველად სწორედ ჩვენს თეატრში იდგებოდა.

ჩვენი თეატრის შემოქმედებით კოლექტივს შესწევს იმის უნარი, განახორციელოს უაღრესად რთული, აქტიური და თანამედროვე ნაწარმოებები, სწორედ ისეთი პიესები, მაყურებელს რომ აღუღებს და საკუთარი სულის სარკეში ახედებს.

ერთი კია, ამ ბოლო დროს ვალში ვართ ქართული კლასიკის წინაშე, რასაც უფროდ გამოვასწორებთ. ასევე ნაკლებადა ჩვენ რეპერტუარში რუსული და დასავლეთ ევროპის კლასიკა, მაგრამ სულ მალე მოეწყობა საკავშირო ფესტივალი, სადაც თეატრებმა უნდა წარადგინონ ერთი ან ორი რუსული კლასიკური ნაწარმოების ნიმუში ან დასავლეთ ევროპის ერთი კლასიკური ნაწარმოები. ეს იქნება საოცრად დიდი კონკურსი, რომელიც ჩატარდება სამ ეტაბად და გამარჯვებული სპექტაკლები მოსკოვში იქნებიან მიწვეული. ამ ფესტივალში ჩვენც ვაპირებთ მონაწილეობის მიღებას.

უნდა მოვასწინოთ, რომ ჩვენს შემოქმედებით კოლექტივს შესწევს იმისი ძალა და უნარი, რომ მონაწილეობა მიიღოს ყველა ფესტივალსა და თეატრალურ ღონისძიებაში, რომლებსაც ატარებენ საკავშირო და რესპუბლიკური კულტურის სამინისტროები და თეატრალური საზოგადოებები. ამ მხრივ ჩვენ წარსულში საკმაოდ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეთ.

როგორც აქ უკვე ითქვა, ახლანდელ კოლექტივს შეემატება ახლავარდა მსახიობები, ისინი უკვე მონაწილეობენ სპექტაკლებში და თავიანთ სიტყვას ამბობენ. მაგრამ მე, როგორც თეატრის ხელმძღვანელს, ერთი რამ მაშფოთობს. შეგარჩიეთ და შევადგინეთ გარკვეული ჯგუფი, რომელიც ვაგზავნეთ სასწავლებლად თეატრალურ ინსტიტუტში. ჯგუფში შედიოდა თოთხმეტი აბიტურიენტი. უკან კი მხოლოდ ექვსი დაგვიშენდა. ამ საკითხზე ჩვენ უკვე ვაპრობდა საუბარი, თუ ისინი მსახიობებად არ ივარგებდნენ არც უნდა მიეღოთ ინსტიტუტში. არადა, არ ხდება, ჩვენი ვაგზავნილები გადადიან სხვადასხვა ფაკულტეტზე.

ხე. ყველა თეატრს კი თავისი გეგმა აქვს. როცა თეატრი ჩვეულებრივ ავხანის სასწავლებლად, იგი არ უნდა დასრულდეს, სტუდენტს უფლება არ უნდა ჰქონდეს მოეწყოს სხვა თეატრში, რადგან იგი ერთმა კონკრეტულმა თეატრმა ვაგზავს სასწავლებლად ჩვენი ავტონომიური სპექტაკლის ლიმიტით და ამიტომ უნდა დაბრუნდნენ თავიანთ თეატრში, გარკვეული წლები იმუშაონ აქ და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიეცეთ უფლება სხვაგან გადასვლისა. სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება. ეტყობა, თეატრალური ინსტიტუტი და მისი ხელმძღვანელები არ იცევენ კანონს, რომელიც თვალისწინებს იმას, რომ უსრდამთავრებულმა სამი წელიწადი მაინც უნდა იმუშაოს სასწავლებლად მის წარმგზავნელ თეატრში.

მინდა შევეხი ერთ საკითხსაც. ანგარიში უნდა გავწიოს იმ ამბავს, რომ ბევრი უცხოელი საქართველოში სწორედ ამ კარიდან შემოდის, რამდენიმე ხანს აქ ცხოვრობს და რადგან საშუალება არა აქვს სხვა თეატრში მიხედვინოს, შეიძლება ქართული თეატრალური ხელოვნება ბათუმის თეატრით შეაფასოს და ამიტომ ამ საკითხს ვარკვევლი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვეუ კი ეს მდგომარეობა გვაყავლებს ტეტი პასუხისმგებლობით მოვცდილობთ საქმეს, ყოველივეს დაეკითხათ ჩვენი ქვეყნის პრესტიჟი.

ნანა ღვინძვასძე: — ბატონო გურამ, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები, რაზე რეზერვარა?

გურამ აბაშიანი: — წელს თეატრალურში შემდეგ სპექტაკლები შევიტანეთ: ა. სამსონიას „ორმოცწლიანთა კლები“, რომელიც ერთბოლოდ დავდგივთ დათო ხინიკაძემ და მე, მ. ელიოზიშვილის „სარკე“, ვევა-ფშაველას „მოკვდილი“, ა. აბულთის „მეცამეტე თავიჭდომარე“ და ვალაქიონ ტაბიძის ლექსების მიხედვით შექმნილი დრამატული კომპოზიცია „ზღვა ხმარობს“ (კომპოზიციის ავტორია გ. ხუბაშვილი). ეს ნაწარმოები მოეწონა დასს. ჩვენ სწორედ ეს დადგმა ვუძღვდით ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან იუბილეს.

ნანა ღვინძვასძე: — ჩვენი თავყრილობის მონაწილეა ალექსანდრე ჩხაიძე. მან, როგორც დრამატურგმა, მშობლიური ბათუმის სცენაზე მიყვარა. მარშან მიხაი პიესის მიხედვით დათო ხინიკაძის მიერ დადგმულმა სპექტაკლმა „როცა ქალაქს სძინავს“ რესპუბლიკური პრემია „სუთუნდის მტარანე“ მიმასახურა. ეს პირველი პრემია როდი იყო დრამატურგისათვის. — ბატონო ალექსანდრე, ვაგვიზიოეთ თქვენი აზრი ბათუმის თეატრზე, როგორც ავტორმა და როგორც თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარემ.

ალექსანდრე ჩხაიძე: — ქართული „საბჭოთა ხელოვნება“ რამდენიმე წლის მანძილზე მართადა დისკუსიის თემაზე „ თეატრი და მაყურებელი“, ეს იყო უაღრესად საჭირო დისკუსია. მე მაშინ წინადადება შევიტანე ეს დისკუსია ცალკე წიგნად გამოეთვა გამოცემილია „ხელოვნებას“. ამით ის კარგ საქმეს ვაკეთებდა. გადავხედოთ ახლა ისევ ამ ქურნალის ფურცლებს. ერთ-ერთ ნიმუშში დაბუკტილია მერაბ გვიგის პატარა წერილი, რომელიც ეხება ფოთის თეატრს.

საკუთარი, რაც ამ წერილშია გამოტყველი, ტყეა პერიფერიის ყველა თეატრს, და ასევე, ჩვენს ბათუმის



თეატრსაც. წერილი კარგა ხანია გამოქვეყნდა, მაგრამ ის სატიკური სატიკურადე დარჩა, ჩვენ დღესაც ისევე გვიხდება ლაბარაკი გადარისხავზე, რეკევიზიტზე, ტანსაცმელზე შეიძლება და ამას, ალბათ, კიდევ კარგა ხანს არ ეშველება არაფერი. იგივე ითქმის ვასვლიან სპექტაკლებზეც. სადაც, ალბათ, სამანისტროს რომელიმე განყოფილებამ ზის მავანი და შეიძლება, რომ ესა და ეს თეატრალური კოლექტივი ქალაქიდან უნდა გავიყვანო 50 კილომეტრზე, უჩვენოს სპექტაკლი და იმავ დღეს დაბრუნდეს. იგი რთულია არ ითვისაწინებს სპეციფიკურ გეოგრაფიულ პირობებს. მაგალითად, აქედან ქვემოთ 50 კილომეტრია, მაგრამ ქვემოთ რომ წახვიდეთ, იმავ დამით უკან ვერაფრით დაბრუნდებით. და რამდენიც არ უნდა უმტკიარო სავეგმო განყოფილებას, რომ ეს ასეა, ვერაფერს გახდები.

ამის შესახებ ჩვენ ბევრს ვფიქრობთ და ბოლო დროს აჭარის თეატრალურმა საზოგადოებამ თავის გვეგმაში ორი საკითხი შეიტანა: პირველი, შევამოწმოთ რა პირობებში უხდება თეატრს გასული სპექტაკლების საჯარება და გვინდა ეს საკითხი საერთო მსჯელობის სახელად ვაქციოთ. როგორც ბათუმში ასევე სხვა ქალაქებში. მაგრამ ყოველივე ეს მანამდე არ გახდება მსჯელობის საგანი, სანამ სათანადო დაწესებულებებს ამავ ზემოქმედობა ორგანოების განკარგულება არ მოუვათ.

მეორე საკითხი კი ისაა, რომ ყველა რაიონის ხელმძღვანელმა როდია სათანადოდ დაინტერესებულნი რაიონული თეატრების ბედი. ვანა შეიძლება ჩაითვალოს კულტურულ კაცად რაიონის ხელმძღვანელი, ვისაც არ ეყვარს თეატრი, არ უყვარს ხელოვნება?

დღეს ქართულ თეატრზე მსჯელობა არ შეიძლება, თუ არ მივუღიქვით მას ქართული თეატრის საერთაშორისო აღიარების პოზიციებიდან. ეს პოზიცია ამ ბოლო წლებში განამტკიცა რუსთაველის თეატრის წარმატებებმა.

ახლა ვეითხოვთ, ხომ არ გაფერმკრთლდნენ რუსთაველის თეატრის წარმატებების ფონზე ჩვენი სხვა თეატრები, ხომ არ დაგვავყნა რუსთაველის თეატრის რევიზორის წარმატებებმა ჩვენ, დრამატურგები, სხვა დილემის წინაშე, ხომ არ დადგა დრამატურგისადმი სპეციალური, უფრო თანამედროვე მიდგომის დრო? პირადღ მე დღეს მუშინია რუსთაველის თეატრში პიესის მიტანა. გარდა ამისა, უღრესად დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ რევიზორების, მსახიობების, მხატვრებისა და კომპოზიტორების მომზადებასაც. დღევანდელი თეატრის სინთეზური ხელოვნება და მაღალი პროფესიული დონის გარეშე დღეს თეატრს არსებობა არ შეუძლია. მეტს უნდა ვაეთვლიდეთ და ნაყოფი პრეტენზიები ექცინდეს.

ქოთქმის ყველას უმაღლესი თეატრალური საწარმოებელი აქვს დამოკიდებულება და, მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილი სამუშაო პირობები არა აქვთ, მაინც სახელმწიფო თეატრის მსახიობები არიან და თავიანთ საქმეს ამ პოზიციიდან უნდა მიუღვინენ. უნდა აღზარდონ ნამდვილი მასურებელი.

სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს ერთი ასეთი გამოთქმაც აქვთ: მსახიობმა ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა გაღმარდეს განვლილი გზა და ტექნიკურად აკლავ შეიარაღდეს. ეს განეილურა მოსაზრება,

ბაა, რადგან იგი ებრძვის შტამს. აქ არ მინდა დავასახულო ჩემი საყვარელი მსახიობები, მაგრამ თბილისში მდებარე არტრემში შექმნა შტამების საშუალება. ახლა, როცა თვალს გადავავლებთ მათ უმომქმედებთ გზას, მხოლოდ თითო-ორიოლა თუ აღმოჩნდება ისეთი, შტამს რომ თავი დააღწია. უცხოეთში ყოველ ორსამ წელიწადში ცვლიან მთელ დას, ჩვენში კი ერთი მსახიობი ორმოცე წელიწადი გამოდის ერთსა და იმავე სცენაზე. ეს ძალიან რთული საკითხია და ამ საქმეს ეყვარებიან გასტროლები და რევიზორების მოწვევა ვერ უშველის.

რაც შეეხება მასურებლის მოზიდვის საკითხს, ამავ დავუსვამებ გაიზარა და ბევრი აზრით გამოითქვა, მაგრამ მასურებელი მაინც ვერ მოვიზიდეთ. ჩემი აზრი ამ საკითხზე მე პრესაში გამოვთქვი, მაგრამ ერთი რამ აქაც მინდა ვთქვა. ეს ვალაღათ ამონეშენებლის გაყიდვის საკითხი. მე კატეგორიულად წინააღმდეგ ვარ ამონეშენებისა, მიწერებისა და ასე შემდეგ, რაც თოქმის ყველა პერიფერიულ თეატრში ხდება. ამით ვუფასურებთ თეატრალურ ხელოვნებას, ვაფასურებთ გასული სპექტაკლებს. ძალით მიყიდული ამონეშენებით ხალხს თეატრში ვერ მოიყვან. რამდენჯერ მინახავს კაცს ამონეშენებელი შეუთქმინა და გაბრუნებულს იქვე დაუხვეია. მართალია, ფული კი შემოიღო თეატრში, მაგრამ მასურებელი მაინც არ მოიღო. მე ისეთი თეატრის მომხრე ვარ, ამონეშენების გაყიდვა რომ არ სჭირდება.

ორიოდ სიტყვით მინდა შევეხო პრესასაც. ამ ოცი წლის წინათ ჩვენს პრესაში რომ ჩაგვხდებოდა, ვერაფერს მიხვდებოდით, რა ხდებოდა თეატრალურ სამყაროში, და არა მარტო მაშინ, სპექტაკლებისადმი კრიტიკის და მოყიდვებზედა ახლაც ცალმხრივია. რამდენი ცუდი სპექტაკლი ვიცი, რომლებზეც დადებითი რეცენზია დაიბეჭდა და რამდენი სკანდალი, რომლებზეც საერთოდ არაფერი დაწერეს. ზოგი რეცენზიის მიხედვით ჩვენი თეატრის ისტორია გაყალბებულია.

ძალიან სამწუხაროა ის ამბავი, რომ ფირზე ჩაწერილი სპექტაკლები იშლება, ამით ჩვენს ჩვენი თეატრის ისტორიას ვკარგავთ. მაგალითისთვის დავასახულებ „ანტიგონეს“ სერგო ზაქარაიას მონაწილეობით. ჩემის აზრით, ტელესტუდიაში, კულტურის სამინისტროში და თეატრალურ საზოგადოებაში უნდა შექმნას ავტორიტეტული კომისია, უნდა გამოიზარდოს საკუთარი სახსრები იმისათვის, რომ შევიწინათო კლასიკური რეპერტუარი, მართლაც ღირსშესანიშნავი სპექტაკლები.

რაც შეეხება ახალგაზრდობას, მე დიდად მიხარია, როცა თეატრში მოდის ახალი თაობა, მოაქვს თავისი მრწამსი და ახალგაზრდული ენერჯია, მაგრამ მე იმის მომხრე ვარ, რომ მათ მარტო თავიანთი თავი კი არ თათამაშონ, არამედ ფართო დიპაზონის მსახიობები გახდნენ. პუბლიცისტურ, რიტორიკულ პრესებში ისინი კარგად გრძნობენ თავს, მაგრამ მალო უნდა დიდად ვევა-ფშაველას „მოკვეთილი“ და მათ დასპირდებთ გარდასახვა. ეს კი უშუკო რთული და ძნელი საქმეა. ამიტომ მე ვურჩევ თეატრის ხელმძღვანელობას, ჩააბან ისინი უფრო რთულ სპექტაკლებში, მოუწყონ უფრო რთული გამოცდა, აწაწავონ ხასიათის გახსნა.

რაც შეეხება ქართულ დრამატურგიას, არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ქართული სცენა განიცდის პიესების ნაკ-



ლებობას. თუ პიესა ვარგა, იგი ყოველთვის იდგმება ქართულ სცენაზე, სხვა რესპუბლიკების სცენებზეც და, ამ, წარმოდგინეთ უცხო ქვეყნებშიც კი სესხულობენ ჩვენგან დრამატულ ნაწარმოებებს. მთავარია, ჩვენ პატრემოყვარებობა მალა დღეებზე და ვეცადით ქართული თეატრისათვის შევიქმნათ საინტერესო და პრობლემატური დრამატული ნაწარმოებები.

ნანა ღვინძვასძე: ბატონო ფრიდონ, თეატრი და მწერლობა განუტყრელია, ამ სცენაზე იდგმება თქვენი პიესებიც, რას ფიქრობთ დღეს?

ფრიდონ ხალვაში — პირველი, რისი თქმაც მინდა — ჩვენ მალე უნდა ვიზიგმოთ ბათუმში პირველი წარმოდგენის გამოართვიან 100 წლისთავი და ეს არა მარტო თეატრის, მთელი ჩვენი ხალხის, მთელი ჩვენი კულტურის ზეიმა. ამიტომ მინდა კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი იმას, რომ ბათუმის თეატრმა აჭარაში დიდი ეროვნული საქმე გააკეთა. კარგად მახსოვს ჩვენი ჰალარით მოსილი, დიდებული ოლიმპიელი შალვა დადინი, რომელმაც ბათუმში პირველად ჩამოაყალიბა თეატრალური საზოგადოების განყოფილება, რომლის ხელმძღვანელად თვით იგი დაინიშნა და რომელმაც იმ დღეს დიდებული მამულიშვილური სიტყვა წარმოსთქვა, ისეთივე დიდებული, როგორც მთელი მისი საქმიანობა, მწერლობა და საზოგადო მოღვაწეობა იყო. შალვა დადინი ჩვენი დროის სანიშნულო პიროვნებად მიმაჩნია. კაცი, რომელიც დღევანდელი ირახის წარმომადგენელი იყო, ახალ საქართველოში, საბჭოთა საქართველოში ჩვენი ხალხის ხელოვნების აყვავებას ემსახურებოდა და მაგალითის აძლევდა ახალგაზრდობას. ჩვენთან, დედა საქართველოს მოწყვეტილ და ახალდაბრუნებულ კუთხეში, აჭარაში იგი დიდი სიყვარულით ჩამოდიოდა და გატაცებით ემსახურებოდა ჩვენი კულტურის აღორძინების საქმეს. იგი ვინმეს დავალებით კი არ აკეთებდა ამას, არამედ საკუთარი გულის კარნახით, ჩამოდიოდა და მიემზავრებოდა ხელოში, ქედამი, მივარდნილ სოფლებში, კითხულობდა ლექციებს, მონროლებს, ესაუბრებოდა ხალხს სპექტაკლებზე, თეატრზე, ქართულ მწერლობაზე.

მინდა ლაპარაკი სწორად იმ დავილიან გაავარტყლო, სადაც დამთავრა ალექსანდრე ჩხაიძემ. მე ვგულისხმობ ქართულ დრამატურგიას და ქართულ პიესებს, რომლებიც ჩვენს თეატრში იდგმება. პირადად მე ძალზე მონახარული ვარ, რომ ჩვენს თეატრში მოვიდა ახალგაზრდობა, მათ მე ადრეც ვიცნობდი, როცა საშუალო სკოლაში სწავლობდნენ, შემდეგ სწავლა თეატრალურ ინსტიტუტში გაავარტყლეს, დავაგრძენდნენ. გააკაოწყუცეს ის სპექტაკლები, მათ მიმართ რომ იყო გამოთქმული და დღეს თამაშობენ ახალ სპექტაკლებში. ამას წინათ „მე-ნამე თობა“, რომელშიც თითქმის ყველა ახალგაზრდა მსახიობი მონაწილეობს, ტელეგეზიოთაც კი გადმოსცეს და მათი თამაშით დიდად კმაყოფილი დავარჩი. ჩვენს თეატრში შეიმთაბა კარგი, საინტერესო ახალგაზრდა თობა და ამიტომ დღეს ამ თეატრში კაცმა ახალი პიესა მოიტანოს ან ძველი პიესა აღადგინოს. ამით მე იმის თქმა მინდა, რომ ჩვენს თეატრს უმსაინწინავე შემოქმედებითი კოლექტივი ჰყავს და მას უფრო მეტის ვაგეოტება შეუძლია, მაგრამ მე, როგორც მათურებელი და თეატრ-

თან ახლოს მდგომი კაცი, მაინც იმ აზრისა ვარ, რომ ჩვენს თეატრს და საერთოდ, ყველა ქართულ მწერლობას მაინც ავლია კარგი ქართული დრამატული ნაწარმოებები.

ამ ბოლო დროს ჩვენთან ხშირად ჩამოდიან უცხოელები. ამას წინათ თურქეთიდან ჩამოვიდნენ პარლამენტარები, დღევანდელის შემადგენლობაში უმრავლესობა ქართველები იყვნენ. ჩვენ ვუჩვენეთ „ნაიარქაქია“. „ნაიარქაქია“ კარგი სახეშეშო სპექტაკლია, მაგრამ მასში მაინც არაა ღრმად ჩაქსოვილი ეროვნული ნიშანი და ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი, მკვეთრად გამოკვეთილი კოლორიტი. მათ კი სურდათ ენახათ ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისა და ყოფისათვის დამახასიათებელი ნაწარმოები და არა ზღაპარი-მიუზიკული.

რაც შეეხება აჭარაში მომუშავე მწერლებისა და თეატრის ურთიერთობას, ერთ დროს ეს ურთიერთობა ძალიან ცოცხალი და საქმიანი იყო. პირადად მე, როგორც მწერლობა ორგანიზაციის ხელმძღვანელს, მიმაჩნია, რომ ბევრი ჩვენი დრამატურგი ამ თეატრში აღზარდა და თუ დღეს საქართველოში იწერება პიესები, რომლებიც სცენაზე ცოცხლობენ, ბათუმშიც იწერება.

მაგრამ ახლა, როცა 100 წლისთავის აღნიშვნაზე ლაპარაკი, როცა ბათუმის თეატრალური ხელოვნება უკვე ისტორიული ფაქტია, როცა საბჭოთა აჭარასაც 60 წელი შეუსრულდა, თეატრს რეპერტუარში უნდა ჰქონდეს ისეთი პიესა, რომელშიც ასახული იქნება ჩვენი მხარის, აჭარის თავისებურებანი, მისი ყოფისა და კულტურის დღევანდელი ზრდა, მისი კოლორიტი. ამ იუბილის დღეებში მივიხედ-მოვიხედეთ და ვერსად ვიპოვე ისეთი დრამატული ნაწარმოები, სადაც ასახული იქნებოდა ბათუმის რეპერტუარული წარსული. ჩვენს ქალაქს ხომ დიდი ისტორიული წარსული აქვს. გარდა ამისა, ჩვენი აჭარა ხომ ძალიან თავისებური მხარეა და სწორად ამიტომ ქართველი მათყუარებელი მოთხოვნის ახლოს ამ კუთხის ცხოვრება, მისი თავისებურებანი, მისი ეროვნული გამოღვიძების ისტორია. ჩვენ, აჭარა მწერლები, ლექსელები და მოთხრობებში ამის ვაღმომცემის როგორღაც ვახერხებთ. მაგრამ დრამატურგიაში ჭერ ამას ვერ მივაღწევთ.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი იოსებ ცანცაზ — უბრალოდეს ყოფისა, მინდა შევეხო ჩვენი თეატრის რეპერტუარს. საქართველოში, გარდა ორი-სამი თეატრისა, ყველა თეატრის რეპერტუარი რატომღაც სტეჟიურ ხასიათს ატარებს, უფრო სწორად, რეპერტუარი გულმოდგინედ არ დგება. არ არის ვთავალოსწინებელი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის შესაძლებლობანი და ეს უარყოფითი გავლენას ახდენს თეატრალური სეზონის წარმატებით დაწყებასა და დამთავრებაზე.

დღეს ინფორმაციის სწრაფი ცვლის ეპოქაში ვცხოვრობთ და, ჩემის აზრით, კარგი იქნება, თუ ეფრნალი „თეატრალური მოამბე“ კვარტალში ერთხელ დაუბნავს ბიულეტენს, სადაც მოკლედ გავცნობებს, რა პიესები დაიდავა, ვინ მიწაწილობს, როგორია დეკორაცია, ერთი სიტყვით, ერეგისურებასა და ჩვენ, მსახიობებს, მოგვაწოდოს ინფორმაციის დღევანდელი თეატრალური ცხოვრე-



ბის შესახებ, „საბჭოთა ხელოვნება“ კი გავაცნობს როგორც თანამედროვე საბჭოთა, ასევე მოფილოდ დრამატურგიის ნიმუშებს, იმ სახალებს, რაც თეატრალურ ცხოვრებაში ხდება, მართალია, ამბობენ არ არსებობს პროცენტული თეატრები, მაგრამ მე მინც იმ აზრისა ვარ, რომ პროცენტული თეატრები არსებობს და ისინი უფრო მოკლებულნი არიან ინფორმაციის წყაროებს, ვიდრე დიდი ქალაქების თეატრები და ამ თვალსაზრისით ერთგვარი დახმარება სჭირდებათ. სწორად აქედან გამომდინარეობს ხოლმე რეპერტუარის არასწორად შერჩევა და ამ საქმეში ერთგვარი სტიქიურობა.

შეიძლება თქვენ ამასე ასეთი პასუხი გაცეთ, რეჟისორმა ბევრი უნდა იცოთხოსო. კი ბატონო, იცოთხოს, იცოთხოს ბევრი, მაგრამ ცხოვრება ისე სწრაფად მიდის წინ ყოველწლურად, რომ იგი ყველაფერს მაინც ვერ მისწვდება და სწორედ ამასი დღეხმარება მას ბიულეტენი.

მე მთლიანად ვიზიარებ თეატრის დირექტორის ლევან ლორთქიფანიძის აზრს რეჟისორების გაცელა-გამოცელებაზე, მაგრამ მინდა ამას მსახიობთა გაცელა-გამოცელა დაემატოს. უფრო არსებობდა ასეთი პრაქტიკა: ბათუმის თეატრის მსახიობი ჩაიღობდა თბილისში, თბილისის თეატრის მსახიობი კი ბათუმში ჩამოდიოდა და იქ თამაშობდა იმავე სექტაკლში, თბილისში რომ უთამაშობდა. ასეთი გაცელა-გამოცელა ერთგვარი ჯანსაღი შემოქმედებითი შეჯიბრების ხასიათს ატარებდა, ეს იყო ერთგვარი წახალისება იმ მსახიობისათვის, რომელიც მუშაობდა პროცენტულ თეატრში. ამით მას საშუალება ექცეოდა ჩასულიყო დედაქალაქში და იქ დამტკიცებოდა თავის შემოქმედებითი პოტენციალი, წამდგარიყო მომთხოვნა, გემოვნებიანი თბილისელი მაყურებლის წინაშე. ავიღოთ „დარაბებს მიღმა გახაზულთა“. ეს პიესა დაიდავ ბათუმშიც, კინომსახიობთა თეატრალურ სტუდიოშიც და რუსთაის თეატრშიც. კარგი იქნებოდა, მიეცათ იმ ახალგაზრდებისათვის საშუალება, რომლებიც ამ სექტაკლში არიან დაკავებული, ერთმანეთი შეეცვალოთ და ერთგვარად წახალისებინათ ისინი.

კოტა მეუხერხულემა ამასე საუბარი, მაგრამ ჩემის აზრით, უკვე დადა იმის დრო, რომ ზოგიერთი სექტაკლი მსახიობებმაც განაზოტოცოლონ, ცხადია, იმ თეატრში, სადაც ისინი მუშაობენ. თუკი შეიძლება, მავალითად, რეჟისორმა ითამაშოს ეს თუ ის როლი, რატომ არ შეიძლება მსახიობმა დადგას სექტაკლი? მართალია, თეატრალურ ინსტიტუტს ამთავრებს როგორც რეჟისორი, ასევე მსახიობი, ისინი სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან, მაგრამ ძირითადი მაინც ხელოვნების ერთ დარგს ემსახურებიან. ადამიანს ვერავინ ვერ მისცემს იმის გარანტიას, რომ იგი აუცილებლად კარგი რეჟისორი ან კარგი მსახიობი იქნება. ჰოდა, რატომ არ შეიძლება მსახიობმა დადგას სექტაკლი, მასიურად კი არა, ზოგიერთმა მსახიობმა მაინც, რომელიც კარვად იცნობს დრამატურგიას და რეჟისორულ ხელოვნებას.

მინდა ორიოდ სიტყვით ვთქვა ჩვენი თეატრის ეკონომიურ მოვლიარეობაზე. მართალია, მდგომარეობა კატასტროფული არაა, მაგრამ რატომ არ უნდა ჰქონდეს დირექტორს ფონდი, იმის საშუალება, რომ წარჩინებული ახალგაზრდა, რომელმაც უკვე რამდენიმე როლი

ითამაშა და თავი გამოიჩინა, რომელსაც მაყურებელი ტაშს უტარას, რითიმე წახალისოს, დღეხმაროს, დღეხმარებაში ხელი გაუმართოს?

ძალზე სასიხარულოა, რომ ჩვენთან კარგი ახალგაზრდობა მოიდა, ზოგმა უკვე თავიც გამოიჩინა, ამ ბოლო სეზონის სექტაკლებში თითქმის მთლიანად ისინი არიან დაკავებული. აქ გამოითქვა აზრი მათი გარდასახვის უნარის, მათი დაოსტატების შესახებ, მაგრამ ყოველვით ესე სწრაფად არ ხდება. ვერ მთ უნდა მოხაზონ საუკეთესო თავი, ის ოპტიმალური დონე, რის შესაძლებლობასაც მათ ნიკი აძლევს და თანდათან გაიზარდონ, დაოსტატდნენ. ჩემის აზრით, სწორად იქცევა რეჟისორები ამესაძე, ხინიაძე, ჩხაიძე, ახალგაზრდებს ჯერჯერობით თავიანთ თავს რომ ათამაშებენ, გარდასახვის უნარი და ოსტატობა მერე და მერე მოვა.

რაც შეეხება დრამატურგებს, ისინი მხოლოდ მაშინ კი არ უნდა იყვნენ ჩვენთან ახლოს, როცა მათი ნაწარმოები იცვლება, არამედ ყოველთვის მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებული თეატრთან, უნდა გაევიზიარებინათ მოსახრებელი და ასეთ თანამშრომლობაში უნდა მათი მონაღეს სექტაკლი. აქ ლაპარაკი იყო რომებრტ სტურუაზე. რომებრტ სტურუა ამბობს რეპეტაციოთაც კი დგამს სექტაკლს, მისი ნიმუში მისმა ბოლი ნამუშევარია. იგი დრამატურგს ყოველ დღე აძლევს რაიმე დავალებას და ეუბნება, ეს მომიტანეო.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი აბ. მკვალიძე — მალე ჩვენ ბათუმის თეატრის 100 წლის თავს ვიხსენებ. ეს თარიღი დაკავშირებულია აჭარის განთავისუფლებასთან, მის შეერთებასთან დედა სამშობლოსთან და ჩემი სურვილია ჩვენი თეატრის რეპერტუარში შეტანილი იქნას პიესა, რომელიც ასახავს აჭარის წარსულს, მის მომავალს, მის დღევანდელ დღეს. ასეთ პიესაში დაკავებული იქნება როგორც ძველი, ასევე საშუალო და ახალი თაობა და მე ვფიქრობ ამით თეატრი დიდ საქმეს გააეთებს.

ნანა ღვინდვაძე — თეატრი სინთეზური ხელოვნებაა. სექტაკლის შექმნაში მონაწილეობენ არა მხოლოდ დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი, არამედ კომპოზიტორი, ქორეოგრაფი, მხატვარი. სცენოგრაფია წარმოადგენის სახეითი მხარეა და თეატრალურმა მხატვარმა მრავალჯერ უნდა გარდაქმნას თავისი სივრცე, რომ მსახიობებმა კარვად იკაზნონ სცენა მიკროსამყაროში, რომ მაყურებელმა კარგი თვალით შეხედოს სცენას. ფარდის გახსნისთანავე, რომ დეკორაცია არა დამატებითი, არამედ სექტაკლის განუყოფელი ნაწილი იყოს.

პირველი ტაში ხშირად სცენოგრაფის ხვედრია! ბატონო ანტონ, როგორ დიწყო და წარამართა თქვენი ცხოვრება თეატრში? გვიამბეთ მის მიზან და ჩრდილოვან მხარეებზე.

ანტონ ფილიპოვი — ბედნიერი ვარ, რომ ამ თეატრში დავიწყე მუშაობა. ეს მოხდა 1954 წელს. პირველად ძალიან ვეცლავდი. არ მეგონა თავს თუ გავართვებდი ამხელა საქმეს, მაგრამ თეატრის ფუქციონირებაში გამაზნევეს, შემდეგ აკადემიაც დავამთავრე. ვმუშაობდი მარჯანიშვილის თეატრში ი. სუმბათაშვილიან. აქ წამოსვლის წინ სერგო ქობულაძემ დამილოცა გზა.



დღისათვის მე უკვე 125 სპექტაკლი მაქვს გაფორმებული ბათუმის თეატრში.

ჩვენი თეატრის გასაპირზე მინდა ვილაპარაკო, — საღებავების დიდ ნაკლებობას განვიცდი, აღარაფერს ვამზობ ფერად საღებავებზე. შავი და თეთრი საღებავების მოხვაც კი ჭირს, ესეცა ვეკეთებ რაღაც ჩვენს მიერ მოგონილი და შესაბამისი საღებავები, დემკრთაბა იცის, რა არ ურეგია მასში. ეს ხელს გვიშლის კოლორიტის შექმნაში, ტონის შერჩევაში.

მაგარა კიდევ ურესი მდგრადობა გვაქვს განათების მხრივ. არ ვციკ როგორ ახერხებდნენ იტორ ფხაკაძე სცენის განათებას, იგი უთუოდ ძალიან ავსებულადგენდა და ნიჭიერი სპეციალისტია, რომ ასეთ აპარატურას კიდევ უხერხებლად რაღაცა. ბუნებრივია, სპექტაკლი მაინც ცუდად ნათდება, რის გამოც დეკორაცია ყოველგვარ ეფექტს არკავებს. აი, ეს საკითხები უნდა მოგვარდეს მოგარბნი.

ნანა ლვინიშვიდი — ჩვენს თავყრილობას ესწრება ძველი თაობის რამდენიმე მსახიობი, ავადმყოფობის გამო ვერ მობრძანდა ბატონი მერაბ ხინციკაძე. მასგან ვეცდებით სუფიკატის როგორც ამბობენ, თეატრისათვის ილია ჭავჭავაძის სახელის მინიჭება მისი საწუფვარი სურვილის შედეგად. ამ კამინეტს ილიას პორტრეტი, ილიას ღიმილი ანათებს. ბატონი მერაბს თან დასდევს პოეტის ანრდელი. იგი ოცნებობდა და ოცნებობს შექმნას ილიას სახე. გვწამს, ეს სურვილი აუსრულდება!

ხასან მებრნილიძე — ამ თეატრში 45 წელი ვიმუშავე, მისი შექმნის დღიდან. მოსაგონარი ბევრი რამ მაქვს... ახალგაზრდებს მინდა ვთხრობა, რომ მათ სულ სხვა პირობებში უხდებოდა დღეს ცხოვრება და მუშაობა, ვიდრე ჩვენ გვიხდებოდა. უამრავ წინააღმდეგობას ვაწყვედებოდი, რეჟისორი საწილით საძებარი გვეკვდა, გვეკვდა მსახიობებიც, პირველი ჭკვიერი 1932 წელს ჩაერთობებოდა ამბეტელის ინიციატივით რუსთაველის თეატრის სატელევიზიო. ბოლოს თერამებმა ახალგაზრდებმა საბჭოთა ავარის თხუთმეტი წლისაგებ, პირველი სპექტაკლი დადგეთ. დღეს ჩემი სურვილი ისაა, სპექტაკლი, რომელსაც 100 წლისათვის მივუძღვინო, იყოს უფრო საინტერესო, მნიშვნელოვანი, შთამბეჭდავი, ვიდრე ჩვენი პირველი სპექტაკლი იყო.

ნანო ამბაშვიდი — ჩვენი თეატრის 100 წლისთავი კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. თეატრის შემოქმედებითა კოლექტივმა მეტა უნდა იზრდოს, უკეთესი და უკეთესი სპექტაკლები დადგას და საქართველოს რჩეულ თეატრებს გაუტოლდეს.

ჩვენი თეატრის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თეატრს ჰქონდეს თავისი სახე, მაგრამ ვასაკეთებელი ჭერ კიდევ ბევრია და. ამ მხრივ, ჩვენ ყურადღება დიდ დახმარება გვეკრძება.

ნანა ლვინიშვიდი — ბათუმის თეატრს საიმედო ცვა ჰყავს. საინტერესო სცენური სახეები შექმნის სერგო მახვილიძე. ლუბა ჯობლაძე, ზურაბ შილაკაძე. პაატა მოსსერაფიშვილი, მარინე ხუბუნაშვილი, თამილა მერიშვილი, ვაჟა ბიბილიევილი, ნოდარ იაკობაძე, შორენა ბეგანიძე, კახა კობლაძე, ნატო გოგიტაძე, ცირა აბაზანიძე (მან განსაკუთრებით დაა-

მასხორა თავი მაყურებელს თამაშ კლავის მიყენებით „ხუდი მეტრე სართულზე“ და „როლი“ მსახიობი მსახიობისათვის“ — თითქმის ორთავ როლი მისთვის იყო დაწერილი. მაქას როლის შესრულებასათვის ცირამ წლის საუკეთესო არტისტის წოდებაც მოიპოვა).

მამთა ნათელმა ნაკვალევმა მოიყვანა თეატრში დათო ხინციკაძე, კახა კობლაძე, დათო მეგრელიძე.

მასახიობი სერბი ბატონი შვილი — ყოველი ახალგაზრდა ცდილობს თავისი ნიჭი და უნარი დედაქალაქში გამოვიღოს. დასამალო აქ არაფერია, ჩვენს თეატრში მოსული ახალგაზრდა მსახიობებიდან ბევრი წავიდა, ხოლო ვინც დარჩა და დღეს ჩვენი თეატრის იმედია, ხვალე-ღვ შეიძლება მაინც წაერიდეს. ჩვენს ჭკუფში თერთმეტი კაცი ვიყავით ჩარიცხული, სადღესობი კი მათგან თეატრს თხოიდა მერჩა. ეს იმიტომ ხდება, რომ დედაქალაქის თეატრებში მათ ყველა პირობა აქეთ შექმნილი, მათ თამაშს აუქუბებს პრესა, ტელევიზია, რადიო და ამას არა მარტო მორალური დაქმყოფილება მოაქვს მათთვის, არამედ მატერიალურიც. დასამალო არც ისაა, რომ ზოგჯერ მათი შემოქმედება ნაკლებად საინტერესოა, ვიდრე ზოგიერთი პერიფერიული თეატრის მსახიობისა, მაგრამ ჩვენი მსახიობების თამაში შესაფერის რომესაცხება ვერ პოულობს. და ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა, რომ ახალგაზრდას გული უტრუფდება.

საქართველოს თეატრალური ცხოვრება მარტო დედაქალაქით ხომ არ განსაზღვრება, მარტო დედაქალაქის თეატრები ხომ არ ქმნიან ერთგულ თეატრის ისტორიას, როცა ლაპარაკია ერთგულ თეატრზე, აქ ყველა ქართული თეატრი იგულისხმება.

ამს წინათ ტელევიზიით გადმოსცეს ჩვენი სპექტაკლი „შეასამე თაობა“ და ამან ბათუმელ მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ქაქაზა გვგებობდნენ, გვილოცოდნენ, ვკვირდებოდნენ, უფრო ხშირად ვეუბლით თეატრში. აი, რამხელა მნიშვნელობა აქვს თეატრისათვის პრესასა და ტელევიზიას.

ნანა ლვინიშვიდი — თეატრი ცხოვრების სარკეა და როგორც ცხოვრებაში, ასევე თეატრში ერთმანეთს ეხიკვლება ცრემლი და ღიმილი, ღიმილი და ცრემლი, სცენის სარკის მოჩუქურთმებელმა ჩარხოში აქი გამოკვეთილად ჩანს მუხბარე და მოცინარი ნიღბები; ამ ნიღბებს ბათუმელები არა მხოლოდ ზოგად, არამედ საყუთარი თეატრის სიბოლოდ, ორი დიდი მსახიობის — იუსუფ კობალაძისა და მერაბ ხინციკის ნიღბებად აღიქვამენ.

საშუალა თაობა მინდა ვახსენო — იური ცანავა, ვინც სიცოცხლარლის ხელოვნება თოქმის გათანაზბა თავის შემოქმედების. გადალხა ყოველგვარი ამპლიის მინა, მანუჩარ შერვაშიძე, ჩინებული სახსათაო მსახიობი; იგი ეკრანზე გვიხილავს შრავალჭერ, ნათელა წერეთელი, რომელმაც ქალის როლის საუკეთესო შესრულებასთვის თეატრალური წლის ჯილდოები დაიმსახურა ანაფერისთვის „მეცხრე წმინდანში“ (შეშლილი გრეტა), „სანამ ურეში დადარუნდება“ (ეკასარია), „ამაღლებული სოფელი“ (ოფელი), ნიაზ მუსხიბი, როლანდ კაკაბერიძე, გაიოზ გოგიბერაძე, თამარ სტუპანიშვილი, ნინო საკანდელიძე, ნუნუ ხინციკაძე, სიმონ ახალაძე, ლევან დლონტი, რომელთა მიერ შექმნილი სცენიანი თუ ღიმილიანი სცენუ-

რო სახეები შეიყვარა და დამისხსოვრა მაყურებელმა.

მოგუსმინით ნათელა წარტიელს, რომელიც წუხელ „დარისპანის გასაქირში“ ვნახეთ პელაგიას როლში.

ნათელა წარტიელი — ჩემი ცხოვრება ბათუმის თეატრთანაა დაკავშირებული. მის სცენაზე ასზე მეტი როლი მითამაშია და ძალიან მივიჩნის ახლა მათ შორის რომელიმე გამოვყო. პირველად ბათუმის თეატრის სცენაზე შევესრულე კაროენას როლი „დარისპანის გასაქირში“. ეს იყო 1944 წელს. ამ სპექტაკლში მაშინ ჩემი პარტიზორი იყო ბუხუტი ზაქარიაძე, რომელიც დარისპანს თამაშობდა. მას შემდეგ თითქმის ყოველ საღამოს გამოვდიოდი სცენაზე და ცოტა ისეთი ქართული პიესა, რომელშიც მონაწილეობა არ მიმეღოს. დაოსტატებას დიდად ვემძაღლი რეჟისორებს ა. ჩხარტიშვილსა და ი. ინასარიძეს.

ზურაბ შილაბაძე — მე ჩვენი თეატრის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი ვარ, თეატრში სულ რამდენიმე წელია ვმუშაობ, და მაღლიერების გრძობით ვარ განწყობილი როგორც თეატრის ხელმძღვანელობის, ასევე ჩემი კოლეგების მიმართ. მიყვარს ბათუმის თეატრი, მიყვარს თვით ბათუმი. აქ მე მოწვევით ვარ ჩამოსული. მთელმა კოლექტივმა თავიდანვე მეგობრულად მიმიღო, ახლა არც კი ვიცი რა არის უცხოობის გრძობა.

მინდა ხაზი გავუსვა ჩვენი თეატრის საშუალო თაობის ერთ შესანიშნავ თვისებას, როცა ჩვენ, ახალგაზრდები ვმუშაობთ ამა თუ იმ როლზე, მათ შემოაქვთ გამოცდილებით შექენილი, პროფესიული კორექტივები, რაც დღად გვეჩხარება დაოსტატებაში და ამას აყეთებენ ისეთი ტაქტით, რომ მხოლოდ მაღლობას და ნდობას იმსახურებენ.

რაც შეეხება დატვირთვას, ჩვენ, ახალგაზრდებს ყოველთვის ვგაქვს სამუშაო. რეპერტუარიც ისეა შერჩეული, რომ ახალგაზრდებს მეტი გასაქანი მოგვეცეს.

ლუიზა ჯიბლაძე — მე თეატრში 1960 წელს მოვედი. მანამდე ვმუშაობდი რუსთავის თეატრში გიგა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით და სწორედ იქ ვისწავლე ბევრი რამ. აქ ქალაქში, ჩემს მშობლიურ ქალაქში გამოსვლა გოგო ქეთარაძემ შემომთავაზა. თეატრში დამხვდნენ როგორც უფროსი თაობის თვალსაჩინო

მსახიობები — იუსუფ კობალაძე, მერაბ ხინციკი, აკი მგელაძე, ხასან მეგრელიძე. ასევე საშუალო თაობის წარმომადგენლები: იური ცანავა, მანუჩარ შერვაშიძე და სხვები. ჩამოსვლისთანავე მომიქნა როლი, ვითამაშე პარმენ ლორიას პიესაში ნახივებს როლი და ეს როლი ჩემთვის დღემდე ძალიან საყვარელია, რადგან შევძელი ავატელი გოგონას სახის გახსნა.

შორენა ზემუნაძე — წელწა-დანავე ვარა, რაც ამ თეატრში ვმუშაობ და ძალიან მიყვარს იგი, რადგან ჩემი ბავშვობის თეატრია, აქ დავესწორე პირველ წარმოდგენას აქ აღუქვი თეატრი, როგორც ხელისუფლება აქ თამაშობდნენ ჩემი სათავეანი მსახიობები.

განაწილებით მე მსახარაძის თეატრში მოხვედი და ძალიან ვეღვალდი, როცა ბათუმის თეატრში ვადმომიყვანეს. რადგან ამ თეატრის მიმართ თანსაკუთრებული მოწიწება მქონდა. თეატრში ყველამ თბილად მიმოლო, მაშინვე მომცეს როლი. ვითამაშე მეცა სპექტაკლში „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“. ყველაფერი ეს ისე წარსდგა მოხდა, რომ პირველად გავიგებულე კი ვიყავი და არ მჯეროდა ბათუმის თეატრის სცენაზე რომ ვითამაშობდი. მალე მეორე სპექტაკლიც აღმოვჩნდი დაკავებული, ვითამაშე ჩინელი გოგონას ტოს როლი „მესამე თაობაში“. სულ მალე კიდევ ერთ სპექტაკლში ვითამაშე. ასე რომ დიდი მაღლობელი ვარ როგორც მსახიობებისა, ასევე რეჟისორებისა.

ნანა ლმინვაძე — ჩვენი თეატრი მეორე კატეგორიას განეკუთვნება. მას ეწოდება საოქო თეატრი, ჩვენ კი მიზანშეწონილად მიგვაჩნია, იგი გადაიყვანონ პირველ კატეგორიაში, — თქვეს აქ ამხანაგებმა და ჩვენც გულზე მოგვხდა ეს სურვილი. ეს საკითხი თურმე უკვე ზემდგომი ორგანოების წინაშეც დგას და ვიმედოვნებთ, დადებითად გადაწყდება.

— მაშინ უფრო ფართოდ გავშლით ფრთებს...

დიახ, ბათუმის თეატრმა დაიმსახურა ეს პატივი, ეს მაღალი საფეხური, რამეთუ, ამ თეატრის ცხოვრება და შემოქმედება ილისებურად თუ ვიტყვით, ნიშნია თეატრის ასაკში მოსვლისა!

მასალა დასაბუღლად მოამზავა მ. მალაზარია

სცენა ბათუმის თეატრის სპექტაკლიდან „დარისპანის გასაქირი“



ქართული ხელოვნება შუა საუკუნეებში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი გამოსაცემად ამზადებს „ქართული ხელოვნების ისტორიის“ ენციკლოპედულ ნაშრომს კოლექტიურია. აქ წარმოდგენილი ნარკვევი — II ტომის შუასაუკუნე — შეიცავს შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ზოგად დახასიათებას.

ვახტანგ ბერიძე

1. „ქართული ხელოვნების ისტორიის“ I ტომი მიეძღვნა ხელოვნების განვითარებას ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე უძველესი დროიდან ახლა წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებამდე, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა გავრცელდა და დაიწყო ფეოდალურ ურთიერთობათა ჩახახვა. II-IV ტომების საგანს შეადგენს შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება, რომელიც მოიცავს დროის ძალიან დიდ მონაკვეთს — IV საუკუნიდან XIX ს-ის მიჯნამდე, რადგანაც ჩვენი ქვეყნის ისტორიული და სოციალური განვითარების თავისებურების გამო, ფეოდალურმა წყობამ, შუა საუკუნეებში, საქართველოში თვით XIX საუკუნემდე მოაღწია.

შუა საუკუნეები უწინშენილოა ჩვენი ხანა ძველი ქართული ხელოვნებისა და, საერთოდ, კულტურის განვითარებაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ ამ დროს, უკვე IV-VII საუკუნეებიდანვე, ქართულმა კულტურამ მკაფიოდ გამოკეთა იეროვნული სახე მიიღო, ჩამოყალიბდა როგორც მთელი ახლადმოსავლური კულტურის ირიგინალური, დამოუკიდებელი განსაკუთრება.

საუკუნეთა მანძილზე საქართველოში შეიქმნა ბუროკრატიული, დეკორატიული ქანდაკების, მონუმენტური მხატვრობის, ხელნაწერთა მორთულობის, კედლური ხელოვნების, გამოყენებითი ხელოვნებათა უამრავი ნიმუში, რომელთა ისტორიული მნიშვნელობა და მხატვრული ღირებულება ფასდაუდებელია. ქართულ ხელოვნებას უკველთავს ქონდა საკუთარი იდეური, მხატვრული და ტექნიკური ამოცანები,

თუმცა, იმავე დროს, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მახლობელი აღმოსავლეთის, კერძოდ, ე. წ. „ქრისტიანული აღმოსავლეთის“, ხელოვნების ზოგად პრობლემატიკასთან. მის ჩამოყალიბებას დრმა კვალი დააშინა წინაქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურასთან ტრადიციულმა კავშირმა; იმავე დროს, მან ბევრი რამ შეითვისა უძველესი ქრისტიანული ცენტრებისგან და თვითონაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნების, უპირველეს ყოვლისა, ბუროკრატიული განვითარებაში. ქართულ ძეგლთა შესწავლა ბევრ რამზე არსებითს გვაწვდის მხოლოდ შუა საუკუნეთა ბუროკრატიული განვითარების გასაგებად — ქართულ ძეგლთა გავრცელების გარეშე შეუძლებელია დაიხატოს რამდენადმე მანერა და სრული სურათი არქიტექტურის განვითარებისა არა მარტო „ბიზანტიური წრის“ ქვეყნებში, არამედ წინარომანულსა და რომანულ დასავლეთშიაც. ასევე, მკვლევართა სულ უფრო დიდობა და დიდ ურთიერთობებს იწყობს ქართული მონუმენტური მხატვრობისა და პლასტიკის ძეგლები, მათი ადგილი იმდროინდელი ხელოვნების განვითარების ზოგად სურათში.

წინაქრისტიანულ ქართულ ხელოვნებას ჩვენ ახლა შეუდარებლად უკეთ ვიცნობთ, ვიდრე ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ვიცნობდით. ქართულ არქიტექტურაში აღმოჩენება იმდროინდელი ციხეებისა და შემოქმედების მრავალი ახალი მანამდის უცნობი, უფრცხვანო მონაწილე ნაწილი. თანდათან იკვეთება განვითარების ხაზი და მინდა,

ველის და ვერძის შუა“ და. არაუშვილის აზრით, „ქმნიდა
საქონილური შემოქმედების, რომელსაც ვადგარავს ეთნოგრა-
ფიული ხასიათი, ექმნა შხლოდ ადგილობრივი მნიშვნე-
ლობა“; ცხადია და. არაუშვილი არ უფლებდებოდა ასეთი შემოქ-
მედების მნიშვნელობას, მაგრამ თვლის, რომ იგი ვერ გასცილდებო
ვიწრო ეროვნულ სივრცეს, „იმტომ, რომ იგი შეგვიძლია იქნება
შხლოდ ადგილობრივი ფრხვინი“. ქართული მუსიკალური შემოქ-
მედებისათვის მსოფლიო ხასიათის მისაცემად, და. არაუშვილის აზ-
რით, საჭირო იყო „შემოქმედების ჩარჩოების“ გაფართოება. სკრი-
ანული მუსიკის დასაშუაგებლად“ აუცილებელი იყო ვერძის
„მუსიკალური ტექნიკისა და მეცნიერების“ გამოყენება. „ერთი სიყ-
ველი,—დასძენს იგი,— უნდა შექმნას ისეთი მუსიკა ეროვნული მან-
იკებითა, რომლებსაც ერთგვარად ათივინებს, როგორც ქართველი,
იგი ვერძისებელი. ასეთ შეხედულებას ვიზარებ მე და ვიდლები გან-
ვიხორციელო იგი ჩემ შემოქმედებაში“16.

1919 წლის პილის და ივნისში

რევოლუციამ თბილისის ოპერის თეატრში იდგმებოდა ამ რუ-
სული, ანდა უცხოური — ფრანგული, იტალიური, გერმანული, ავსტ-
რიული და სხვ. — ოპერები და ოპერეტები რუსულ ენაზე. ჩვენი
ოპერა, არსებობდა, რუსული ოპერა იყო. იმევე დროს მოწინავე
ქართველ საზოგადოება დღიე ხანია ოცნებობდა ეროვნული საოპე-
რა ხელოვნების განვითარებაზე. ეს დღიე მის ოცნება თავდაბ-
რედ აღიხსნა ბიჭის უცხოელი და რუსი კომპოზიტორების წარწ-
რებითა ქართულად თარგმნის შემუშავება. ჩვენი ოპერის თეატრის
ისტორიის მკვლევარის შალვა კაშპიას მიერ შეკრებილი ცნობი-
დან ირკვევა, რომ ქართულად თარგმნილი უცხოური ოპერების
დადგმა თბილისში დაუწყოთა ქართული დრამატული დახის მხასო-
ბებს ჯერ კიდევ წარსული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს. ერთ-
ერთადღედ ხელი მოუვიდათ რუსული და ცხოვროვი ოპერების ქარ-
თულად თარგმნისა და დღმასივების; დამდენენ ჯერ ნაწევებებს,
შემდეგ მილიანდა საოპერო ოხსულებებს. უკვლად ადრე ამ შიგრი
ქართულ მუსიკოსთა და მომწიფართა ურადებმა მიუხერხა ანტ-
ტ. რუბინშტეინის „დემონს“, რა. როგორც ქ. კაშპაშ ფრხვინის,
„იმ გატეხილთა აიხსნა, რომ მასში ქართულად მანგება მოიპოვება
და, გარდა ამისა, თვით პოემა თეატრულიც აღიბა ჩვენს“. ნაწე-
ვებები „დემონიდან“ ქართულად სრულდებოდა დაწყებული 1914
წლიდან; ბოლო მოგვანებით, 1906 წელს რუბინშტეინის ეს ოპერა
მოილიანდა დადგამთ. ასევე დადგებოდა ქ. ა. როსინის „სევილი-
ელი დალია“; შ. გუნის „ფაუსტი“; ვ. ბიჭის „არამია“; ქ. ვერძის
„როგორღედ და „ტრაგედია“, და დღმობის „ლაქმი“ და სხვ. ოპე-
რები. ანტონ რუბინშტეინის „დემონი“ თბილისში პირველად რუსე-
ლად დაიგა 1882 წელს 11 ოქტომბერს. შემდეგი წლიდან თბილის-
ში დაუწყოთა ამ ოპერის ცალკეული ადგილობრივი ქართულად დად-
გმა. პირველად ნაწევრები „დემონიდან“ ქართულად შესრულებულ
ენაში ვერძისის თარგმანით. 1887 წლის ივნისში ნაწევრები ამ
ოპერადან ქართულად შესრულებულა, ბოლო 1890 წლის 4 მარტს და
1892 წლის 17 აპრილს — თბილისში. 1902 წლის 16 იანვარს
ის კარგითელს დადგამს ქართულ თეატრში „დემონის“ მეორე
აქტ, ბოლო 1906 წელს 22 იანვარს იმევე თეატრში „დემონი“ ის
კარგითელისა და ვ. გუნის თარგმნით, მოილიანდა დადგმულა.
1912 წლის 11 მაისს, „დემონი“ უკვად დადგმულა წ. ქართველიშვი-
ლის დირიჟორობით. „სევილიელი დალია“ 1871-82 წლების სტუ-
დენტ იტალიური დადგამა, ბოლო რუსულად პირველად დად-
გმულა 1880 წლის 21 აპრილს, ქართულად ქ. როსინის ეს შესანიშ-
ნავი ოპერა (ქართული თარგმნი ვ. გუნისისა და კარგითელისა)
ის კარგითელს დადგამს 1905 წელს — ჯერ „საბრატული საზო-
გადოების“ თეატრში (შ მანის). შემდეგ — სახანოო თეატრის სცე-
ნაზე (22 ნოემბერს); მოგვიანებით ეს ოპერა ქართულ თეატრში
დადგმულა 1911 წლის 30 ნოემბერს. „ფაუსტი“ იტალიურმა ოპერამ
დადგა თბილისში 1865 წლის 30 იანვარს; რუსულად გუნისის
ეს ოპერა დადგმულა 1880 წლის 8 აპრილს, ბოლო 1906 წლის 18 აპ-
რილს სახანოო თეატრში ზ. ფლიაშვილის დირიჟორობით დადგ-



სა და მომღერლების მამინდელი დღეები ცხოვრების შესახებ რ. გიგინეიშვილის ბედზე აღსწვება. „რევა გიგინეიშვილის მამალი-თი საუბლინში...“ — წერს იგი. „ქრისტინე“ ახალგაზრდა ავტორის პირველი გაუბედავი უდა და სუსტი ნაწიერ იყო. ოპრა დამარცხდა, მაგრამ მის ავტორს შემდეგ იქნება გამარჯვება მოეპოვება, სათანადო პირობები რომ ჰქონოდა. მეორე ოპრა „ჩადონანი“ დაწერა, მაინც უფერადებოდა დარჩა. რაიმე დახმარებზე დასაწყის უღმევი იყო...“

ქართული საზოგადოება გულის ფანქარალოთ მოილოდა ქვემოთაირი ცივ რენეზე ოპრების. განსო სულ რაიმედებზე უფად და ეს ოპრებიც იხილა საზოგადოებამ. მაგრამ ჩრფავ გიგინეიშვილის დავალი მინც არაა დასაწყისა: მისი ოპრა, პირველი ქართული ოპრაა, ამხალველი ქართული მშრომლის ტანვით აღსახეც ცხოვრებისა, რომელიც მოლიანი სხობი დადგა საოპერო სცენაზე. რევა გიგინეიშვილისა და მისი ოპრის შესახებ ძალიან მეტიც ცნობები გამოქვეყნებულია ქართოლოდ პრესაში, აქა-იქ თუ წაყენებულ თითო-ორიდა ცნობას. „თეატრალური ენციკლოპედიის“ ქართული თეატრალური მიმდენი სტატიაში უხსენებია მხოლოდ, რომ „1918 წელს თბილისის თეატრის სცენაზე დაიდგა რ. გიგინეიშვილის ქართული ოპრა „ქრისტინე“ (იხ. ტ. II, გვ. 292). 1902 წელს „ქრისტინე“-ს დადგის შესახებ მოიპოვება შ. კაშიას გამოკვლევაში (იხ. ნაწ. I, გვ. 411-413) და გ. ბერანდტის „ოპრების ლექსიკონში“ (იხ. გვ. 114).

შენიშვნები:

1 აქედ და შემდეგაც რუსულ ყადაზე გადაკეთებულ გვარები მოიხსენიებან მათა სწორი ქართული ფორმით: არაგვინეა — არაგიშვილი, მსარაგვინეა — სარაგიშვილი, აგვინეა — ლეონიშვილი და ა. შ.

2 ივანე ალექსი ძე კაპლუცი (1857—1942), ცნობილი რუსი ფილოლოგი და ქიმიკოსი, 1903 წლიდან იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, 1910 წლიდან ამავე უნივერსიტეტის დამახინებულ პროფესორი. როგორც ცნობილი საბჭოთა მეცნიერს, მის მიერ ნიუა წოდებები მეცნიერებათა დამახინებელი მოღვაწისა (1929) და სხვა შენიშვნებათა ავადების საბაბი იქნება (1922).

3 ანა, მაგალითად, ყრილობის განმარტების, 16 ივნისს, როგორც დღე დღეათა ოღონდას სამი ათას კაცამდე იყო, ქუდაქის საბჭოს მიერ არტისტული საზოგადოების სახელგანთი სადგომში გამართულ „ნათა საღამოს“ ოთხი ათას კაცამდე — დღეაგებო და სტუმრები დასწრები. იხ. „სახალხო გაზეთი“, 18. VI. 1913, № 921.

4 მეოთხედს ვესხვს შევაცხენით, რომ ამ ყრილობაზე, როგორც მისი თავმჯდომარის ი. ა. კაპლუციის, ისე დღეაგებების გამოსცემაში არა ერთხელ გამოითხილა სურვილი თბილისში უმჯობესი საწარმოების დაარსების შესახებ. იხ. მაგალითად, „სახალხო გაზეთი“, 18 VI და 22 VI 1913, № 921 და 925.

5 ქართული საზოგადოების საქველმოქმედო მუშეები დაიწყო 1888 წელს, ცნობილ ისტორიკოს დმიტრი ბაქრაძის თაოსნობით. მუშეებს განავადო კომიტეტი, ხოლო მუშეუმის გამგებ იყო მისე ყანაშვილი, მღვიანე — დეკანოზი (მოგვიანებით კათალიკოს-პატრიარქი) კალისტრატე ცინცაე.

6 მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ილია ქვეჯავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრისა და ქართველი კულტურის მოყვარულთა საზოგადოების შესახებ იხ. ირ. ტატი-უელერი და თ. დვანიანოძე, მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბ., 1960, გვ. 92-93, 218-223, 245-247, 288; ი. გოღობიძე „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ (საარქივო ფონდის მიმოხილვა), საქართველოს სსრ მინისტრის საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს „სამეცნიერო-თანაფორმაციო ბიულეტენი“, № 15-16, თბ., 1967, გვ. 146-162; მამთიე, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ ისტორიისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოთავარი საარქივო სამმართველოს „სასისტროიო მოამბე“, № 27-28, თბ., 1973, გვ. 225-303. ქვემოთ ყველგან მოიხსენიებული იქნება შემოკლებით: „სასისტროიო მოამბე“, № 27-28.

7 დმიტრი არაგიშვილის ი. ქვეჯავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრისთან თანამშრომლობის შესახებ იხ. ნაწ. I, ტ. II, პატივითი და თ. დვანიანოძე, დასახ. იხს., გვ. 222-223; მამთიე, იხ. იხ.

8 ოქმი რუსულადაა დაწერილი. მის ხელს აწერენ: საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე — გ. ყორღანიანი და მღვიანე — დ. ცინცაე. ოქმი გამოქვეყნდა ლ. გოღობიძის იხ. მისი ამხალველი ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ისტორიისათვის, № 11, „სასისტროიო მოამბე“, № 27-28, გვ. 249-251.

9 იხ. ლ. გოღობიძე, მასალები... № 11, „სასისტროიო მოამბე“, № 27-28, გვ. 249-250.

10 იხ. მამაბებე წაუთხოვას ორ-საათიანი მოხსენება საქართველოს ისტორიული წარსულისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. მეორე მოხსენება გაუკეთებია გ. ყორღანიანს თებზე: „ქართველი ხალხის ყოფი-ცხოვრება და სწავრეკვლეობა თაე. ი. გ. ქვეჯავაძის ნაწარმოებების მიხედვით“. ჩვენ არ შეგუგებვლია მ. მამაბებელის ეს თბულება გამოქვეყნებული სხობი. კრების ოქმში მოყვანილი იყო მხოლოდ მოხსენებლის სათავეები და სამთვე მოხსენების შესახებ დაწინაურდა: „დაბამებდა“ (იხ. ლ. გოღობიძე, მასალები... № 11, „სასისტროიო მოამბე“, № 27-28, გვ. 250). რაც შეეხება გ. ყორღანიანს მოხსენებას, პირველად მან ამ შესახებ მოხსენება წაითხა სტუდენტობისას „უბნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოების ეთნოგრაფიული განყოფილების საჯარო სტომაზე მოსკოვში, 1908 წელს 12 მარტს, და ეს მოხსენება შემოკლებით დაბამდა ეფრნა ლ. „Этнографическое обозрение“-ს 1908 წლის № 1-2-ში. სტატია ამხალველის სხობითა დაყლია ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საარქივო ფონდში.

11 იხ. ლ. გოღობიძე, მასალები... № 11, „სასისტროიო მოამბე“, № 27-28, გვ. 250.

12 იხ. ლ. გოღობიძე, მასალები... № 11, „სასისტროიო მოამბე“, № 27-28, გვ. 250-251.

13 იხ. ლ. გოღობიძე, მასალები... № 11, „სასისტროიო მოამბე“, № 27-28, გვ. 250. ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ისტორიის მიმოხილვაში ლ. გოღობიძე ამ საღამოზე გამოთხილი კონცერტის შესახებ წერს: „...მოხსენებების შემდეგ ჩატარდა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მის. კეკელიძის გუნდმა, აშელემა, მოყვარულთა და სხვა ქართული სიმღერების განმარტების რუსულ ენაზე ოძლოვა კომპოზიტორი და არაგიშვილი“. ლ. გოღობიძე, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ (საარქივო ფონდის მიმოხილვა)“, იხ. საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-თანაფორმაციო ბიულეტენი, № 15-16, თბ., 1967, გვ. 156.

14 იხ. ლ. გოღობიძე, მასალები... № 11, „სასისტროიო მოამბე“, № 27-28, გვ. 250.

15 „დემოკრატული იდეებით გამსჭვალული და არაგიშვილი სრულმეტყველებული უფროსი მოსკოვი კონსერვატორის“ და აგრეთვე მასწავლებლის აქვე, იგი ამვედ იხილა ორგანიზატორია და ერთ-ერთი რედაქტორიაგანი მონაწილე სამუსიკო ვარსილას „Музыка и жизнь“ (1908), ფრემდებელთა ასოციაციის ვარსილას განყოფილების დამხმარე საზოგადოებამან ჩამოყალიბებული სამუსიკო განყოფილებისა. მისივე ინიციატივით და მხარეველობით არბატის რაიონის უღარიბესი მოსწავლეებისათვის დაარსდა სამუსიკო კლასები, სადაც თითოერთე ასწავლიდა...“ — წერს ლ. არაგიშვილი სტომაზე მის ამ მოსწავფერი პერიოდის შესახებ თაისი მოთავადილ ნარკვევში გრიგორ ჩხვიკაძე (იხ. გ. ჩხვიკაძე, საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორები, თბ., 1956, გვ. 32).

16 იხ. დმიტრი არაგიშვილის ავტობიოგრაფია, ეფრნა ლ. „თეატრი და მუსიკა“, ქუთაისი, № 1, მარტი, 1919, გვ. 12 და 15.

(დასასრული იქნება)

ძართული თეატრალური განათლების დარგში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის პროფ. აკაკი ფალავას. მის მიერ 1921 წელს დაარსებულ დრამატულ სტუდიაში აღიზარდნენ ქართული საბჭოთა თეატრის თვალსაჩინო მოღვაწენი. თეატრის საუკეთესო მცოდნე და მოყვარული აკაკი ფალავა აბიტურიენტების შერჩევაში იშვიათად ცდებოდა. თვალი მსახიობის სულის სარკეაო, იტყოდა ხოლმე და როგორც ამ სარკის საიდუმლოთა ამომცნობი, ყოველი აბიტურიენტის თუ სტუდენტის თვალღებში კითხულობდა მის უნარს. მართლაც, დააკვირდით ამ ახალგაზრდა ქალის დიდრონ ჭკვიან თვალებს. განა არ იგრძნობა აზრის სიღრმე, გრძნობათა უსაზღვრო კიდე-განი? აი, ამ თვალებისათვის შეარჩია ბატონმა აკაკიმ იგი თავისი სტუდიის მსმენელად. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართული თეატრი ნიჭიერი ახალგაზრდა თაობის სივინროვეს განიცდიდა და თითქმის სულს ღაფავდა. ასეთ დროს ბატონი აკაკი ეძებდა ისეთ ახალგაზრდებს, რომლებიც ქართული თეატრის სიყვარულის გამო სიძნელეთა გადალახვას არ შუშინდებოდნენ, თავიანთ ნიჭს ხელოვნების საკურთხეველზე მსხვერპლად მიიტანდნენ. თითქოს ძნელი იყო ასეთი ახალგაზრდების შერჩევა, მაგრამ ბატონი აკაკი მათ თვალეში ეძებდა მიზნის სისწორეს და ნიჭის ელვარებას. ვკონებ, სწორედ ეს სასურველი თვისებები ამოიკითხა ამ გულისხმიერმა აღმზრდელმა ხათუნა (ანა) სიმონის ასულ ჭიჭინაძის დადრონ, ჭკვიან თვალებში. ამოიკითხა და არც შეცდა. ხათუნა არა მარტო ნიჭით აკმაყოფილებდა აკ. ფალავას მაღალ და, შეიძლება ითქვას, მკაცრ მოთხოვნებს, არამედ სანიმუშო დისციპლინითა და გულმოდგინებით, იგი თავის ჯგუფში საქმის წარმმართველად ითვლებოდა, მას ავალეებდა ყოველგვარ საორგანიზაციო საქმეს და წინასწარვე სჯეროდა, რომ იგი ყველაფერს გულდაგულ შესარულებდა. ჩვენ ხელთა გვაქვს, ხათუნას ოჯახში სათუთად შენახული აკ. ფალავას წერილის ერთი გაყვითლებული და გვერდებშემოცრეცილი ფურცელი (სამწუხაროდ, მეორე ნახევარი დაკარგულია და ამის გამო მისი თარიღიც უცნობია). ამ წერილში ბატონი აკაკი ავალეებს ხათუნას აწარმოოს მეცადინეობების აღრიცხვა, შეკრიბოს სწავლის ფული და აკრფილი თანხიდან

ხათუნა ჭიჭინაძე

ეთერ დავითაია

შესაბამისად გადაუხადოს პედაგოგებს თავიანთი გასამრჯელო და საჭირო ინვენტარიც შეიძინოს. ვინც ბატონ აკაკის პირადად იცნობდა, ადვილად მიხედვდა ვინ ყოფილა ხათუნა ჭიჭინაძე, როგორც მოქალაქე და სტუდენტი. არც თუ ასე ადვილი იყო ბატონი აკაკისაგან ასეთი ნდობის დამსახურება. არ შემეცდარა ეს ამავდარი კაც; ხათუნა ჭიჭინაძე სიცოცხლის ბოლომდე საქმის ერთგული და სანდო მეგობარი იყო თავისი კოლეგებისათვის.

ამვე წერილში ისიც იგრძნობა; ხათუნა თავის ამხანაგებში სპეციფიკურ საგნებშიც რომ ყოფილა გამორჩეული. ბავშვობიდანვე ისტორია და მხატვრული ლიტერატურა ყვარებია, ადამიანთა ხასიათების გამოცნობა და მათთან სათანადო დამოკიდებულების დამყარებაც შეძლებია. ეს თვისება, ჩანს, სტუდიაში სწავლისას უფრო მეტად გამოიკვეთა, ეტყობა, პიესის ფსიქოლოგიური ნიუანსების ამოკითხვის უნარი გამოუჩენია და ამიტომაც შემდეგი დავალებმა მისცა ბატონმა აკაკიმ —

„... თქვენ ტექნიკურად დაამზადეთ და ლიტერატურულად, ფსიქოლოგიურად, ყოფა-ცხოვრების მხრით შეისწავლეთ რამდენადაც მოგიხერხდეთ შემდეგი პიესეა:

„ბადუსი პერცოგინია“ — უაილდის, „ფრანჩესკო და რინინი“ — დანუნციოს, „ლა-ლატი“, „ლონდა“, „ვიდრე ხვალ, უფალო“, „მებალის ძალი“ — ლოპე-დე-ვეგასი, შექსპირი და მოლიერი. ჯერჯერობით ესეც კმარა. თუ დამავგიანდა უფრო დანერვილებით მოგწერთ“. რაოდენ ნაკითხი და განათლებული უნდა ყოფილიყო გოგონა, რომ მას თამამად მიანდო ამდენი რთული პიესის გაგება და განალიზება! წერილის ეს პატარა ნაწილი ძალიან ბევრსა და მნიშვნელოვანს გვაუწყებს ხათუნა ჭიჭინაძის შესახებ.

ხათუნა ჭიჭინაძე იმერეთის ერთ პატარა, ლამაზ სოფელ ჭოლევეში დაიბადა 1901 წლის 1(14) იანვარს, იქ გაატარა ბავშვობა. სათნო და კეთილი დედის, ქეთევანის ზედამხედველობით ყალიბდებოდა გოგონას ხასიათი და ადამიანური თვისებები. წიგნის და თავისი ქვეყნის ისტორიის სიყვარულიც დედამ ჩაუწერდა. თეატრი ჭოლევეში არ იყო და, ამდენად, ვერ ვიტყვით, რომ ამ საქმისადმი სამსახურის სურვილიც იქვე გასჩნდოდა, მაგრამ იყო რღავე განსაკუთრებული ბავშვში, რაც იმთავითვე განაპირობებდა მის მომავალს. ძალიან უყვარდა ლექსების კითხვა და როდესაც ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში მიაბარეს, აქ ეს მისი თვისება განსაკუთრებით თვალნათლივ გამოიკვეთა, როგორც ამხანაგების, ასევე დამოაგებებისათვისაც. ხათუნას თანაკლასელი რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ბარბარე ფილიპეს ასული ჭეიმიძე იგონებს, თუ რა დიდი გატაცებით იცოდა ხათუნამ ლექსის და მოთხრობის კითხვა; გულში ჩამწვდომი ხშირ კითხვობდნენ ბარათაშვილის „მერანს“. უბრალოდ გაკვეთილის მოყოლის დროსაც კი საოცრად ხატოვანი თხრობა იცოდაო და მთელი კლასი სულგანაბული მიჭერებოდიოთ, იგონებს ხანდაზმული მეგობარი.

ქუთაისი ოდითგანვე დიდი თეატრალური ტრადიციების ქალაქი იყო. აქ მუდამ მაღალკვალიფიციური დასი იყო და ხათუნას მოწაფეობის დროსაც სანიმუშო სპექტაკლები იდგებოდა. მარტო ნუცა ჩხეიძისა და ალექსანდრე იმედაშვილის ცქერა იყო საკმარისი, რომ არტიტული ბუნებით დაჯილდოებული გოგონას მსახიობად გახდომაზე ფიქრი დაეწყო, თუმცა, იმ დროს, ტრადიციული ქართული ოჯახიდან გამოსული ქალიშვილისათვის არც

თუ ისე ადვილი იყო ასეთი ნაბიჯის გადადგმა და 1919 წელს ხათუნა სწავლის განსაკრძელებლად ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში შედის, მაგრამ შინაგანი მონოდება ბოლოს მაინც აკაკი ფალავას დრამატულ სტუდიაში მიიყვანს. სხვათაშორის, იქვე აგრძელებს სწავლას მისი ძმა პეტრეც, რომელმაც ქართულ თეატრსა და ესტრადას დიდი ღვაწლი დასდო.

პირველი მოწონება და აღიარება ხათუნა ჭიჭინაძის ნიქს ხედა 1923 წლის ივნისში, როდესაც ფართე საზოგადოების სამსჯავროს წინაშე გამოტანილი იქნა სტუდენტობა ნამსუფეარი სასცენო მეტყველებაში. ამ დღეს პირველად წაიკითხა სცენიდან აუდიტორიის მოსასმენად ურთულესი მონოლოგი — სალომეას საუბარი იოქანაანთან ო. უაილდის „სალომეადან“. საერთოდ ძნელია მონოლოგის კითხვა და ისიც ამ მონოლოგის, რომელიც მაღალ ოსტატობას მოითხოვს. ამ მონოლოგში სალომეს რთული სახე მთელი სისახებით გამოიკვეთება. იოქანანას თანაგრძნობს ევედრება სიყვარულის ცეცხლის ალით აღვზნებული იმედიშვილი. იგი ამ საუბრისას აღრქევებს ქალურ მომხიბვლელობას, მაგრამ თავისი რწმენის ერთგული იოქანაანი ბრმა და ყრუა გასაკაცარი ქალის მიმართ და სალომეაში თანდათან იღვიძებს გაბოროტება, რომელიც დამანგრეველი ძალით ეშუქრება თავის მსხვერპლს. გამოუცდელმა სტუდენტმა გოგონამ თავის გრძნობათა ცეცხლის კიაფით მოხიბლა მსმენელი და პირველი აღტაცებული რეცენზიაც დაიმსახურა — „კარგი იყო სტუდენტი ქალი-ჭიჭინაძე, რომელმაც ოსკარ უაილდის „სალომეადან“ წაიკითხა იოქანაანთან საუბარი. მას აქვს მშვენიერი დიქცია, ხმა, განცდა, ბუნებრიობა და ყველაფერი ხელს უწყობს სასცენოდ. ჩვენის აზრით მას ქართულ სცენაზედ დიდი მომავალი აქვს“-ო, წერს რეცენზენტი ვ. ბ. (გაზ. „ტრიბუნა“, № 490, 3 ივნისი, 1923). ამ მონოლოგის კითხვაში მონიშნა მომავალი მსახიობის დრამატული ნიჭი, რაც შემდეგ მოღვაწეობის დროს უფრო ნათლად გამოიკვეთა.

სტუდია ყოველწლიურად წარმოსდგებოდა საზოგადოების წინაშე საანგარიშო საღამოებით. ხათუნამ მომდევნო წელს ნაზი გრძნობებით აღსასუბი სრისეს მონოლოგი წაიკითხა და კვლავ წარმატება მოიპოვა. იმ დროს ცნობილმა რეცენზენტმა



ხათუნა კიკნაძე

ლელი ჯაფარიძემ ამ მონოლოგში მსახიობის მომავალიც კი განჭვრიტა — „... თუ კი პირველს დეკლამაციით შეიძლება ალლო აელოს ხელოვანს — ჭიჭინაძეში მოსჩანას ნაზი და მგრძნობიარე მსახიობი“ (გაზ. „კომუნისტი“, № 60, 14 მარტი, 1924). მართლაც, ხათუნა ჭიჭინაძის გმირებს არც ქალური სინაზის მაღლი მოჰკლებიათ და არც ნებისყოფით აღსაესე ქალების დრამატული ძალა.

აქ ფალავას სტუდია რუსთაველის თეატრთან არსებობდა და სტუდიელებს ჰქონდათ ბედნიერება თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობისა, როგორც მასიურ სცენებში, ასევე ეპიზოდებშიც. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში დაბრუნებული მარჯანიშვილი ახალ ქართულ თეატრს ჭედადა და ამ საქმეში მას მხარს უმშვენივრდა მისი უნიჭიერესი მოწაფე სანდრო ახმეტელი და მსახიობთა საზღაპრო პლეადა, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით ნათელი ეპოქა შექმნეს ქართულ თეატრში. მარჯანიშვილის რეპეტიციები სტუდიელთათვის სასცენო ხელოვნების შეუდარებელი სკოლა იყო. ეს სკოლა გამოიარა ხათუნა ჭიჭინაძემაც და სამუდამოდ შეითვისა თავისი მასწავლებლის, კოტე მარჯანიშვილის მიერ დანერგული სასცენო შემოქმედება. ჯერ კიდევ სტუდიელის ხათუნა მთელი სერიოზულობით განასახიერებდა

კენიას უსიტყვო ეპიზოდს მარჯანიშვილის საოცარი ფანტაზიით შექმნილ ლეგენდარულ სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“.

მარჯანიშვილი ბრწყინვალე ფანტაზიის ხელოვანი იყო, ყოველი ახალი სპექტაკლი, საოცრებებით სავსე სამყაროს ქმნიდა და მასში მონაწილე ყოველი მსახიობი ჯადოსანივით მოსჩანდა თვით ეპიზოდშიაც კი. ახეთი საოცარი სპექტაკლი იყო მოლიერის „გაზნაურებული მდაბიო“ (დადგმა კ. მარჯანიშვილი, მ. ქორელის და ს. ახმეტელის), რომელშიაც ხათუნა პაყის როლს განასახიერებდა. სპექტაკლში უხვად იყო გამოყენებული ფრანგი კომპოზიტორ ლიულის მუსიკა. ხათუნას პერსონაჟიც აწ მუსიკაზე მოქმედებდა და აქ მან თავისი ნიჭის კიდევ ერთი მხარე გამოავლინა — მუსიკალობა და ნატიფი მოძრაობები.

ამ დროს კ. მარჯანიშვილმა და ს. ახმეტელმა დადგეს პირველი პანტომიმა ო. ვახუშტის „მზეთაშუკ“. ხათუნა, სხვა სტუდიადამთავრებულ ახალგაზრდებთან ერთად, მასიურ სცენებში მონაწილეობდა და თავისი მუსიკალობითა და აზრიანი მოძრაობებით ხელს უწყობდა სცენურ სიტუაციათა უსიტყვოდ, მაგრამ გასაგებად გადმოცემას.

დასამახსოვრებელი იყო იმ დროის მიყურებელსათვის ხათუნა ჭიჭინაძის მიერ განსახიერებული თალო ნ. აზიანის პიესაში „დეზურტორკა“ (დადგმა კ. მარჯანიშვილის და ს. ახმეტელის) და ლეკვიპალევიც ფულდის პიესაში „ვირის წრდილი“ (დადგმა აკ. ფალავასი).

პირველი მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, ეს იყო ტატიანა ბ. ლავრენევის „რღვევაში“. სპექტაკლი როგორც რუსთაველის თეატრის, ასევე ახმეტელის შემოქმედებაში საეტაპო მნიშვნელობისა იყო. საეტაპო იყო იგი მთელი რიგი მსახიობების ბიოგრაფიაშიც. საერთო აღიარება მოიპოვეს ამ სპექტაკლში აკ. ხორავამ კაპიტან ბერსენევის, უშ. ჩხიძემ გოდუნის, აკ. ვასაძემ შვაჩის, თ. ჭავჭავაძემ ტატიანას როლებში. ძნელი იყო ახალგაზრდა მსახიობისათვის ამ სახელოვანი მსახიობების გვერდით და განსაკუთრებით კი თ. ჭავჭავაძის შემდეგ ტატიანას თამაში. მსახიობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ ამოვარდნილა ანსამბლიდან და ხელი არ შეუშლია ამ საოცრად მწყობრი სპექტაკლისათვის, არც როლის პირველი შემსრულებლის მოწიურ მიმბაძველი ყოფილა, მან თავისებურად,



საკუთარი შინაგანი მონაცემის შესატყვისად განსახიერა ტატიანას ფსიქოლოგიურად რთული სახე. ტატიანა — კაპიტან ბერსენევის ქალიშვილი, რთულ სიტუაციაში ცხოვრობს, იგი ორი ეპოქის მიჯნაზე დიდი არჩევანის წინაშე დგას. მის კლასს ფეხქვეშ ნიადაგი ერყვია, უმეტესობას სიტუაციაში გარკვევა უჭირს. ბერსენევა სწორად აუღო ალღო ეპოქას და შეგნებულად დაუჭირა მხარი აჯანყებულ მეზღვაურებს. იმ დროს, როდესაც ბერსენევის ოჯახი სულიერ დატვირთვას მოუცავს, ხათუნას ტატიანა თავის თავში ძალას პოულობს გააცნობიეროს შექმნილი ვითარება და ისიც მამასთან ერთად ახალი ეპოქისაკენ შემობრუნდება. მსახიობმა ნათლად უჩვენა გვირის გრძობათა შინაგანი ჭიდილი, ფსიქოლოგიური ნიუანსები და სრული დამაჯერებლობით წარმოაჩინა არისტოკრატი ქალის შეგნებული მისვლა რევოლუციასთან. იგი ამ ნაბიჯს მარტო გოდუნისადმი გაჩენილი გრძობის კარნახით არ აკეთებდა, მას მთელი სისასებით ჰქონდა შეგნებული აუცილებლობა ძველი სამყაროს ნგრევისა, სამყაროსი, რომლის ტიპური წარმომადგენელი მისი ქმარი შტუბე იყო. ხათუნას ტატიანას აღარ შეეძლო ჩასტყვიოდა არც ამ წარმავალ სამყაროს და არც გაზრდილ შტუბეს, მასში ორივე ზიზღს იწვევდა, სამაგიეროდ მთელი სისასებით იზიდავდა ის ახალი, რომელსაც გოდუნი და მისი მეგობრები ქმნიდნენ და მამამ რომ თავი უნდა აღიარა. ახალგაზრდა მსახიობმა ამ როლში სწორედ ის გმირული ძალა გამოაჩინა, რომელიც სცენაზე პირველი გამოჩენისას, სალომეას მონოლოგის კითხვისას მიგვანიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ ხათუნა ჭიჭინაძე პირველი ბრწყინვალე გამარჯვებას ახმეტელის სპექტაკლში მოიპოვა, იგი მაინც ბოლომდე ერთგული დარჩა თავის პირველი მასწავლებლის კოტე მარჯანიშვილის და როდესაც მისი ხელმძღვანელობით 1928 წელს გაიხსნა ქუთაის-ბათუმის მეორე სახელმწიფო დრამა, თავის მეგობრებთან ერთად იმ თეატრს მიაშურა და სიცოცხლის ბოლომდე ამ თეატრის წინსვლისა და შენების მებრძოლთა გვერდით იდგა, როგორც სამსახიობო შემოქმედებით, ისე საორგანიზაციო საქმეთა წარმართვეშიც.

ქუთაის-ბათუმის თეატრში ხათუნას პირველი როლი იყო ევა ბერგი პირველ პრემიერაში ე. ტოლერის პეისაში „შოპა, ჩვენ ვცოცხლობთ“. ამ როლში ხათუნა ელენე დონაურის დუბლიორი იყო, მაგ-

რამ ამან ხელი არ შეუშალა თავისი კონილი გამარჯვება და საერთო მოლოცვებში. ევა ბერგი ახალგაზრდა რევოლუციონერი ქალია, თანმიმდევრული და პრინციპული თავის ბრძოლაში; იგი თამამად და შეგნებულად უპირისპირდება მეამბოხე კარლ ტრამსს. არც ამ სპექტაკლში ჰქონდა მსახიობს იოლი ამოცანა, იგი ისეთი ძლიერი მსახიობის იდეურ მონაღმამდეგს ანსახიერებდა, როგორც უშ. ჩხეიძე იყო. ხათუნამ შტუბე ამ ბოპოქაში ტემპერაციანტის მსახიობის გმირთან ჭიდილში თავისი გმირი სითანდო სიმაღლებე აყევანა და ორთაბრძოლა არ წაეგო.

თბილისში თეატრის გასტროლებიას პრესამ ხათუნას ევა ბერგს მაღალი შეფასება მისცა — „ასევე ძლიერია ხათუნა ჭიჭინაძე ახალგაზრდა რევოლუციონერი ქალის ევა ბერგის როლში. თბილისის თეატრალური აუდიტორიისათვის მოულოდნელი აღმორჩადა ის საოცარი ზრდა, რომელიც განუცდია მსახიობს ამ ერთი სეზონის განმავლობაში“ (გაზ. „კომუნისტი“, 1930 წლის აპრილი).

ქუთაის-ბათუმის თეატრში პირველსავე სეზონში აღადგინა კ. მარჯანიშვილმა თავისი ლეგენდარული „ცხვრის წყარო“ და ლაურენსის მეგობრის ხასინტას ეპიზოდური როლი ხათუნა ჭიჭინაძეს მისცა. თუმცა ეპიზოდური, მაგრამ მაინც სხვა ხასიათი იყო გასახსნელი. რომლის მსგავსი ჯერ არ ეთამაშა და ეს გამოცდაც მსახიობმა სასახელოდ ჩააბარა.

ყოველი ახალი როლი მსახიობის ახალ უნარს და შესაძლებლობას ავლენდა, მაყურებელთა თვალწინ როლიდან როლში იზრდებოდა ხათუნა ჭიჭინაძე. 1929-30 წლის სეზონში იგი დამოუკიდებლად ინიშნება კარლო კლაპის პიესაში „ხატოვე“, მთავარ როლზე. პიესა აჭარელთა ცხოვრებად იანა, იგი შეეხება აჭარაში ახალი ცხოვრების შემოსვლასა და დამკვიდრების პირველ რთულ ნაბიჯებს. ისლამური რელიგიის ტყვედქმნილი აჭარელი ხალხის უფროსი თაობა ვერ გეგუბა მამამადიანური ტრადიციების ნგრევას, უპირისპირდება ახალგაზრდობას და უმანკო სისხლისღვრასაც არ ერდებოდა. ხატოვეს ის ერთ-ერთი პირველი აჭარელი ქალიშვილია, რომელმაც გაბედა და ოჯახის ტრადიციას გადაუხვია, ახალ ცხოვრებაში გამოვიდა, გადაადგო სულის შემზუსთავი და პიროვნების დამატყვევებელი შავი ჩადრი და ნამდვილი ხასიათი წარუდგა ცხოვრებას. ქალიშვილის სიუამამითა და ოჯახური ტრადიციის ნგრევით გაბოროტებული მამა —

გულბათი ჰკლავს თავის ურჩ ქალიშვილს. ხათუნა ჭიჭინაძე ამ როლში თანაუგრძნობდა ტრადიციასგან დაჩაგრულ თავის თანატოლ გოგონას, ესმოდა მისი თვლის წუხილი, გულის ხმა და მთელი არსებით გარდაისახა ამ მამაც ქალიშვილის სახეში. მსახიობმა მთელი სისავსით გადმოსვა ახალი ცხოვრების მშენებელი აჭარელი ქალიშვილის ტრავიკული სახე. აქაც მისი პარტიორები იყვნენ თეატრის უძლიერესი მსახიობები უშ. ჩხეიძე, შ. ლაშაშვიძე და სხვები. ხათუნამ შესანიშნავი პარტიორობა გაუწია უფროს კოლეგებს და მათ გვერდით თამამად გაისმა ალტაცებული შეფასება ხათუნას ხატიჯესიკი, რომელიც განსაკუთრებით აღინიშნა როგორც პრესაში, ასევე მაყურებელთა ფართო მასაში არა მარტო ქუთაისისა და ბათუმში, არამედ თბილისისა და ხარკოვის თეატრის გასტროლებისას. ხატიჯე იყო ის როლი, რომელმაც ხათუნას ადგილი თეატრში საბოლოოდ განსაზღვრა.

იმავე 1929-30 წლის სეზონში მარჯანიშვილი თავის თეატრში დადგა თ. ვახვაშვილის პანტომიმა „ხანძარი“ (მუსიკა იგივე „მზეთამზესი“, რომელიც ახალი ლიბრეტო მიუსადაგა საკოლმეურნეო ცხოვრებიდან) და სხვებთან ერთად ხათუნაც მონაწილეობდა ამ სპექტაკლში, ასრულებდა ახალგაზრდა კოლმეურნე ქალს. სპექტაკლს არ ჰქონია დიდი გამოახილი და, ამდენად, ვერც ხათუნას იმიჯის გამოწვევა მაყურებელთა თანაგრძნობა.

1930 წ. დიდი საგასტროლო მოგზაურობიდან (თბილისი, ხარკოვი, მოსკოვი) დაბრუნებული მეორე სახელმწიფო დრამა მთავრობის დადგენილებით თბილისში გადმოდის და ზუბალაშვილის სახალხო სახლში (დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრი) იდებს ბინას. თეატრის რეპერტუარში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს თანამედროვე დრამატურგია, როგორც ქართული, ასევე რუსული და მოძვე რესპუბლიკების. დიდი აღიარება ჰქონდა ამ დროს დადგმულ პიესებს „კომუნა ველზე“, „ანათეთ ვარსკვლავანო“, „პური“, „ლიანდაგი გუგუნებს“, „აკაკი გულში“, „ესკადრის დაღუფა“, „შიში“ და სხვა. ყველა ამ სპექტაკლის გამარჯვებაში თავისი წვლილი ხათუნა ჭიჭინაძესაც შეუქონდა. განსხვავებული ხასიათები შექმნა ამ პიესებში ხათუნამ და ყველგან ერთნაირი მონოტონი სარგებლობდა. გმირული შემართებით სავსე პარტიზანი ელენა ჩერედა („ანათეთ ვარსკვლავანო“), რომელიც ახალი ცხოვრების შენებისათვის იბრძვის და ამისათვის მთელი ძალღონით სწავლის მიღებისათვის რომ იწვის; ასევე ძლიერი

ნებისყოფისა და შეუპოვარი მებრძოლი კომისარი ქალი („ესკადრის დაღუფა“), მტკიცე და თანმიმდევრული ხიმაკა („კომუნა ველზე“), ცხოვრების ვითარებაში გაუცნობიერებელი მერყევი ბოროდნა („შიში“) და სხვა სახეები, რომელთაც საფუძველში საერთო ჰქონდათ სიმტკიცე, მაგრამ ნიუანსები რომ განსხვავდებოდა მჭიქერი მსახიობის მიერ შექმნილი ხსენებული გმირები. იმ როლების მიხედვით თითქოს ხათუნას სამსახიობო სახე გმირულ ხასიათში გამოიკვეთა, მაგრამ ასე ვიწრო არ იყო მისი დიაპაზონი, მან გააპართლა სტუდიაში მიღებული შეფასება, ნაზი და ლირიული გმირებიც ასევე მაღალ დონეზე განასახიერა. დასამასსოვრებელი და გულში ჩაშენვდომი იყო მისი მირიემი (გ. ბაზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“), დაჩაგრული ქართველი ებრაელი ქალი, რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს იმ უზადრეც ცხოვრებას, რომელიც ძველ დროში მისი ერის ხალხის ნილხვედარი იყო. მთელი თავისი მოქალაქეობრივი შეგნებით თანაუგრძნობდა ხათუნა ჭიჭინაძე სცენურ გმირს და მაყურებელსაც მისი ცხოვრების სიდუხჭირეს აზიარებდა. ამ როლს ჩვენი თეატრის მშენებმა ვ. ანჯაფარიძემ ანსახიერებდა და საერთო აღტაცება იწვევდა. ხათუნა ჭიჭინაძე ტოლი არ დაუდო თავის საყვარელ მეგობარსა და კოლეგას, თავისებურად, დიდი სიმართლითა და ქალური სინაზით, ყოველგვარი მობაძვის გარეშე განასახიერა როლი. პრესამაც სათანადო შეფასება მიუზღო ხათუნას მირიემს, როგორც თვითმყოფად ფერებითა და ხერხებით განსახიერებულ გმირს.

ასევე არ დააკინა და ღირებულება არ დაუკარგა დილაზ მილერს (მილერის „ვერაგობა და სიყვარული“), რომელიც დიდის დრამატულობით განასახიერა ვ. ანჯაფარიძემ. ვფიქრობთ, რომ ხათუნა ჭიჭინაძისათვის დიდი შეფასება ვეროკოს გვერდით, იმავე დონეზე და თვითმყოფად რომ ასრულებდა როლებს რამოდენიმე სპექტაკლში. ამ როლებში ხათუნა თავის გმირებს მომხიბლავი ქალური სინაზით ამიდრებდა და ნათულ ფენდა.

ბ. ჭიჭინაძის ნიჭი ფართე დიაპაზონის იყო; დრამატული და ლირიული როლები თანაბარი სიძლიერით გამოხდებოდა, არც ხალასი კომიკური სახეები იყო მისთვის მიუწვდომელი. მარჯანიშვილის მიერ დადგმული შალვა დადიანის „აკაკი გულში“, უმაღლესი კომიზმით გატყისკრვინებული სპექტაკლი იყო, ყოველი დეტალი, ყოველი სცენა, ყოველი გმირი, სპექტაკლში ამ მიზანს ემსახურებოდა, ხათუნაც თავისი მა-

როტი საერთო ანსამბლში იყო შერწყმული და სპექტაკლის ფდერადობას შეუნღებელივ იცავდა.

სხვადასხვა სპექტაკლში სხვადასხვა ხასიათის შექმნა შედარებით უფრო ადვილია, მაგრამ ერთ სპექტაკლში ორი სხვადასხვა ხასიათის ჩამოძერწვა, ვერსიო ანჯაფარის დისა და თამარ ჭავჭავაძის დუბლიორობა და ამ რთული ამოცანიდან ალაღად გამოსვლა ასე ადვილი არ იყო. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „ნიწონვილის გური“ თავის დროზე გამორჩეული წარმოდგენა იყო თუნდაც იმით, რომ იქ თამაშობდნენ ჩვენი თეატრის უქრობი ვარსკვლავები და მათ გვერდით ორი სხვადასხვა გმირის თამაში: გინატრე (ვ. ანჯაფარიძის დუბლიორი), დარიკო (თამარ ჭავჭავაძის დუბლიორი), არც თუ უბრალო და იოლი იყო. ხათუნამ ორივე როლიში თავისი აქტიორული სიტყვა თქვა, რომელიც აღბეჭდილი იყო მომხიბველობით. ხათუნას გინატრე იყო ნაზი და გულთბილი, გულუბრყვილო და მიმნდობი, უსიყვარულოდ გათხოვილი ადვილად გაება იასონის ცბიერ ბადეში. მის გმირს არ შეეძლო წინააღმდეგობა გაენია თავისი დამლუპველი ბედისათვის. ხოლო დარიკო სრულიად განსხვავებული ხასიათი იყო და ხათუნამაც აქ გამოაჩინა თავისი სამსახიობო შესაძლებლობების სრულიად სანაწილმდეგო მხარე.

ჩვენ დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ აკ. ფაღვამ ხათუნა ჭიჭინაძეში მრავალი საინტერესო თვისება შენიშნა, რომლებიც შემდეგში ნათლად გამოიკვეთა და მათ შორის თითქოს ერთი დარჩა განუვითარებელი — ეს პიესის რეჟისორულ ამოკითხვას შეეხებოდა და უნდა ითქვას, არც ეს უნარი დარჩენია მოუსინჯავი; იგი იყო რეჟისორის ასისტენტი კარლო კლაპის პიესის „სახლი მტკერის პირას“ დადგმაზე (დადგმა ეკუთვნოდა კ. მარჯანიშვილს). სპექტაკლი თავის დროზე შთაბეჭდავი, საინტერესო იყო, რაშიც ხათუნასაც მიუძღოდა გარკვეული წვლილი.

ხათუნას მსახიობურ ნიჭსა და მოქალაქეობრივ თვისებებს გულთბილად იგონებს ვერიკო ანჯაფარიძე — „...ნიჭიერი შემოქმედი იყო. — ყოველი სცენური სახე მის მიერ შექმნილი იყო როგორც ვარსკვლავი, რომლის შუქი თვალს არ სჭრის, მაგრამ გულს სწვდებოდა, თბილი და მიმზიდველი იყო, ქალური სინაზით აღსავსე. საოცარი გრაციოზული და პლასტიკური...“

...ხათუნა უადრესად ბედნიერი იყო. ეს იყო თეატრის ოქროს ხანა, მარჯანიშვილის ბრწყინვალეების დრო. უშანგის ნიჭი დაგვენათოდა და გვერდით გვყავდა პლეადა



ხმა — „კომუნა ველე“

ელენე ჩერედა — „ანათო ვარსკვლავნი“



ბრწყინვალე მსახიობებისა. სიხარული, აღ-
გზნება, დღესასწაული სცენაზე და სცენის
გარეთაც. სიცოცხლეს სავსე თასით ვსვა-
მდით! ზოგჯერ ღრუბლებიც გადავიდოდ-
ნენ ჩვენს ცაზე, მაგრამ უამისოდაც ხომ
არ შეიძლებოდა. მე ცუდი დღეები აღარ
მახსოვს. დარჩა ის, რაც განუმეორებელი
ყოფს: თითქოს უწყვეტი დღესასწაული, რო-
ცა გორც ცისარტყელა, რომელიც ერთი კოდ-
იდან მეორეს გადასწვდებოდა მთელ ცაზე.

ყოველთვის ერთად ვიყავით; ქუთაისმა
საოცრად დაგვაკავშირა! გვიყვარდა ერთმ-
ანეთი, და ყველას გვიყვარდა ხათუნა! მის
ბუნებაში იყო თავმოყრილი ის სიმდიდრე,
რომელიც ადამიანს ბედნიერად ხდის. რა
გული ჰქონდა, — კეთილი, მოსიყვარულე,
მზრუნველი, სახე მოლიმარი, ღიმილი მას
საოცრად უხდებოდა, თვალეში გამოუც-
ნობი სურვილი უკრთოდა და მთლიანად
იყო საოცრად მიმზიდველი...“ ასეთი დიდი
ხელოვანის მიერ მიცემული ამგვარი შე-
ფასება, ბევრის მთქმელია, თუნდაც იმისი,
რომ ხათუნამ სიცოცხლისა და მოღვაწეო-
ბის მოკლე მანძილზე თავისი სიტყვა თქვა,
რომელსაც დღესაც შეუძლია ჩვენს გულ-
ებში სათანადო გამოძახილი გამოიწვიოს.
ეს ჩვენი წერილიც ამ გამოძახილად უნ-
და გაიხმას. შეიძლება ამ მოკლე სტატიაში
სრულად ვერ ამოვწურეთ ამ ქვშმარიტი
ხელოვანის შემოქმედება, სათანადოდ ვერ
გავაანალიზეთ, მაგრამ შევახსენეთ მაინც
მკითხველს, რომ იყო ასეთი თავდაბალი
და ნიჭიერი მსახიობი, თეატრის ერთგუ-
ლი მოღვაწე, მეგობრის გამტანი, კეთილ-
შობილი და პატიოსანი მოქალაქე, თანმი-
მდევრული თავის ქვეყანა და მოქმედება-
ში. ხათუნამ თავის მასწავლებლად იწამა
კოტე მარჯანიშვილი და ბოლომდე ერთგუ-
ლი დარჩა მისი, მიუხედავად თავისი ოჯა-
ხური მდგომარეობისა, ქუთაისში ნაყვ-
სამუშაოდ. ბოლომდე იბრძოლა თეატრში
იმ საქმის განმტკიცებისათვის, რომელსაც
მარჯანიშვილმა საფუძველი ჩაუყარა. რო-
ცა რწმენა შეერყა, მიატოვა საყვარელი
თეატრი, რადიოსა და ფილარმონიაში გა-
დავიდა, დეკლამაციასა და მხატვრულ სი-
ტყვას მიუბრუნდა, რომლითაც თავდაპირ-
ველად გაითქვა სახელი.

სრულიად ახალგაზრდა — ოცდათექვს-
მეტი წლისა ნავიდა ხათუნა ამ ქვეყნიდან,
სულ რაღაც ათი წელი იმოღვაწა, მაგ-
რამ ნაყოფიერად და საწყენია, რომ აღარ
დასცალდა ბოლომდე ეთქვა თავისი მსახი-
ობური სათქმელი, ბოლომდე ემსახურა
თავისი ხალხისათვის, მაგრამ კეთილშობ-
ილური ღვაწლი არასოდეს იკარგება, არც
მას დაკარგვია.

სასწაულებრივ გადარჩენილი

ზურაბ სარჯველაძე

...ასე: წელსა ძლიბს
ადამსა აქეთ
წეროდნენ ქართულ წოგნს...
აღიღეთ, აქეთ!
ტაცებას, დასჯას,
წარლენას ცაღოხა,
წ სღვას დაოაყად
და მომაკეთო“.

გ. ტაბიძე

იმ მატერიალური და სულიერი კულტურის საგანძუ-
რში, რაც ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ისტო-
რიის მანძილზე შექმნა, სრულიად განსაკუთრებული ად-
გილი უკავია ძველ ქართულ ხელნაწერებს. ჩვენამდე მო-
აღწია 10000-მდე ქართულმა ხელნაწერმა. მათ შემო-
გვინახეს უძვირფასესი მასალა ქართველი ერისა და მისი
კულტურის ისტორიისათვის. სწორედ ამიტომაც, რომ
ძველი ქართული ხელნაწერების მიმართ გაცხოველებულ

ინტერესს იჩენენ არა მარტო ქართველი სპეციალისტები, არამედ მათ ღრმად და საფუძვლიანად სწავლობენ სავრანეუმი, ინგლისში, ბელგიაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იტალიაში, უნგრეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

ჯერ კიდევ 1838 წელს, მაშინ როცა ძველ ქართულ ხელნაწერთა მეტად მცირე ოდენობა იყო შეკრებილი, აკად. მარ ბროსი, რომელიც რადიკალ ძველ ქართულ ხელნაწერს გაეცნო, წერდა: „თუ ხალხის გონებრივი განვითარების დონეზე უნდა ვიმსჯელოთ ლიტერატურული სიტუაციის მიხედვით, არაფერი არაა ისე იოლი, როგორც შეფასება საქართველოს გონებრივი განვითარების დონისა. ქართულ ლიტერატურაში გამოყოფა: ღმრისმსტყვევლება (ასსულელო მწერლობა), პოეზია, ისტორია... სასულიერო ლიტერატურა საქართველოში გაიყვანა ისეთი ბრწყინვალეობით... პოეზიის ყვევილებმა კეთილსურნელებით აღაფეს ყველა ველი და გვირგვინებით შეამყეს კავკასიის ყველა მწვერვალ“.

ამჟამად, როცა ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული, ჩვენი ვაღია, მაღლირების ვრძნობა გამოეხატათ იმათ მონარო ვინც დიდი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში. ესენი არიან: მ. ბროსი, ზ. იოსელიანი, ე. კარდავლი, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, ზ. უფარივა, ე. ძანია, ზ. პაიროვსკი, დ. ბაქრაძე, გ. წერეთელი, თ. ჟორდანიას დ. ჩუბინაშვილი, დ. კარაგუშვილი, მ. ჭანაშვილი, ზ. ჯავახიშვილი, მ. თამარაშვილი, კ. შუხრაძე, ი. უორდრაში, კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი, მ. თაბინაშვილი, ა. შანიძე, ზ. ბლეიკი, ე. გარბატი, ი. ასფალაძე, ი. მლითიორი, ი. იელნიკა, ი. აბულაძე, ი. იმნაიშვილი, მ. ესბრაყი, ჯ. ბერდუხოლი, ბ. უტეე და მზავალი სხვა. მათი დამსახურება ისაა, რომ ძველი ქართული წერილობითი ძეგლებს უმრავლესობა შეკრებილია, ხოლო საქმთო ნაწილი-გამოქვეყნებული და შესწავლილი.

არაერთი ძველი ქართული ხელნაწერია დაცული საქართველოს ფარგლებს გარეთ. მათი უმრავლესობა ჩვენთვის ცნობილია. მოგვეპოვება ამ ხელნაწერთა კარგი აღწერილობანი, ფოტოპირები და მიკროფილმები. სულ ბოლო ხანებში კინორეკისორმა გ. პატარაიამ საშვილიშკავო საქმე გააკეთა: გადაიღო თოთხის ქართველთა მონასტერში დაცული ყველა ძველი ქართული ხელნაწერის მიკროფილმი. იქ ამჟამად 86 ხელნაწერი ინახება. ქართველ სპეციალისტებს მხოლოდ 12 ხელნაწერის ფოტოპირებზე მოუწოდებოდათ ხელი.

ძალზე საინტერესოა ა. შანიძის მიერ გამოქვეყნებული ცნობა (გაზ. „კომუნისტი“, №32 (1974), 8 თებერვალი, 1981 წ.). ირკვევა, რომ 1980 წ. სექტემბერში მესამე სირიულ სიმპოზიუმზე, რომელიც ქალაქ გენლარში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) შედგა, სინან მთის ქალთა მონასტრის წინამძღვარს მ. ფილოთეოს წაუკვანა მისი სწავლება იმის შესახებ, რომ სინან მთაზე ახლან აღმოჩნდა 170 ხელნაწერი, მათ შორის 110 სირიული (V-X საუკუნეების), 4 ქართული ასომთავრულად დაწე-

რილი (და ამდენად საფიქრებელი, V-X საუკუნეების) და 56 ნუსხურად დაწერილი ხელნაწერი. მ. ფილოთეა მათ სომხურად მიიჩნევს, ოღონდ პრფ. ი. ასფალაძე, რომელმაც ა. შანიძის ამ აღმოჩენის შესახებ შეატყობინა, და ა. შანიძეც ფიქრებენ, რომ მ. ფილოთეა შესაძლოა ცდებოდეს, შეიძლება ამ ხელნაწერთა შორის არაერთი ქართული აღმოჩნდეს.

ეს აღმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მომავალშიც ქართული კულტურის ახალ-ახალი ძეგლების გამოვლენა არის მოსალოდნელი. ჩვენ ახლა ვიკითხავთ იმ კეთილი თესლის ნაყოფს, რაც ჩვენმა უძრავებმა დათესეს. მათ მიმე პირობებში უხდებოდათ შრომა. ძნელი იყო თვით ქართული ხელნაწერების ბედიც, მათ იტყებოდნენ, ატყვევებდნენ, ყიდდნენ, სპობდნენ, ამ წერაში მითხარბობლა ზოგი ძველი ქართული ხელნაწერის შესახებ, რომელთაც მწარე ბედმა მტერთაგან დატყვევება არტყენა.

933 წელს გადაწერილი ჯრუჭის ოთხთავი (H-1660) მე-16 — მე-17 საუკუნეებში „მტრებს ჩავადრნიათ ხელში და 11 ფლურად გამოუსყიდა ხუცესი ოივნე არწიშვილს ხორასინად“, — მითითებია ა. შანიძე. ტყეობა არ ასეუდნია არც 973 წლის პარხლის ოთხთავი (A-1453). ამ ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერში ეკითხება: „მას ეკათა, ოდეს საათაბაგონი წმინდისა სარწმუნოებისაგან განსრულ იყენენ და სარწმუნოზნი შეგმნილიყენენ, ეს წმინდა სახარება იქაური ყოფილიყო და უსჯულოთაგან დატყვევებულყო და დედად სახულონებნი გამოჩინეს მეფეთ სიმობთა შკოფის და თვით მეფის ვახტანგის სიძეს ამაშიძეს ვახუტესის ეს წმინდა სახარება ათათის ხელით დიდს სურვილით და სასოებანის გულით დაეხსნა. კვალად კირ(ნახული და ხელმოვრეთ განახლება მანახათ იუწყეთ: ჩვენ სურვილითა და სიყვარულით შეტკბობილმა ბატონის მამის ჩუენის უმცროსმა შვილმა და მეფეთ მეფის ვახტანგის ასულის ბატონიშვილის ანუკას ძემან, თვით ამაშიძემ ნიკოლოზ, ვიკულსმოადგინე და შენ, დედასა ღმრთისასა წმინდასა მლითმშობელსა ხახულისასა, ციხესა შინა, წმინდასა შენსა საცაფრსა ეკლესიასა, ბულბულის ციხის პატარა საყდარში დაუდევით და შემოეფირეთ წმინდა ესე ოთხთავი. თვისა სუადმებრსა ზ. ქობინკონს უჯ.“ ეს ამბავი 1739 წელს მომხდარა. ვახტანგ 71-ს სიძის ნიკოლოზ ამაშიძის მიერ მტრისაგან დახსნილი და ქეშხეთის მახლობლად ბულბულის ციხის ეკლესიისათვის შეწირული ოთხთავი ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში კინადად დაეკარგა ქართველ ხალხს. XIX საუკუნეში პარხლის ოთხთავი მოხვედრილა გორში, იგანე ამაშიძის ოჯახში. აქედან 1871 წ. მღვდელმა მ. სუხიაშვილმა წაიღო სოფელ ზემოქალაში. ამ მღვდლის ოჯახში მიაგნო მას ქართული კულტურის დიდმა მოამბემ ექვთიმე თაყაიშვილმა. იგი იკვებთან: „ჩემი ქალაში, იქურ მღვდელთან, ვგარად სუხივთან (სუხიაშვილთან) ვნახე ერთი შესანიშნავი ხელნაწერი, რომელიც ახლა პარხლის სახარების“ სახელითაა ცნობილი. რადგან მღვდელმა არაფრით არ ინდობა ხელნაწერის მოცემა, დავიწყე მისთან სიარული და ისე შესწავლა ხელნაწერისა. გამოირკვა,



რომ ჯერ ერთი, იმ ხელნაწერში ყველაფერი სრულად იყო დატული და, მეორეც, რომ — იგი გადაწერილი ყოფილა იმავე იოანე ბერას მიერ, რომელსაც გადაწერისა შატბერდის კრებულში (ზემოთ რომ აღვნიშნე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რომ შეიცავდა). ოღონდ შატბერდის ხელნაწერი უბრალოდ იყო და ამას კი ეწერა თარიღი, ქართული ქრონოლოგია და ქვეყნის შემქნიდანაჲ — 973 წელი“ (ეკვიმიე თაყაიშვილი, „მოგონებები“, ტურ., „წმითობი“ 1958, №5, გვ. 171). მივდივარ მ. სუხიაშვილი რომ ვარდაცვალა, პარზლის ოთხთავს ვეღარ მიაგნეს. ეს უძვირფასესი ხელნაწერი კინაღამ უცხოეთში მიხვდა. 1922 წელს ყველასათვის მოულოდნელად პარზლის ოთხთავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიტანა გერმანიის კონსულმა ო. ვეზენდონკმა. მისთვის შესასყიდა შეუძლებელი ძველი ქართული ენის ეს შესანიშნავი ძეგლი. გერმანიის უნივერსიტეტი ვერ გაერკვა ამ ხელნაწერის ღირსებაში და უნდოდა ქართულ სპეციალისტებს აზრი გაეყო იმის შესახებ, „თუ რას წარმოადგენდა ხელნაწერი და ღირდა თუ არა მისი შექმნა, ამ დროს შევეცხარით კ. კეკელიძე და მე. ჩვენ ავუხსენით კონსულს, რომ კარგა ხანია, რაც ჩვენ თვითონ ვეძებთ მაც ხელნაწერს, რომელიც კარგად ცნობილი ძეგლია სამედიცინო ლიტერატურაში. ამის შემდეგ კონსულმა უხერხულად მიიჩნია მისი შექმნა, და პირი, რომელსაც ვანდემულო ოთხთავი თავისა და მისიან, იძულებული ვართ, რომ ხელნაწერი უნივერსიტეტისათვის დაეთმო.“ — უწერს აკაკი შანიძე. ასე ვადაურჩა პარზლის ოთხთავი მეორედ დატყვევებას.

ქართული კულტურის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია პარზლის მრავალთავი (A-95), რომელიც X საუკუნეშია გადაწერილი. ეს ხელნაწერი უძველესია იმ ნუსხათა შორის, რომელსაც ჩვენამდე შემოუნახავს „შეშინაკის წამების“ ტექსტი. ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი ტყვედ მოხვედრილა და იგი უხსნია მარიამ დედოფალს. „ჩუენს, ტელწოფემა პატრონმა დადიანის ასულმა დედოფალი-დედოფალმან მარიაჲ, ესე ოთხთავი ურუჲთის ქვეყნილამ გამოვიხსენ და გავაახლე დაშლილი და წამქდარი“ (52V). ეს ხელნაწერი პარზალში გადაწერა გაბრიელ პატარამ. მასვე გადაუწერია ოთხთავიც (A-927), რომელსაც პარზლის ოთხთავი უწოდებდნენ. ეს ოთხთავი ამჟამად ნაკულაა და მტრის მიერ დაზიანებული, თავის დროზე კი იგი ძვირფასად მოქვილილი ყოფილა. ოთხთავი რამდენიმე განუხსლებია XVII—XVIII საუკუნეებში ვინმე ზანდარ კანავარელს: „მე ყოველთა ცოდვით უკოდვილსმან, ფრადი ცოდვილმან, კანავარელმან ზანდარი, ესე ქრისტეს სახარებაჲ მწულე მძიმედ მოქვილი იყო და უჩრჭულით აგარანათა დაელეწა და დაეპრა ესე სრული. მე უნდო-უღრისმან ავილე კლათ და შეეკაზმე, მრავალი სარჭელი გარდამქდა, ღმერთმან უწყის, ბატონიც ჩემი კარგად მომეხმარა“ (14r). ყაშთა სივსის შედეგად ამ ოთხთავმა ჩვენამდე უყლოდ მოაღწია.

X-XI საუკუნეებში გადაწერილი და შემდგომში მრავალჯერ გაყიდული ოთხთავის ხელნაწერი (A-484) შეუქმნია გიორგის და შეუწერაჲს ხანციხის უღანდო წმინდა გიორგის ეკლესიისათვის: „მე... გიორგი ა მოვიგე ვაჟიუნდა ესე სახარება დიდითა გულსმოდიენებითა, მრავალთავან

განსყიდულ იყო, ოდეს მის საყდრისაგან გამოხუტულ იყო, ოდეს მე ვიყიდე და შევიწერი უღანდოსა ხანციხისა საყოფელსა წმინდისა გიორგისაჲს“.

A-1 (ეკვიმიე მთაწმიდის მიერ თარგმნილი გრიგოლი ღმრთისმეტყველის თხზულებათა კრებული, ცხოვრება და მოღვაწეობა გრიგოლ ღმრთისმეტყველისა) გადაწერილია XI საუკუნეში. ჩვენამდე მოაღწია უყლოდ, დაშლილმა და დაზიანებულმა. მასაც უგმინა ტყვეობის სიმწარე: „ვიცა ესე წიგნი ტრუსუბისა დაიკუნა და ს(ამშობლო)ნი ვაგზავნა, ეგრეთჲს, უფალო ღმერთო, სული მისი დაიკუნე“ (გვ. 597).

XI საუკუნეში გადაწერილი სვინაქსარი (A-626) მტრის ჩაუგდია ხელთ და XIII-XIV საუკუნეებში დაუხსნია ვარდენ ფხუენაძეს: „ოდეს თათარნი მოვიდეს და ქართლი ამოსწყვიტეს, მაშინ ესეცა წაიღეს; მე, ვარდენ ფხუენაძემან, დაივსენ“ (გვ. 565).

A-648 (კრებული, 1030 წ.), როგორც ერთ-ერთი მინაწერიდან ჩანს, XV საუკუნეში თათართაგან დაუხსნია მახათარ შახბუშელს.

ძნელია აღუღლებლად წაიკითხო XII საუკუნეში გადაწერილი ერთი ხელნაწერის (ler-67) მინაწერი (ეს ხელნაწერი ამჟამად იერუსალიმში ინახება): „მე, სულითა საწყალობელი მოწა უღრისი წმინდა და პატროსანთა მამათა ჭურაგელთა ძმობისაჲ გიორგი, ღრს-მყო მოგებად წმინდათა ამათ მარხვათა დღსა სიგლახაყესა შინა შემდგომად ტყვეობითი გამოსლვისა ზურაზმუტელთაგან. ესე ყოველთა შემდგომითი შემდგომად მოგებობას მაშინ-დღელნი ყოველთა ქრისტიანთა ჳირნი და განსაყდელნი, ოკრებანი მონასტერთა და ეკლესიათანი, რომელ არასდა დარჩომოდა ერთი წიგნისა ფურცელი. იერუსალმის შუკათა შინა შთასულმან ვნახენ ესე ორნი წიგნნი: ერთი ესე და ერთი საწინაწარმეტყველოა, სპარსსა კაცსა ჳქინდეს, მისიგან თელაველსა სპარსსა ეყიდნენ. მატებდა და მატებოთა ძლიე წაუხუტნენ ესე, საღვრისაწყალობა წარალი, მე სყიდისა ღონე არა ჳქონდა, აწ მოვაკუნე მასვე მონასტერსა კაკაიოსისა, რომლისაჲ პირველ ყოფილ იყო“ (259r). როგორც ვხედავთ, ღიდ გაკრევაებაში მყოფ, ტყვეობიდან ახლად დაუხსნისდი გიორგის ძლიეს მოუხერხებია მარხვათა ხელნაწერის ყიდვა, საწინაწარმეტყველო კი სპარსს დარჩენია. ვინ იცის, რა ბედი უწია მას.

ვარძიის ოთხთავი (Q-899, XII-XIII სს.) მტრის ხელიდან უხსნია იესე ბატონიშვილს: „ნებითა და შეწყვენითა ღმრთისაჲთა, ჩვენ, ღმრთე ვარკუნოსნასა პატრონის მიხეთმთავის ლიონის ძემან, პატრონმან იესე, ვიყიდეთ ოთხთავი ესე თათართაგან, ოდეს ყვენმა ჩავახებთი ალაო-ტა და ვარძიის საყდარი დაელეწა და ესე ოთხთავი დატყუ(ე)და. მას ყამსა დაიკუნენით და შევსწერიეთ ვარძიისა ღმრთისმეტყველს“. ეს მხოლოდ 1551 წ. ამით არ დაშთავებულა ამ ხელნაწერის შეგებლობის ხანა. XIX საუკუნეში იგი გელათის მონასტრიდან გამოუტანია ქუთაისის ეპეტიარქატორს ლევაშოვს და ოთხთავის ძველი ვერცხლის ყდა ღმრთისმშობლის მინაწქრიანი ხატით შემოუძარცვავს და შეუტყობია ვინმე საზიკოვის მიერ გაკეთებულ იმდარე ყდით.

საინტერესო მინაწერები აქვს XII-XIII საუკუნეთა სვინაქსარს (A-839). იგი ტყვეობაში უნახავს ხელდათვნილს, ლონდ მას ფუთო აბ ჰქონია, რომ ეს წიგნი ყველა ხელდათვნილს ვეუბლა ქართველს, ვინც ამ წიგნს ნახავს, დროის მისი დახსინათვის: „მე, ხელდათვნილს, დაწვერე: ამა წიგნს გარდავეყად და ფასი არა მქონდა, რომე შევიდა და ასრე დამჩრა ტყვეობასა შიგან. ვინცა ქართველი კაცი გარდაეკიდოთ, ახუ შევიყროთ, რათაცა ეგებოდეს, ეს წიგნი დაიკვნათ ტყუთობიდან“ (2V). წიგნი უხსნიან გიორგის: „უფლო, ღმერთო, ცოდვანი შეუხდნენს ღმერთმან გიორგის, ამა წიგნისა დაძქსენულსა ტყუთობისგან და მის (ს) მვეულეს“ (3V).

110/ წელს გადაწერილი არააკალიტოთი (Ier-07) თურქებს მოუტაცებიათ და XVI საუკუნეში დაუხსნიათ: „ესე პაოაკალიტოთი, თურქთაგან წადეუქლი... თამაძან გიოთი ეჟულად დაიკვნა, ეჟულად ადგილსა(ე) თქსსა) მოაქცია“ (161V).


ნატყვევარია Q-929 (ტბეთის სახარება, XII ს.). ეს ხელნაწერი თავის დროზე ძვირფასად მოხატული ყოფილა და შესანიშნავად მოქაზილი ყდა ჰქონია. ძირის ხელში ყოფნისას ფრიად დაზიანებულა როგორც თვით ხელნაწერი, ასევე მისი ყდა და მოხატულობაც. ეს ძეგლი უხსნია მარიამ დედოფალს, იმ მარიამს, რომელმაც ავაოათია ტყვეობიდან გაათავისუფლა პარზლის მრავალთაგან: „პირო ღმრთისაო, სახარებაო. მომხსენე დედოფალთდღოფალი დადინის ასული მარიამ, ამ სოფელს მადღებრთველ, მეორედ მოსვლას გამომანსენ, რამეთუ ავაოათიან ეკლესიად გამოგონეს წაძქადრი და ნაწერწამილი და ახლა(დ) დაეწერინე“.

სპარსთა ტყვეობაშია ნაწყფი „საქმე მოციქულთა“ (Ier-16). მის დასაწყის ფურცელზე იკითხება: „ესეა წიგნი ჭუარისაჲ პატრონისა დავით მეფისა სალოცავად მისმან შობილურს ილარიონ დაიქვე წაპარსთაგან მას ეჟსა, ოდეს ჭუარი სპარსთა დაეკარეს“.

ამავე ილარიონს გადაურჩენია იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანება (Ier-21, XIII-XIV სს.): „ესე წიგნი ჭუარისა მეფეთმეფისა დავითის ცოდვათა შესანდობლად მე, მისმან მოძღვარმან ოპიხარმან ბერმან ილარიონ, დავისენს სპარსთაგან მას ეჟსა, ოდეს ჭუარის მოხარებრი სპარსთა დაეკარეს“ (5V). სხვა დროს ეს წიგნი ანტონის უხსნია: „ესე წიგნი, თარგმანებაჲ სახარებისაჲ კაპაპთური, წარტყუწმული სპარსთაგან, მე, ანტონი, ფრიად ცოდველობას ვიკენ ჩემითა საფასოთა და შეესწრეთ მუხევე კათას სალოცველად სულისა და შობილეთა ჩემთა“.

1662 წელს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა დაიხსნა სჯულსკანონი (XIII ს.) და შესწირია იგი ჭუარის მოხატურს: „წმინდა ესე სჯულსკანონი დავიკენ და ეჟულად(ვე) ჭუარს შეესწირეთ“. ამჟამად ხელნაწერი იაპაეა ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

საინტერესოა A-1459 ხელნაწერის (ოთხთავი, XIII ს.) ბედი. XVI-XVII საუკუნეთა ერთი მინაწერიდან ირკვევა, რომ იგი დაუხსნია ლუა ჯიბრიაშვილს: „ესე ოთხთავი სახარებაჲ, წედის ციხე არა აღიო ეგრისთაგან, მაშინ წულუკიქემ წაიღო. მე, ლუა ჯიბრიაშვილს ქალმან, დავისენე“. ბერციხე მოულობებიათ თათრებს და ეს წმიდა წიგნი სასწაულბერივად გადაჩენილა. „ღმრთისმოზო“



ქრისტესობისთავი, 936 წ.

ბლისა ხაზნი და წიგნება წაქდა თათრობასა ბერციხეს და ესე ოთხთავი ბიოპულსა ეიოვა“ (87V). შებდობით იგი ეიოვე ფარუხაულს დვალეთში გაუგზავნია თავისი დედისთვის გასაყიდად: „ფარუხაულსა დედისა თისისათან დვალეთსა გეგზავნა გასაყიდად და დვცისმელსა წაერთუა“ (87V). როგორც ჩანს, კვირიკა დვცისმელია ეს ხელნაწერი ღმრთისმობლის ეკლესიას შესწირია.

ოთხთავის თხზვედრილა ტყვეობაში A-76 (სჯულსკანონი, XI-XVI სს.): ეს ხელნაწერი XVI საუკუნეში თურქთაგან უყვია იოანე ვანხაყეს: „შემოგწირეთ მე, ვანხაყესანა ო. იოანის შვილმან, თოქალუთხოუტეჟმანს იოანე, ესე წიგნი — სჯულსკანონი — ღმერთს წმიდასა და ცათა მონაყვასა საყადარსა, სუეტსა დროითეღმარებულსა, ეჟართასა სამეუფოსა და ძირხასა წმიდასა, სულისა ჩუენისა სახსარსა და ჩუენთვის სადღებრეოდ მას ეჟსა, როდესცა მეფე-მართო სუიონს უღუმთაგან დატყუვედა და ჩუენს უხათქართანა ელხად წაეღვიოთ და ეს წიგნი დატყუვებული ვიპოვეთ და დავისენებით და ვაყიდეთ იოსამოც ფულად, მოვიტანეთ და შეესწირეთ სუეტსა ცხოველს“ (312V).

ორი საუკუნის შემდეგ ხელნაწერი „თათართა ხელთაგან“ ხელახლა გამოჩნდა ანჩისაბატის კანცლერმა დავითმა: „ესე სჯულსკანონი მე, ანჩისაბატის კანცლერმა დავით, თამაზ-ხან რომ ქალქში შემოვიდა, მესამე დღეს დავისენს თათრისგან, სვეტიცხოვლისა იყო და იმავე სვეტიცხოვლის შვეწირეთ“ (312V).

A-25 (ზაბეტი, XV ს.) ხელნაწერი XVII ს.-ის დასაწყისში შეუქმნია ქვენიფეველი: „მე ერისთავთა-ერისთავს იესეს ძემან ერისთავმან პატრონმან ქვენიფეველმან, ესე წმიდანი ზაბეტი დატყუშვებულ იოთა მას ეჟსა, ოდეს ჩემნი ოთხნი მიძინი პანდოს კეცსურთა და დავიკენეს, ქრონიკონს სკიე (1545 წ.) და გამოეკუდა ტაძრისთჳს წმიდას თედორესისა, და ამ ხნის დაკარგული მე ვიპოვე ქრო“



ნიკონსა სვე (1607 წ.) და ისრევე ტაძარსა თქუნესაა შემოქმედით“ (37 რ). შემდგომში ხელნაწერი ისევ დაკარგულა და 1780 წელს დაუხსნია მარიამ ამილახვარს და ისევ თედორეს ეკლესიისთვის შეუწირავს: „წმიდაო თედორეო, მოგიძღვანე წმიდა წიგნი მშვენიერად და მსახივრებელმა შენმა, მე, ამილახვრის ასულმა და ერისთავის საძაბო მარიამი. ვიპოე ზატივი ესე გამო ვითარისაჲსაჲს დაკარგული და შენი წიგნი შემოვწირე, პირმშობისა ძისა ჩემისა შანშესა და შემდგომითა ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად და სულთა ჩემისა სახლად მის ქაშსა, ოდეს სამკვიდრებელთაგან ზეებულ ვიქმენით და კარათლის ვიმოფებოდით, ქრონიკონს უამქ (1780 წ.)“ (146რ).

1703 წელს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა დაიხსნა მარის მიერ მიტრებულ მარხვანი (A-1404, XVI ს.). იგი წერს: „ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ამა ალავერდელმან, ჩოლოყაშვილმან ნიკოლოზ ვიყიდე წმიდანინ ესე წიგნი“ ი მარხვან-ზატიკინ, მარბეველთაგან წამოღებულნი“ (189რ).

XVI საუკუნეში გადაწერილი გამოკრებილი სამოციქულო დაიხსნა გრიგოლ მღვდელმა: „მე, საკრავლს ნებეო რიძეს, მღვლეს გრიგოლს შემამწირაჲსა. ჰი, ყოვლად საგალობელო, საშინელო წილნისა ღმრთისმშობელო, სულითა განმანათლებელო, წიგნი ესე სამოციქულო, რომელი წარტაკებულ იყო უსჯულოთაგან ხელთა, და ვიყიდე საფასითა ჩემითა, შეწირე, წილნისა ღმრთისმშობელთა, დედო ქრისტეო, მეუღლისა ჩემისა დედით წარსამართებლად და ჩემთა ცოდვთა მისატყვებლად“ (1787 წ. პირლი 20; 185 რ). ამ ხელნაწერის 45V-46R-ზე არის წილნის ეპისკოპოსის მინაწერი: „მე, ყოვლად სამღვდელის წილნელს ამბროსის, მოიბრუნეს ქალაქიამ და ესე სამოციქულო. ერთს ვისმე სომეხს სახლში ჰქონებოდა და დიად მრავალი მწუხარება და სნეულება შემთხვეოდა; აქ, წილანს, მე მოიბრუნეს და მე ისევ ამ ეკლესიაში დამიდება. ახლა ამ ეკლესიის მნემ იცის“ (1787 წ.).

დიდი ვასაპირ დასტყვლითა თავს 1587 წელს გადაწერილ ეამ-გულანს (A-84). 1645 წელს თათართაგან დახსნილი ეს ძეგლი სვეტიცხოველს შესწირა მარიამ დედოფალმა: „ჩუენ, დედოფალმან პატრონმან მარიამ, დავიხსენით ქაშინ ესე მის ქაშსა, ოდეს დიასამიძე კათალიკოზი ქალაქს ციხეში მოკვდა. ეს ქაშინ თათრებმა დარჩაჲ. ერთს წილნელს უკან ვიპოვეთ და აწ, ვაი, ჩემს პირში სულის დამას. ამავე ჩემის შეილის საფლავზედ დასდევით... შეწირა წიგნი ესე ქრონიკონსა ტლუ“ (166V-167რ). ეს ის მარიამია, ვინც 1633-1646 წლებში გადაწერინა „ქართლის ცხოვრება“. 1689 წელს იგი, ციხეში დატყვევებული, გაუთავისუფლებია იოვანე კათალიკოზს და სვეტიცხოველისათვის შეუწირავს: „ნებითა და შეწევნითა ღმრთისაჲთა, ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან კათალიკოზმან, პატრონმან დიასამიძემ იოვანეს ეს ქაშინ ძეშლითან ბიძისჩემის კათალიკოზისა ყოფილ იყო და ციხეში დატყვევებულ იყო. და მერმე ჩუენ დავიხსენით და შევწირეთ ისევ სუტს ცხოველს“ (167რ). 1725 წელს იგი ისევ მტრების ხელში აღმოჩნდა. სვეტიცხოველი ლეკ-

ბმა მოაოხრეს და წიგნები დაატყვევეს. დომენტი ცხოველს მრავალი წიგნი გადაურჩინა: „შეწევნილნი მითისათა დაიკუსენ ქაშინ ესე ჩუენ, მევეთა შარავანდელმან, კათალიკოზ-პატრიარქმან დომენტომ, ოდეს ჯერ ლეკთა ვატყუეს სვეტი ცხოველი და მერმე ოსმალნი, ურუმნი მოვიდნენ და დაიპყრეს ქუეყანაჲ ესე ჩუენი ქართლი. მაშინ იავარყვეს და წარმოსტყვევნის საყდარი და ტუყე ყვეს, საყდრისა ამის რაოდენი წიგნები პოვეს და ჩუენ მიება-ვყავით და, რაოდენი ვიპოვეთ, დავიხსენით ფასითა და ისევ სვეტიცხოველს შევწირე“ (167V). მალე ხელნაწერი ყიზილბაში მიიტაცეს და იგი გამოიყენა ანჩისხატის კანდელაკმა ავლითმა: „ოდეს თამაზხან ქალაქს შემოვიდა და მღვიმე ვატყუეს, მაშინ ყიზილბაში ენოჯათ ეს ეამ-გულანი და მე, ანჩისხატის კანდელაკმა დავით, დავიხსენ, და მე ისევ სვეტს ცხოველს შევსწირე“ (168რ).

ამრიგად, ამ ხელნაწერმა ოთხჯერ განიცადა ტყვეობა და ოთხჯერვე იხსენს იგი გულმხურვალე მამულიშვილებმა.

XVI საუკუნის პარაკლიტონი (A-49) დაღუპვას გადააჩინა დომენტი ავალიშვილმა (XVII ს.): „ნებითა ღმრთისათა მე, ავალიშვილმან დომენტო, მპარესი, ქალაქსა, რომელსა მადრას ეწოდების, იქ ვიყიდე ეს წიგნი“ (77რ). სხვა ფურცელზე სწერა: „მე, ავალიშვილმა დომენტო წიგნი ესე სულითა (განმანათლებელი) ქრისტიანობისა დატყვევებულ (იყო, ოდეს აყენმა კახეთი ააოხრა... ხორასანსა ქალაქსა... საფასითა შემოვწირე შენ სუტსა ცხოველს“ (16რ).

A-15 (გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებანი, 1739) 1836 წელს იხსნა იოანე ბოდბემ: „წიგნი ესე გრიგორი ღმრთისმეტყველისა დროსა აღიქვებისა ტფილისის ქალაქისასა უსჯულოთა თათართაგან დატყვევებულ, მოვისყიდეთ საკუთართა საფასითა ჩემითა ბოდბელ მიტროპოლიტმა იოანემ, რომელსა აწ შევწირე განმანათლებლისა ჩვენისა დედისა ნინას ეკლესიასა, საოხად სულისა ჩემისა ჩყლვ წელსა, იენისისა იხ დღესა“ (4რ).

როგორც „მწევესში“ (1885 წ. №6) გამოქვეყნებული სტატიიდან „შუამოსი მონასტერი“ ვიგებთ შუამოსის მონასტერი XIX საუკუნეში დატყვევდა ოთხთავი, რომელიც ტყვეობიდან დაუხსნია ერეკლე მეორეს და შემდგომში თეკლა ბატონიშვილს შეუწირავს შუამოსის მონასტრისათვის.

ამა მარტო გადამთიელი ემტრებოდა ქართული კულტურის ამ უტყროვასს ავგულმა, არამედ შინაგარე აშკარა, თუ ფართო ავაზაკები ანიაქვნიდნენ მათ, ოღონდ როგორმე დაემყოფილებინათ თავიანთი გამგებლები მათ. 1884 წელს ჟურნალები: „დროება“, „მწევესი“ იტყობინებოდნენ, რომ 18 ოქტომბერს ავაზაკებმა გატყუეს ნინოწმინდის ეკლესია და სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად გაიტაცეს შვეიცრული ძველი სახარება. ქრდები შეუპოვებ და... მალე გაუშვიან, ნივთები კი საბოლოოდ დაიკარგა. გულდამწვარი კორესპონდენტი წერდა: „ამ ჩვენ ზნობრივ დატყვევლ და გახრწილს დროში ესე ნელ-ნელა გვეცლება ხელიდამ ძველი ნაშთები“ „მწევესი“ 1884 წ. № 23, ვკ. 13).

ოპორის საშუალო სკოლის მასწავლებელი ისინი კაპანაძე ეფრემში „მწყემსი“ წერდა: „მე ვიცი კიდევ ერთი მოხუცებული პირი, რომელიც ამ (სამეგრელოს რ. ს.) დედოფლის სასახლეში ყოფილა შწერლად და რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, ბევრი ძველი ქართული ხელნაწერი აქვს, რომლებშიდაც ურუკია თურმე მეფე ვახტანგის ხელნაწერი კანონები, მაგრამ ვიცადას დაუტყუებია მისთვის ამას წინად ერთი ძველებური წიგნი და ამით დამწებელი ახლა ადარავის ადარ აჩვენებს ამ წიგნებსა“ (№20, გვ. 15).

საბედნიეროდ, ძველი ქართული წერილობითი ძეგლები ის საკმაო ნაწილი გადაარჩა, რადგან ჩვენს წინაპრებს ზეგნებულად ჰქონდათ თავიანთი დიდი მამულმწიფლოერი ეკლი. ისინი თვალისწინებით უფროსიხილებოდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს. კიდევ ერთ მაგალითს დაიპოვნებთ. 897 წელს შატბერძნი გადაწერეს ოთხთავი, რომელიც ეწოდებოდა აღმის ოთხთავის სახელით. მისი აღმწენლობა ქართული კულტურისა და ქართული ენის ისტორიისთვის შეუძლებელია გადაჭარბებულად შეფასდეს. ყველაფერს რომ თავი დავენებოთ, ეს არის ერთი ერთი ყველაზე ძველი ქართული თარიღანი ხელნაწერი საერთოდ (მასზე წინ ამ თვალსაზრისით მხოლოდ სინური შრავალათი (864 წ.) დგას, და საქართველოში დაცულ თარიღანი ხელნაწერთა შორის უძველესია იმ ხელნაწერთა შორისაც, რომლებიც ქართული ოთხთავის სრულ ტექსტს შეიცავენ და ა. შ. XVI საუკუნეში ნიკოლაოზ ჭუმბათელს უმოგზაურია სამხრეთ საქართველოში და ზოგი ძველი წიგნი, მათ შორის აღმის ოთხთავიც წამოუღია. იგი წერს: მე, ნიკოლაოზ, ოდესმე ჭუმბათისა მამასახლის-ყოფილნი, უღირსმან და სულითა საწყალობელმან, ფრიადითა ხარკებითა, — აშენენ ომერბინ კლარჯეთისა მონასტრინი, — შევიარენ და შევიკრიბენ წმიდანს ენი წიგნნი: პირველად წმიდად ეს სახარება ოთხთავი, და მრავალთავი, და კელიკანონი, მამათა წიგნი, და კითხვა-მიგება, — უმეტესად აღაშენენ ომერბინ შატბერდი ესე ოთხთავი და კელთ (კანონი და) მამათა წიგნი მათსა ეკლესიას...“ ცხადია, ამ დროს შატბერდი მოიხრებულა იყო, თორემ ამ წიგნებს ნიკოლაოზს არაინ მისცემდა. უკვე მე-17 საუკუნეში აღმის ოთხთავის ხელნაწერი სვანეთშია, მეტეხის რაიონის შორეულ სოფელ კადიში. ჩვენთვის უცნობია, ვინ აიტანა ეს ხელნაწერი იქ: საფიქრებელია, ეს შესანიშნავი ხელნაწერი (ისე როგორც რამდენიმე ათეული სხვა ძეგლიც) სვანეთში გახიზნეს, რომ ბტრებს, რომლებიც ამ დროს საქართველოში ბარში დათარგმობდნენ, იგი ხელთ არ ევლოთ, არ დაეტყვეებინათ. ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებულ მინაწერებში არაერთგზის იხსენიება, რომ მტრები, რომლებიც ეკლესია-მონასტრებს თავს ესხმოდნენ, სხვა განძანთ ერთად წიგნებსაც იტაცებდნენ. ხალხი მტერს ებრძოდა, გამეტებთ ებრძოდა, მაგრამ მომხდურათა ლაშქარი ურცხვი იყო, კალიასვით შემოსეოდა ჩვენს მიწა-წყალს, არ იძლიოდა შვიდობიანი ცხოვრების საშუალებას. ხალხი არ ტოვებდა თავის ქვეყანას, სახლ-კარს, თავს აკლავდა შემოსეულ ურდოებს, ოღონდ ყველაზე ძვირფასს, ყველაზე საყვარელს, ყველაზე წმინდას მიუჩენდა უსაფრთხო ადგილს, უნახავდა შვილებს, შთამომავლობას, რომ მათაც ეგრძნოთ ძველი ქა-

რთული ენის სურნელი, სიღამაზე, სცილნოდნა მუშა/ნივის, აბოს გმობობის შესახებ, ჰყვარებოდნა ყველგანდნი მწიხა, დედაქართობი. ასე იყო მუდამ: ქვეყნისმამა/ნივის სიყვარული წმიდათაწმიდა სისხლს მოითხოვდა მამულიშვილთაგან.

ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ ძველ ქართულ ნატყვევარ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები. ვითხულობთ ჩვენთვის ხშირად სრულიად უცნობ გულმხურაველ პატრიოტთა სიტყვებს და ტანში ერთნატილი გვიკონს. რამდენ სიტობი, მოწიწება და სიყვარული იგრძნობა მათში ჩვენი კულტურის ამ ხელთუქმნელ ძეგლების მიმართ. ისინი თვალისწინებით უფროსიხილებოდნენ ძველ ქართულ წიგნებს, ფრიად წუხდნენ მათი ბედის გამო. ვინ იცის, ყველაფერს, რაც კი ებადათ, ყიდდნენ, რომ როგორმე ეს ძვირფასი განძი გადაეარჩინათ ჩვენთვის — მომავალი თაობებისათვის. ვის შეუძლია, ღირსეულად შეაფასოს მათი. ჩვენი წინაპრების ეს უღდესი ღვაწლი? ისინი, — იოვანე თუ ანტონი, ილარიონ, ლელა, მარიამ, თუ გიორგი და მრავალი, მრავალი სხვა, — უნდა შევაყურეთ დიდების კვაჩესტებზე იმ დიდებულ ქვეყნისმამათა გვერდით, ვინც საქართველოს ხმლით იცავდა მოძალადეებისაგან, ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლს დაღვარა. მათი მაღლი მოქალაქეობრივი შეგნებულობა, დიდი თავდადება რომ არა, დღეს თითქმის არ გვეჩვენოდა ჩვენი კულტურის ეს თვალ-მარტობტები. ამ ბეგლით გარეშე კი ღარბი იტყებოდა ჩვენი ისტორია, ჩვენი კულტურა.

ამაღლებულია ისიც, რომ წმიდა წიგნებზე მოკვითხრობენ ხოლმე, როგორც ცოცხალ არსებებზე. ეს, აღნახათ, იმტობა, რომ ამ წიგნებს უზიარებდნენ თავიანთ სიხარულსა და ნაღველს, ეს წიგნები იყვენ ქართველი კაცის შავ ბედში გამამხნეველები, მათ გადარჩენას შესწირვია ათასობანი ქართველი გმირის ლამაზი სიკოცხლე. მათ სწიგნას სათუთად შენახვა სჭირდება, მათ გმირულ თავდადებას — ჩვენი გულითადი მადლობა, მათ უსახურო პატრიოტობს — ჩვენი აღტაცება. ხოლო მათ საქმეებს — ძველი, ძველი ჩვენი ენისა და მამულის სიყვარულსა.

ქართველი ხალხის გულისნადები შესანიშნავად გამოხატა დღმა გალკტიონმა, — ძველი ქართული ენის ტრფილობა:

„თრითან, როგორც მზის ანაჩელები, ძველი ქართული ენის ძეგლები, გულდამწიფების თუ აძვირების ხელმეთაძელი ბიძგმწერების ბევრს კი ვერ ვიკოებო ხელნაწერებში დოკარგული ეამთა სიავის გამო: რამდენი მწარე ღამის მოვიდა, რასაც ჩვენადღის მოუღწევია. არის მთუორი ნამის თოვება, რაც დღესდღეობით მოკვანოვება“.

უკეთესად მართლაც რომ ვერ იტყვი.

ფილმი გაპოზიონილ

კომპოზიტორზე

ამის წინათ ცენტრალური ტელევიზიით გაიმართა ახალი სატელევიზიო ფილმის „შემოქმედების ფურცლები“ პრემიერა. ფილმი ეძღვნება საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებას. სცენარის ავტორია ვ. ქვანიანი, ჩუქურთმა — ნ. ბელანკინი, ოპერატორი — ვ. სეკიანი.

გიორგი სვირიდოვი

რედაქციის წევრებმა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ოთარ თაქთაქიშვილი გავიცანით. მაშინ იგი იყო სრულიად ახალგაზრდა კომპოზიტორი, რომელიც წერდა სიმფონიურ მუსიკას და იმთავითვე იპყრობდა ყურადღებას თავისი დიდი ნიჭიერებით. მას შემდეგ გავიდა მეთხუთმეტი საუკუნეზე მეტი დრო აღსაყვამ დაძაბული შრომით, დაუღალავი შემოქმედებითი ძიებებით. დღეს ჩვენს წინაშეა სახვადობით ჩამოყალიბებული ოსტატი — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი კომპოზიტორი, ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მუსიკოსი, ო. თაქთაქიშვილის მიერ შექმნილი უმდიდრესი ბგერითი სამყარო — ღრმად თავისებური, თვითმყოფადი და პოეტური.

ოთარ თაქთაქიშვილი შემოქმედება უაღრესად თანამედროვეა. ისტორიაში სიდიადისა და გაქანების მხრივ ბევრი როლია ჩვენი დროის მსგავსი მოვ-

ლენები. მეოცე საუკუნემ მსოფლიოში შემოიტანა გრავიზა და დაბნეულობა, ადამიანთა შეგნების დამორგუველი შთაბეჭდილებები. ხელოვნებაში მას შემოპყვა შებრუნებული და გაოგნებული სულის ყვირილი. მისი მუსიკა განიმსჭვალა არაჩვეულებრივი დაძაბულობით.

მაგრამ მეოცე საუკუნემ დაგვანახა ბევრი რამ სხვაც, პირველ რიგში კი ადამიანის სულის ძლიერება და სიდიადე, შუიჩერებელი სწრაფვა სიკეთისა და სინათლისადმი. მან წარმოშვა ზნეობრივი ფასეულობების ახალი გავება, მიგვაბრუნა მარადიული კატეგორიებისაკენ.

დიახ, ჩვენი დროის ხელოვნებაში მკვეთრად გამოიხატა ახალი ლტოლვა სილამაზის, სიმინდის, მაღალზნეობრივი მისწრაფებებისაკენ. მშვენიერებისაკენ ეს ლტოლვა, ყოველგვარ მოჩვენებითობას მოკლებული, ჩვენი დროის კოლოსალურმა რყევებმა წარმოშვეს. აქ უდევს სათავე ამ ახალ სილამაზეს, რომელიც იბადება პიროვნების ახალი პარმონისის, სამყაროს ახალი პარმონისის ძებნა-ძიებაში.

ასეთია ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკა, რომელიც უმღერის სამყაროს სილამაზეს, მშობლიური ბუნების სილამაზეს, ადამიანის სულის სილამაზეს. მისი მუსიკა თავისი გრძნობებით კეთილშობილი და ამაღლებულია, გამსჭვალულია ღრმა პატრიოტიზმით და პატივისცემით მამათა ტრადიციების მიმართ.

ფილმში „შემოქმედების ფურცლები“, წარმოდგენილია ფართო ხედვითი რიგი. ჩვენ ვხედავთ საქართველოს ბუნებას, ქართველ ხალხს შრომისა თუ ზეიმის დროს, ჩვენ ვხედავთ მის ხელოვნებას წარმოდგენილს უძველესი და თანამედროვე ძეგლებით, ფრესკებში, შესანიშნავი ქართული მხატვრების ნამუშევრებით. ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველივე ეს მთლიანობაა და რომ ხელოვნება ხალხის სულიერი ცხოვრების ერთიანი ნაკადია, რომელიც ვითარდება უძველესი დროიდან დღევანდლამდე. ჩვენ ვისმენთ ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკას და ვგრძნობთ, რომ დღეს იგი ამ ნაკადის ნაწილია. ო. თაქთაქიშვილის ღრმად-ხალხური მუსიკა ჩვენ შეგნებაში ისევე განუყოფელია საქართველოსაგან, როგორც მისი ხუროთმოძღვრების, ფერწერის, ქანდაკების, ქედურის ხელოვნების დიდებული ქმნილებები, როგორც უდიდესი ქართული პოეტების ხმები.

ქართული საბჭოთა ღრამატურების სათავეებთან

პ. კაკაბაძის პიესის — „გზაჯვარედინზე“ გავი

ინესა კიკნაძე

ქართული საბჭოთა თეატრის ორი თელსაჩინო მოღვაწის — რეჟისორ ალ. წუწუნავას და დრამატურგ პოლიკარბე კაკაბაძის ურთიერთთანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა რევოლუციურ ბაქოში, როდესაც 1917 წლის ქარცეცხლიანი დღეების შემდეგ ქართულმა დასამა ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით 1917-1918 წ.წ. სეზონი 10 დეკემბერს, გახსნა¹.

საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება დროისაგან გაყვითლებული, გაცრეცილი, ვიწრო, მოგრძო ფურცელი — ბაქოს თეატრის პროგრამა², რომელიც იუწყება, რომ „შაბათს 10 თებერვალს 1918 წ. ქ. შ. წ. კ. გ. ს. ბაქოს დრამატულ სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ბაქოს სცენაზე ახალი პიესა რევოლუციის ხანიდან „ჯვარედინ გზაზე“ დრამა 1 მოქმედებად კაკაბაძისა.

მოქმედი პირნი:
დედა — ა. ნადირაძისა

ოლია } და-ძმა მ. კალანდძისა
ბარისი } გ. პავლიაშვილი
შალინ, მექარხნე — გ. ნადიროვი
1 მუშა — გ. ლეკიაშვილი
2 მუშა — ა. ახვლედიანი
მოჩვენება — ც. სამთელაძე
ხალხი

ეს გახლდათ პ. კაკაბაძის პირველი პიესა, რომელიც სცენაზე დაიდგა. პიესას დიდი წარმატება ჰქონდა; მაშინვე ითარგმნა რუსულად და იდგმებოდა ბაქოს სცენაზე სათაურით „На распутии“ (ახლანდელი მართლწერით: „На распутии“).

მწერლისა და კრიტიკოსის გ. ციციშვილის ცნობით³ პ. კაკაბაძის ეს პიესა დაკარგულად ითვლებოდა, სანამ ქართული თეატრის ცნობილმა მოღვაწემ გ. ბუნიაშვილმა არ მოიკვლია მის ავტოგრაფს მსახიობი ქალის ნ. ჯავახიშვილის არქივში⁴. იგი იყო მეუღლე რეჟისორ ვ. შალიკაშვილისა, რომელიც 1915-1916 წ. სეზონში მიწვე-

ული იყო ბაქოს ქართულ დასში სამუშაოდ. ვ. შალი-
კაშვილისათვის პიესა გადაუტოვა ალ. წუწუნავას.

3. კაკაბაძის პიესა დაწერილია 1917 წელს. როგორც
ჩანს, ვაგოლაშვიტელი იყო 1917-1918 წ. წ. სოფონი-
სათვის და 1918 წ. 10 თებერვალს, სეზონის მე-6 წარ-
მოდგენად განხორციელებულა კოდეც, როგორც ამას ქა-
რთული სპექტაკლის პროგრამიდან ვიტყვობთ და არა
ორიოდ წლის შემდეგ, როგორც გ. ციციშვილი აღნიშ-
ნავს.

არ იქნება ზედმეტი იმის აღნიშვნა, თუ რაოდენ აქ-
ტუალური იყო ამ დროისათვის ახალგაზრდა დრამატურ-
ტის ეს ერთობელმდებანი დრამა. პიესაში აღწერილი ამ-
ბავი მიმდინარეობს 1917 წლის ორ რევოლუციას შორის
და საქმა დრამატული ელფერი დატკრავს. დღევანდელ
მკითხველს პიესა, შესაძლოა, მიამიტირონ ენეზონს, მაგ-
არ იგი იმდროის რევოლუციური სულითაა გამსჭვალუ-
ლი და, მაშინდელი მაცურებლისათვის უჩვეულო და
მოულოდნელი იყო. ამიტომ პიესის დადგმას ოქტომბრის
რევოლუციის გამარჯვებიდან ასე მოკლე ხნის შემდეგ
დღეოდ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მას
გარკვეული წვლილი შეჰქონდა მსგების რევოლუციური
სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, რადგან პროპაგან-
დას უწყება რევოლუციურ იდეებს, ეს იყო მისი წარ-
მატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

ამასთან დაკავშირებით, ქართული თეატრის ისტო-
რიით დაკავშირებულ საზოგადოებას გვინდა გავაცნოთ
ჩვენს მიერ მიკვლეული მასალები, რომლებიც, ვფიქ-
რობთ, შექმს მოზენენ ზოგიერთ ბუნდვან საკითხს და
მოგვიხიბობენ ქართული საბჭოთა დრამატურგიის ფუ-
ძემდებლის 3. კაკაბაძის პირველი პიესის სცენაზე ფეხის
ადგმის ისტორიას.

ცნობილი ქართველი რეჟისორის ალ. წუწუნავის პი-
რად არქივში, რომელიც დაცულია სსსრ თ. მ. კ. მუზეუ-
მში¹, ინახება თეატრალური კრიტიკოსის ა. ვ. ფევრალს-
კის სამი წერილი ალ. წუწუნავასადმი, დათარიღებული
1948-49-50 წ. წ., რომლებშიც 3. კაკაბაძის ამ პიესას-
თან და მის დადგმასთან დაკავშირებული ჩვენთვის საინ-
ტერესო მრავალი საკითხი ირკვევ². მაგრამ აქვე უნ-
და ითქვას, რომ წერილების გაცნობის შემდეგაც, ბევრი
რამ მაინც ბუნდვანი იყო.

მიემართოთ თხოვნით ა. ფევრალსკის, გაცეა პასუხი
რამდენიმე შეკითხვაზე ჩვენთვის საინტერესო საკითხთან
დაკავშირებით. მართალი გითხათ, იმედს ნაცლებდ
გვექონდა: ამდენი დრო გავიდა და შეიძლება მას აღარც
ხსენებოდა ბევრი რამ. მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ,
პასუხმა არ დააყოვნა, — მოკლე დროში დატეხა და
მოგვაცნოდა მთელი მასალა, რაც მას გააჩნდა ბაქოში და-
დგმულ ამ პიესასთან დაკავშირებით. მათ შორის არის
ალ. წუწუნავის ა. ფევრალსკისადმი მიწერილი ორი ბა-
რათი, ა. ფომიჩევის წერილი ბაქოდან, მისივე ბარათის
ნაწილი, რომელიც წუწუნავს მიუღია და შემდეგ გა-
დაუგზავნია ფევრალსკისათვის, რუსული სპექტაკლის
პროგრამის ფოტოპირი და სხვა.

ეს წერილები ნათელს ჰხვენენ ქართული თეატრის
ისტორიის ბევრ საინტერესო და დღემდე უცნობო
ნდოვან საკითხს. ჩვენთვის ეს წერილები ინტერეს-
იმიოთა, რომ მათში მოცემულია მამონ ახალგაზრდა, და-
მწყები დრამატურგის 3. კაკაბაძის პიესის „ჯვარდინ
გზაზე“ („გზაჯვარდინზე“) საქმიანი და პირუთენელი
შეფასება.

ამჟამად ჩვენ გვაქვს საშუალება მკითხველს გავაც-
ნოთ ალ. წუწუნავის, ა. ფევრალსკისა და ს. ფომიჩევის
წერილები³.

1. ა. ფევრალსკის წერილი ალ. წუწუნავასადმი:

პატივისცემული ალექსანდრე რაფაილის ძე!

სამწუხაროდ, არ მოხერხდა თქვენთან შეხვედრა თბილისიდან ჩემს
გამოგზავრებად, რადგან თქვენ ერევანში ბრძანდებით, რო-
გორც მოხატარი, თქვენ ბაქოში გაგვგზავნათ შეკითხვა 3. კაკაბაძის
პიესის თქვენდამ დადგმასთან დაკავშირებით 1918 წელს. თუ მო-
გზავნათ რაიმე მასალის მიღება ამ სპექტაკლის თაობაზე, გთხოვ
დაშობთ პატივი და მომეცთ საშუალება გავაცნო მას. იქნება ვაგონ-
შიგზავნათ მოსკოვში (აქ მოითხოვლია მისამართი — ო. კ.). ძა-
ლად მინდა შევიტოვო ამ დადგმასთან დაკავშირებულ ყველა წერი-
ლებს და თუცა საქმიანი მასალა მოგროვდება, გამოავაქვთ ცნო-
ბა მის შესახებ, როგორც ნინუალოვლის მძახპრ საბაგოთა თვა-
ბრის ისტორიამ.

თქვანი პატივისცემილი ა. ფევრალსკი⁴.

როგორც წერილიდან ჩანს, ავტორის აზრით, 3. კა-
კაბაძის პიესის (ივლისსებმა „ჯვარდინ გზაზე“ — ო. კ.)
დადგმა არის არა მხოლოდ ქართული თეატრის, არამედ,
საერთოდ, საბჭოთა თეატრის ისტორიაში მნიშვნელოვან-
ი ფაქტი; თუ რატომ, ამას შემდგომი მიმოწერიდან შე-
წევითობ.

ალ. წუწუნავამ თავის ბაქოელ მეგობრებს, როგორც
ჩანს, სთხოვა მოეწოდებინათ მისთვის ცნობები 3. კაკა-
ბაძის ამ პიესის დადგმასთან დაკავშირებით. და აი, 1949
წ. 10/1 ბაქოდან იგი იღებს ს. ვ. ფომიჩევის ბარათს და
ა. ფევრალსკის უგზავნის წერილს ს. ფომიჩევის ბარათ-
ის ნაწილთან ერთად.

14. წუწუნავს წერილიდან ა. ფევრალსკისადმი:

„ალექსანდრე რაფაილის ძე! მითხრობს მითხრობს“

ძალიან ვუსტუხვ, პასუხი რომ დავიცავინებ, მიგზავნა ადარ ჩა-
მოვლოთ, ძალზე ბევრია, მაგრამ ვფიქრობ უფრადგობაშია ან ჩა-
მოხარბოთ. ერთი თვის წინ მთელ ბაქოდან პასუხი და მხოლოდ
ახლა გავგზავნი მას. ვფიქრობ, გამოიყენებთ.

ფომიჩევის პასუხს დავაგზავნებ: კლებს, სადაც სპექტაკლი იდგ-
მებოდა, ენოვდება „მოლდავიური“. მამონ ყველაფერი ჩერ კიდევ
ბაქოელ კომპარტის ხელი იყო. მათი ზეგავლენა და ხელი იგრ-
ძნობოდა ყველაფერში, ბაქოს ცხოვრების ყოველ სფეროში ჩანდა
მათი წამბაროვებელი ძალა.

ალბოში ჰყვარებოდ, ჩემმა მასწავლებელმა და მეგობარმა, მხო-
ვა დაფხარბოვლი ამ სპექტაკლს ორგანიზებაში. სხვა შემთხვევაში
მე ხელს არ მოვკარებდი ამ საქმეს, რადგან მუშონოდა, არ მოვხვე-
დროლოვავი ნარკვარ „სოციალისტთა“ დაწვადებაში. ა. ჰაყარბიძე
გამიქარწულა ეს ორკოვობა.

ფომიჩევა გამაქვირავ ვინ აღტანია, სად არის იგი, რომელ
ქვანა?

ფომიჩევის მხატვრობა ბაქოს რუსულ მშ-ში. (მოზარდ მაცურე-
ბელი თეატრი — ო. კ.). წამყვან მხატვრობად ითვლება, თამაშობს
მთავარ როლებს, მაგალითად, გიორგინიის „რეპუბლიკა“...

პატივისცემილი ა. წუწუნავს.

თბილისი, 10 თებერვალი, 1949 წ.



ამ ბარათს ახლავს ს. ფომიჩევის წერილის ერთი ფურცელი, სადაც პიესასთან დაკავშირებით წერია: „რუსული ენაზე დაიდავ ღრმა ერთ მოქ. „ჭვადრიდნ გზაზე“ კაჟაბაძის, თარგმანი ქართულად ნაღირაძისა. შემდეგ ჩამოთვლილი არიან მონაწილენი: დედა — ბ. ჩერნიაკი; ბორისი — ს. ფომიჩევი; ოლია — შ. ალტმანი; მოჩვევება — ა. კენსიბერგი; შალნი, მეგარხენე — ნაღირი; მუშა — რაშვეიჩი“.

როგორც ვხედავთ, ამ ცნობის ავტორი, სიმონ პეტრეს ძე ფომიჩევი, თვითონ ყოფილა რუსული ენაზე დადგმული სპექტაკლის ერთ-ერთი მონაწილე და, ბუნებრივია, მისი ყოველი ცნობა სანდო უნდა იყოს.

რით იქცევს ჩვენს ყურადღებას ალ. წუწუნავას ეს წერილი? უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ იგი ერთხელ კიდევ მიუთითებს ბაქოელ კომისართა, და კერძოდ, ალ. ჭაფარიძის, დაინტერესებულ თეატრის საქმიანობაზე. მათ მაინცნაობ, რომ თეატრს დიდი აღმშრლებლობითი როლი აკისრია და სწამდათ, რომ ცოცხალ სიტუაცია განსაკუთრებულ ზემოქმედების ძალა ჰქონდა დამიანებზე. ამიტომ იყო, რომ ალ. ჭაფარიძემ მოიხმო ალ. წუწუნავა და სთხოვა სპექტაკლის ორგანიზება. როგორც ჩანს, ალ. ჭაფარიძე გაეცნო პიესის ტექსტს და მისმა მახვილმა თვალი უშალ შუალ შუაშია, რა დადებითი გავლენა შეეძლო მოვლენის რეგულაციურად განწყობილ მასაზე ამ დრომას. რა გზით მოხდა ალ. ჭაფარიძისთან ახალგაზრდა დრამატურგის ეს პიესა?

პ. კაჟაბაძის ოჯახში ახლახან მოგვაროდა ცნობა, რომ პიესის თვით ავტორს გადაუცია თავისი მეგობრის, რეჟისორ ა. წუწუნავასთვის ჭერ კიდევ ბაქოში გამგზავრებამდე. ალ. ჭაფარიძის, როგორც ჩანს, თვითონ ა. წუწუნავამ მიიწვია პიესა.

გასაგებია ალ. წუწუნავას ყოყმანიც, მაგრამ როგორც ვხედავთ, ალ. ჭაფარიძემ შეძლო რეჟისორის დარწმუნება. ფიქრობთ, თვით ავტორისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობა ჰქონდა პიესის სცენაზე ავლერებას — ეს ხომ მისი პირველი პიესა იყო! და მიუხედავად იმისა, რომ პიესა დღეს ერთობ მიამიტურად გამოიყურება, ვასაოკარი, როგორც სწორად და სწორად აუღო ალ. ჭაფარიძის რთული ეპოქის ამ დამაბულ და საინტერესო მონაკვეთის ახალგაზრდა დრამატურგმა. ეს მნიშვნელოვანი თვისება პ. კაჟაბაძეს მთელი მოღვაწეობის მანძილზე გასუცა.

ამისდაპირა ა. ფევრალსკი ბაქოდან მიიღო ს. ფომიჩევის წერილი, რომელშიც იგი პუნქტებად უპასუხებს დასმულ კითხვებზე. მართალია, ჩვენ ხელთ არა ვაქვს ა. ფევრალსკის წერილი, მაგრამ ს. ფომიჩევის პასუხებიდანაც ცხადია, რა შინაარსის იქნებოდა ბარათი.

„ბაქო. 28. IV. 49.

...შე შეიძლება მოხლოდ მცირედით დავაყოფილო თქვენი შეკითხვები (ხოვანა); რამდენად მოგიკითხე. პიესის ტექსტი ბაქოშიც არ აღმოჩნდა. როგორც მახსოვს, პიესა „ჭვადრიდნ გზაზე“ ჩვენს პარატივ ავღოე კერძო თეატრალური ბიზნისიდანაც, რომლის პატრონიც დღეს ცოცხალი ადარ არის და ვის გადევან მისი ბიზნესოადაც, ვერ დავუგანგინ.

სპექტაკლი (ჯავახიშვიტა რუსული — ა. კ.) სულ ორჯერ შედგა, ხანმოკლე პერიოდებით.

შე და ნაღირი პროფესიული მსახიობები ვიყავი (ნაღირი ქართული თეატრის მსახიობი). სპექტაკლის სხვა მონაწილენი კი მოყვარულები იყვნენ.

ალტმანი კი ხოლმე პროფესიული მსახიობი დადგა...
 როგვ სპექტაკლი დადგმული იყო პროფორგანიზაცია (ქართული „Ирра“) მიერ თავისი წევრებისაგან. სპექტაკლი ესწარმოებოდა (ოცდაექვსი კომისრებიდან) ფიშელბერგი და ბასილი. ამას ადასტურებს კიდევ ერთი ამანაგი — იმ ხანდობს მონაწილე, ვეზარად ნეკრასევი, რომელიც აგრეთვე ბაქოში ცხოვრობს.
 გასუთხობ სპექტაკლზე გამონაურება არ ყოფილა, რადგან იმ დროს, ჩემი აზრით, გასუთხობ ნაქვლს ყურადღებას უღობებოდათ თეატრს.

სპექტაკლის აუშა ამ ყოვლია. იყო მხოლოდ პროგრამები. თუ ის, რაც შე შემოძლია გაცნობით თქვენთვის საინტერესო საკითხზე.
 პაბინისცემით ა. ფომიჩევი“.

ამ წერილის მიღების შემდეგ ა. ფევრალსკი წერს ალ. წუწუნავას:

„მოსკოვი, 11 მაისი, 1949 წ.
 ლენინადარბიტველურე ალუპსანდრე რაბაღინის ძმის!“

ვისარგებლუ ბა თქვენი მითითებებით, მივმართე ს. ფომიჩეს შეკითხვით კაჟაბაძის პიესის „ჭვადრიდნ გზაზე“ დადგმისად დაწესებოდა ბაქოში (1914 წ.). მივიღე მისგან ზოგიერთი გამარტება. აგრეთვე სპექტაკლის პროგრამა. პროგრამიდან გადავადვიებინე ფოტოპორტები, რომელთაც კი დავუბურუნე“.

ს. ფომიჩეს წერილის შინაარსი ჩვენთვის უცნობელია და აღარ გავიხივრებულ. სპექტაკლს ჩანს, რომ ა. ფევრალსკი ალ. წუწუნავას უპასუხებს რუსული პროგრამის ფოტოპორტს და მსახიობ ნაღირივთან დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვას უცხვას:

„ხომ არ იცნობთ მას? ცოცხალია თუ არა. და თუ ცოცხალია, სად მივდივარ? იქნებ ეს ნაღირივია და პიესის მთარგმნელი ა. ნაღირივაც ერთი და იგივე პირია?“

სიხივს გაიხსენოს ფიშელბერგი და ბასილიც კარდა ბაქოელი კომისრებიდან კიდევ ვინ ესწარება სპექტაკლს და განაგრძობს: როდესაც ვთავაზობდით გაზუსტის „იხებინა სოვეტ რაბირის ი. სოდელისტის დეპუტატო ბაქონსკოე რაიონი“, 1914 წ., 28(10) თებერვალი № 48, წავაწილე ცნობას საპაროით — „ქართული დრამა“, სადაც ნათქვამია, რომ შუახის, 10 თებერვალს შედგება დრამატული სექციის მორგება სპექტაკლზე. ნაწევრად იქნება სამი ენობოქმედობინი პიესა: „ჯვამდრინ გზაზე“, ღრამაპ ჩვენში რაქონლსუმიშირ დღე-პანდელმოზღან, რომელიც ჯერ კიდევ არ დადგმულა პარტიულ სცენაზე, პაპასანოვი... „დარსისანს ვასპირი“ და კლიაშვილის და „ოთხი იმერელი“, ვოდელიც და. მესხისა...“

ეს სპექტაკლი, თუ კი ის შედგა, ერთი კვირით უსწრებს წართვეტს მიერ რუსულ ენაზე დადგმულ სპექტაკლს: ქართული 28 მარტს ახალი სტილით (10 ძველი სტილით), რუსული — 2 მარტს ახალი სტილით (17 ძველგანს — ძველით).

გამინდა თქვენთვის:
 შედგა თუ არა ფაქტურად ეს სპექტაკლი ქართულ ენაზე? იქვენ ხომ არ დავიგვამო იგი?
 თუ თქვენ დადგა, ხომ არ შეგიძლიათ, უფრო დაწერილებით შემტავობინოთ მის შესახებ? კაჟაბაძის პიესის როლებს შემსრულებლები, რამდენჯერ შედგა სპექტაკლი, იყო ეს პროფესიონალური თუ მოყვარულთა სპექტაკლი და ა. შ.
 იქვენ თუ არ შეგიძლია მონაწილეობა, იქნებ იგი, ვინ იყვენ მისი მონაწილენი?...

მინდოდა შეძლებისდაგვარად აღმედგინა დადგმის ისტორია ამ პიესისა, რომელიც, როგორც ჩანს იყო პირველი რაქონლსუმიშირისა, რომელიც ოპტომობის რაქონლსუმიის უნდნდ ღაწირა?

ა. ფევრალსკის მიერ ამ ვრცელ წერილში დასმულ კითხვათა უმრავლესობაზე პასუხი დღეს უკვე ცნობილია, მაგრამ, მთი უფრო საინტერესოა ჩვენთვის ალ. წუწუნავას პასუხი ამ ბარათზე, რადგან იგი რამდენიმე დამატებით ცნობას შეიცავს პიესისა და სპექტაკლში მონაწილე მსახიობთა შესახებ.

ალ. წუწუნავას წერილიდან ა. ფევრალსკისადმი:

ჩემმა წერილმა დაიკავა, რადგან მინდოდა, რაც შეიძლება სრულად მომხსენებინა თქვენთვის პიესის — „ჩაგრადენ გზაზე“ — შესახებ, მაგრამ ამჟამად ეს ვერ ხერხდება. — საკარო გამოკითხოთ კიდევ ნადირაძის ვაჟს, რომლის მოჯანს დადვიპირდა პ. კაკაბაძე, მაგრამ არ მოიყვანა. ჩემს სიფიქსს სამს გამოკითხეთ, შალვა ნიკოლოზის ძე დადიანმა და კიდევ ორმა მიიზიგეს, რომ ალექსანდრე ნადირაძემ ცოცხალი აღარ არის. იგი მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში და ემბარგოდა ბოლშევიკებს. მანვე (შ. დადიანმა — ი. კ.) თქვა, რომ ა. ე. ვიხნისკის! მისთვის ჩამდენწარმე უიქვანს, რომ ციხეში იქნა ვიკად დადარაქმესან ერთად.

შ. დადიანი ფიქრობს, რომ ეს ის ნადირაძეა, რომელიც ჩვენ გვანტერესებს. ის და მისი მეუღლე მოვიწყობდნენ ქ. წ. კ. გ. ხ. ბაქოა თეატრში. ცოლს ერქვა ანა, მას ალექსანდრე. მაგრამ ეს არ არის ნადირაძე. ნადირაძე, თეატრი, ასტრიაპოლიანი ან სომხალი ნადირაძე კი იყო განაოლებული კაცი და ლიტერატურულ მოღვაწეობას ვერცხდა. სად იმყოფება ამჟამად მისი მეუღლე, ვერ ვერ დავადგინე. მისი შვილიც ლიტერატორია, პიესებს თარგმნის და თვითონაც წერს, მოკლედ ვუჩინაოლიტია...“

ქართული სპექტაკლის შესახებ ა. წუწუნავა წერს, რომ სპექტაკლი მას დადგა, რადგან თვით იყო ამ თეატრის ხელმძღვანელი. მაგრამ ბაქოში მდგომარეობა გაუარესდა. „გამომეგზავნებ, როდესაც მოვლენები მომწიფდება და სპექტაკლები შეწყდება... ვფიქრობ იგი (ქართული პიესა — ი. კ.) მხოლოდ ერთხელ დაიდგა.

ნადირაძე და მისი მეუღლე, მე გვინი, მონაწილეობდნენ, ისინი იყვნენ კარგი მსახიობები, განსაკუთრებით ცოლი იყო ძლიერი მსახიობი.

პიესა უდავოდ იყო ძალზე რევოლუციური, ეყრდნობდა მძაფრ ადვოკატურ თემატიკის პრინციპებს. სიმბოლო — აჩრდილი — სიმბოლო სოციალიზმისა, ასე გვიდგებულებს თვითონ კაკაბაძე“.

ამ წერილიდან ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე საკითხი ირკვევა: პიესაში დიდის როლის შემსრულებელი ა. ნადირაძისა არის ცნობილი მსახიობი ქალი ანა ნადირაძე, მისი მეუღლე ალექსანდრე ნადირაძე რევოლუციურად დაწვენილი კაცი იყო. იგი არის პიესის რუსულ ენაზე მთარგმნელი და, როგორც ჩანს, ბორისის როლის შემსრულებელი რუსულ სპექტაკლში (ს. ფომიჩევის ცნობით). ალ. ნადირაძე, სამუშაობდა, იმ დროისთვის უკვე ცოცხალი აღარ იყო. შეხვდა თუ არა ალ. წუწუნავა ა. ნადირაძის ვაჟს, არ ვიცით, რადგან მიმოიწერა ამაზე წყდება.

მიმოიწერიდან ისიც ირკვევა, რომ გარკვეული მიზეზების გამო ქართული სპექტაკლი მხოლოდ ერთხელ შედგა, რუსული — ორჯერ. მაგრამ მის გარკვეული რეზონანსი ჰქონდა. პიესის ქართულ და რუსულ ენაზე თითქმის ერთდროულ აქტურებს ბაქოს თეატრის სცენაზე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ბუნებრივია, რომ პიესით და სპექტაკლით დაინტერესდნენ ბაქოელი კომისრები ჯაფარიძე, ფილიტოვა და ბასინი. არც ის არის გამორიცხული, რომ სხვა ბაქოელი კომისრებიც დაინტერესდნენ წარმოდგენით¹². ეს საყოველთაო ინტერესი პიესისა და სპექტაკლისადმი ავტორების ახალბედა დრამატურგის პ. კაკაბაძისა და გამოცდილი რეჟისორის ალ. წუწუნავას ერთობლივი გამოარჩევა იყო.

თავისი წერილის ბოლოს ალ. წუწუნავა იძლევა პიესის შეფასებას და იგი მით უფრო საყურადღებოა, რადგან პიესის ძირითადი აზრის, სიმბოლოს (ქართული პროგრამის და პიესის მიხედვით — მოჩვენებითაა — ი. კ.) შეფასება, როგორც სოციალიზმის სიმბოლისი, პ. კაკაბაძის მიერ არის დადასტურებული.

აქედან სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ პ. კაკაბაძის პიესის — „ჩაგრადენ გზაზე“ — სცენური ხორცშესხმა უდავოდ ნიშანდობლივი ფაქტია ქართული და საბჭოთა თეატრის ისტორიაში.

შენიშვნები:

- 1 ლ. ყურულაშვილი, „ქართული თეატრი ბაქოში“, თბ. 1974 წ. გვ. 140-141.
- 2 ფონდი 54, № 20477 2/18 20823
- 3 გ. ციციშვილი, „ქართული საბჭოთა დრამატურგია“, ნაწილი პირველი. თბ. 1962 წ. გვ. 215.
- 4 შეიწმობით დადგინდა, რომ ნ. ჯავახიშვილის არქივში პიესის ავტორადი დღის რედაქტორია, ვფიქრობთ, იგი დაუბრუნდა ავტორს. გამოქვეყნებულია წიგნში: პოლიკარბე კაკაბაძე, დრამატული პოეზია 11, თბ. 1973 წ. გვ. 475-502; სათაურით: „გზაჯვარედინზე“.
- 5 ლ. ყურულაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 115.
- 6 ფონდი 1, საქმე 121 № 15; № 19715 და № 19716.
- 7 პ. კაკაბაძის ამ პიესასთან დაკავშირებით თბ.: ა. ფეერალსკი, საბჭოთა თეატრის პირველი წლები. ქ. საბჭოთა ბელოვენა, 1957 წ., № 10, გვ. 21.
- 8 მადლობას მოვასხენებთ ა. ვ. ფეერალსკის გულისხმიერებისათვის და იმის გამოც, რომ დაგვითხრა ნება ამ მიმოიწერის ძირითადი ნაწილი გამოგვეყვანებინა. გვაჯავობთ ჩვენეულ თარგმანს, ვიცავთ ქრონოლოგიურ პრინციპს და ავტორთა სტილს, ალგა-ალგ ვასწორებთ ორთოგრაფიას და პუნქტუაციას. ხაზასამა ყველგან ჩვეინა.
- 9 თბ. ლ. ყურულაშვილი, დასახელებული წიგნი.
- 10 ბარათის თარიღი არ უნის, მისი დადგენა მოვიცხად კონკრეტულ დასმულეულ შტამის მიხედვით.
- 11 ა. ვიხნისკი — ცნობილი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, ერო დროს სსრკ სავარო საქმეთა მინისტრი.
- 12 შლდ. გ. ციციშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 218.

შეიქმედების აქტივობა როგორც აღაშენის

სულიერი მოღვაწეობის ერთ-ერთი უორკა

ლია ჯიქია

მხატვრული კულტურა დიდად უწყობს ხელს პიროვნების ზნეობრივ და გონებრივ სრულყოფას. რაც უფრო მდიდარია აღმავანი სულიერად, რაც უფრო ღრმაა მისი იდეური რწმენა, მით უფრო აქტიურად დგება იგი საზოგადოებრივ სამსახურში. თანამედროვე ტექნიკური რევოლუციის პირობებში, საზოგადოების განვითარება და პროგრესი, დიდად არის დამოკიდებული მხატვრული კულტურის განვითარებაზე.

საერთოდ, ყოველ აღმავანს აქვს მისწრაფება გამოხატოს თავისი შინაგანი სამყარო, რომელიც გარე სამყაროსთან და სკანებთან გარკვეული ურთიერთობის პროცესში ყალიბდება. შინაგანი სამყაროს გამოხატვის პროცესის საფუძველზე აღმავანი თავისი ფსიქიკური სისტემის ორგანიზებას ახდენს. ბუნებრივია, ეს შინაგან დაძაბულობას იწვევს. სწორედ ასეთი შინაგანი დაძაბულობა, ერთგვარი დაქიმულობა აძლევს აღმავანს შემოქმედების სტიმულს, რაც შემდგომში აქტიურობის დასაბამს იძლევა.

აღმავანი, როგორც პიროვნება, ავლენს თავის თავს, მოქმედებით. საკუთარი შინაგანი სამყაროს ვაგება და გამოხატვა დაძაბულ, მეტად რთულ აქტივობას წარმოადგენს, რომელიც პიროვნების მთელი ძალების ერთგვარ მობილიზებას და მოხმარებას თხოულობს, რის საფუძველზედაც აღმოცენდება შემოქმედებითი აქტივობა. შემოქმედებითი აქტივობის აღმოცენებისათვის, აღმავანს გარკვეული პირობები, შემოქმედებითი სიტუაცია სჭირდება, რომლის საფუძველზეც უყალიბდება შემოქმედებითი განწყობა. სწორედ აქ იღებს სათავეს შემოქმედებითი ძალა და აქვე უნდა ვეძიოთ შემოქმედებითი პროცესის საფუძველი. ამგვარად, შემოქმედებითი აქტივობის საფუძველს წარმოადგენს განწყობა, რომლის შექმნაში გადამწყვეტ მონაწილეობას ღებულობს: ობიექტური ფაქტორები. საერთოდ, აღმავანის ყოველგვარი

მოქმედება განწყობაში, საგნათა და მოვლენათა წინასწარი გათვალისწინებით ურთიერთმოქმედების გარეშე ხდება.

აღმავანში შემოქმედებითი ძალა იღვიძებს იმისდა მიხედვით, მოქმედებს თუ არა აღმავანი შემოქმედებითად; სწორედ გარემოსთან ასეთ შემოქმედებით ურთიერთკავშირს მოაქვს აღმავანისათვის კმაყოფილება, რომლის დროსაც იგი არა მარტო ასახავს თავის ცხოვრებაში ობიექტურ სამყაროს, არამედ კიდევაც ჰქმნის მას.

შემოქმედებითი პროცესის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა შთაგონებაა. შთაგონების დროს აქტივობა მიმართულია შიგნიდან, რომელიც თვით პიროვნებიდან გამომდინარეობს. შემოქმედებითი მოქმედება შინაგანი, ბუნებრივი მოთხოვნისგან, პიროვნების მიერ ინდივიდუალურად განცდილი „იდეების“ რეალიზაცია ისეთ ფორმებში, რომელთა შემოვლითაც ვლტულობს სწორედ შემოქმედებითი აქტივობის პროდუქტს, როგორც ობიექტურ რეალობას. ამგვარად, აღმავანის შემოქმედება ეს არის ფაქტურად ახალი იდეის დასახვა. თვით აღმავანის ცხოვრებაც კი შემოქმედებაა, სადაც აღმავანი შემოქმედად გვევლინება. დღეს, როცა ყველა პირობაა შექმნილი შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, შემოქმედითი პიროვნების ფორმირების პროცესი ადრეული ასაკიდანვე უნდა იწყებოდეს. მოსწავლე-ახალგაზრდებში შემოქმედებისადმი მიდრეკილების განვითარება მეტად ღრმა და რთული საკითხია. იგი არ წარმოადგენს მხატვრის, მუსიკოსის, ან მწერლის გარკვეული პროფესიისაკენ მიმავალ საფუძვლს. ეს არის საერთო გეზი მთლიანად პიროვნების განვითარებისაკენ. ეს ბავშვებზე პედგოგოური შემოქმედებით მათი აღზრდის ძირითადი გეზია. ამიტომ, ბუნებრივია, სასკოლო პედგოგიკის წინაშე

იშლება მეტად რთული და საინტერესო გზა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვებში შემოქმედებითი პოტენციალის გაღრმავებასა და განვითარებას. ბავშვის ყველა პირობა უნდა შეექმნას, რომ გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი სწრაფვა ერთ რომელიმე დარგში, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება მის მოთხოვნილებასა და ინტერესებს. შემოქმედებითი სწრაფვისა და განსაკუთრებით შესაძრწევია ემოციური მხარის აქტიურობა. ემოცია თავისებური მამოძრავებელი მხარეა შექმენების პროცესისა.

ემოციური მხარის გააქტიურებასთან ერთად, შესაძრწევი ხდება ცნობისმოყვარეობის ინტელექტუალური ხასიათის გრძნობების გაღვივება, რითაც იწყება ესთეტიკური განცდის მარტივი გამოვლენები, რაც შემდგომში გადაიზრდება ინტელექტუალურ და ესთეტიკურ გრძნობებაში.

შემოქმედება, პირველ რიგში, თავს იჩენს ფანტაზიის სფეროში, იძენდა, რამდენადაც, სწორედ ფანტაზიის მეშვეობით აღმოცენდება ის ახალი სახეები, რომელსაც გადაამუშავებს აზროვნება.

შორეული დროიდან, როცა პირველად შეეცადა თავისი საკუთარი აზროვნების შესწავლას, ადამიანმა, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მიაქცია მსჯელობას, როგორც აზრის გამოხატვის აუცილებელ და საყოველთაო ერთეულს.

მსჯელობა აზროვნების ლოგიკური ფორმაა, რომელიც საგნისა და მისი გარკვეულობის უშუალო ერთიანობას ასახავს აზრით. ამიტომ მსჯელობა, შეიძლება განისაზღვროს როგორც აზრთა კავშირი. მსჯელობა აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი საგნის ასახვისათვის.

გარეგანი სამყარო და საგნები აისახება შემოქმედებითი განწყობის საფუძველზე, რომლის დროსაც ხდება მხატვრული გრძნობების ფორმირება, რომელიც შინაგანად განპირობებულია სწორედ შემოქმედებითი იმპულსით.

ამ შემთხვევაში ინდივიდი არა ობიექტური გარემოს ასახვის ამოცანას ემსახურება, არამედ საკუთარი თვალის დანახული, საკუთარ „მე“-სთან მიმართებაში მყოფი სამყაროს გამოხატვას ცდილობს, რომელიც პიროვნების შინაგან სამყაროს ემყარება. ამგვარად, შემოქმედებითი აქტივობა, შემოქმედებითი ძალა, დაზოკიდებულია გარემო სამყაროსთან. სწორედ გარემოსთან ურთიერთდაკავშირის საფუძველზე მოქმედებს ადამიანი შემოქმედებითად, რომელსაც საფუძველად უდევს სწრაფვა საგნისა და მოვლენათა შექმნების შემოქმედებითი მუშაობისათვის. ინდივიდს მასაზრდობეულ წყა-

როს აწევის განწყობა: ფანტაზიის მეშვეობით, რომელიც შემოქმედს, მთელი შემოქმედებითი პროცესის მანძილზე გასდევს, იგი ადამიანის შინაგანი ცხოვრების ისეთი გამოხატულებაა, როგორც მხატვრული გრძნობა, რომელიც მკიდრო ურთიერთდაკავშირშია ფანტაზიასა და აზროვნებასთან. ამგვარად, შემოქმედებითი აქტივობის დროს აზროვნება, ფანტაზია და გრძნობა მკიდრო ურთიერთდაკავშირში იმყოფებიან, მანამ, სანამ არ წამოიშლება „შემოქმედების პროლექტი“.

ინდივიდის გრძნობათა განცდები, რომელიც დაკავშირებულია მის შეხედულებებთან, შედის რთულ ურთიერთმოქმედებაში ემოციურ ქსოვილთან და წარმოებს თავისი პირადი გრძნობის მობილუზება, სადაც ვლინდება თვით განცდის შემოქმედებითი აქტიური ხასიათი, რაც შემდგომში იძლევა შემოქმედებითი აქტივობის საფუძველს.

ღღეს ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებას ყველა წინამძღვარი გააჩნია შემოქმედებითი პიროვნების ფორმირებისათვის, სადაც პირველ რიგში ყურადღებათა თვითუღოს ინდივიდუალური თავისებურებანი, რომელიც ყალიბდება უპირველესად კარგ შემოქმედებით ატმოსფეროში. გ. ა. სურამლინსკი აღნიშნავდა, რომ „ბავშვები უნდა ცხოვრობდნენ სილამაზის, ზღაპრების, მუსიკის, მხატვრობის, ფანტაზიის, შემოქმედების სამყაროში. ეს საშუალო უნდა ერთგვარად გასდევს მათ შინაგან, როცა ჩვენ გვინდა ვასწავლოთ მას წერა და კითხვა“.

სწორედ მისი ცნობიერების პირველი საფეხურის გავლისას ადრულ განცდაზეა დამოკიდებული მთელი მისი შემდგომი გზა ცოდნის დაღვლებინა. ამიტომ სასწავლო სააღმზრდელო მუშაობაში უნდა შეიქმნას ყველა პირობა ბავშვების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისათვის, რაც, ამავე დროს, ხელს შეუწყობს მათი ესთეტიკური განათლების სრულყოფას. ა. ვ. ლენინარსკი წერდა, რომ ესთეტიკური განათლების ქვეშ უნდა ვივულისდნენ არა რომელიმე გამართვებული საბავშვო ხელოვნების სწავლება, არამედ სისტემატური განვითარება გრძნობის ორგანიზება და შემოქმედებითი ნიქისა“.

ამ სოციალისტურ-პედაგოგიური ამოცანის გადაწყვეტა ჩვენს ქვეყანაში დაკისრებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო და სამხატვრო სკოლებს. საბჭოთა სკოლაში, მოსწავლის შემოქმედებითი მოღვაწეობა სასწავლო პროცესში სულ უფრო მასიური ხდება, სადაც მოსწავლეებს უმუშევრდება უნარი აზარტო ხელოვნებაში მშვენიერების დანახვისა და გაგებისა, არამედ თვითონაც შესწევთ უნარი ამ მშვენიერების შექმნისა.



უკანასკნელ წლებში, კულტურის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ახალი სახე სასწავლო დაწესებულებებისა, სადაც მოსწავლეები ეუფლებიან და ეცნობიან ხელოვნების სხვადასხვა სახეებსა და ხელოვნების ისტორიას. ასეთ სასწავლებელთა რიცხვს ეკავთენება ხელოვნების სპეციალური კლასები, სკოლა-კომპლექსები, ხელოვნების სკოლები.

ჩვენს რესპუბლიკაში, მოსწავლეთა ყოველმხრივი განვითარების მიზნით, საქართველოს კულტურის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ა. ვირსალაძის სახელობის „ხელოვნების სკოლა“, რომელიც მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდისა და ხელოვნების სახეების მეშვეობით მათი ყოველმხრივი განვითარების კერას წარმოადგენს.

ა. ვირსალაძის სახელობის „ხელოვნების სკოლა“ ყველა პირობა აქვს შექმნილი მოსწავლეთა პარამონულად განვითარებული პიროვნების ფორმირებისათვის, რაც მოითხოვს ესთეტიკური აღზრდისადმი კომპლექსურ მიდგომას, ყველა სახის მხატვრული ციკლის ურთიერთ ზემოქმედებისა და ურთიერთკავშირის საფუძველზე.

ა. ვირსალაძის სახელობის „ხელოვნების სკოლაში“, სადაც სამი განყოფილებაა — საფორტეპიანო, სახეითი და ქორეოგრაფიული — უნდა გადაიჭრას ზემოთ ჩამოთვლილი ხელოვნების სახეების ურთიერთკავშირების პრობლემა. ამისთვის საჭიროა გამოიმუშავეს ახალი სინთეზური ფორმა სწავლებისა, რომელიც ყველა სასწავლო საგანს დაკავშირებს ერთმანეთთან, ეს კი მოითხოვს მეთოდის, რომელიც მოგვცემს საშუალებას დაამყაროს კავშირი მუსიკისკილიტრატურის, სახეითი ხელოვნებისა და ქორეოგრაფიის გაკვეთილებს შორის. სწორედ ამან განაპირობა ხელოვნების სკოლაში ხელოვნების სხვადასხვა სახეების მეშვეობით შემოქმედებით აქტიურობის განვითარების პრობლემის აქტუალობა, რაც მოსწავლეთა აქტიური, დამოუკიდებელი მოქმედების საწინდარია და თავისთავად ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბებას.

შემოქმედებითი აქტიურობის მეშვეობით უნდა მოიხებნოს სწავლების ისეთი ეფექტური საშუალებები, რომელიც, ერთის მხრივ, გამოიწვევს მოსწავლეთა დანტერესებას, ხოლო მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს ესთეტიკურად განვითარებული პიროვნების ფორმირებასა და სრულყოფას.

ამ ამოცანების განხორციელება კი შესაძლებელია სკოლაში ხელოვნების ყველა სახის კომპლექსური გამოყენებასა და აღქმის შესწავლის საფუძველზე.

ზუნებრივია, ხელოვნების სკოლის ერთერთ ძირეულ ამოცანას უნდა წარმოადგენ-

დეს ხელოვნების თითოეული სახის წარმართვის აღქმის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ბავშვებს მაღალ-მეცნიერულ, ესთეტიკური კრიტერიუმების დაუფლებაში. ეს კი თავისთავად იმის საწინდარია, რომ მოსწავლეებმა შემდგომში შესძლონ ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოებების სწორი შეფასება და განაწილება, რაც დიდ დამატარებას გაუწევს ბავშვებს ესთეტიკური ინფორმაციის დიდი ნაჯდის სწორად აღქმაში.

ხელოვნების სკოლაში მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს. მათი შემოქმედებითი გრძობის განვითარების გზით, სადაც თითოეული მოსწავლე შესაძლებს შეიგრძნოს საკუთარი „მე“, შეიგრძნოს გარე სამყარო და მოვლენები, რაც დაეხმარება მათ შემოქმედებითი მონაცემების გამოვლენა და განვითარებაში. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლაში მხატვრულ-საგანმანათლებლო და მხატვრულ-სააღზრდლო მუშაობას, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს როგორც სასწავლო პროცესში, ასევე კლას-გარეშე მეცადინეოებისა, დამოუკიდებელი შემოქმედებითი მოღვაწეობის სახით, რომლის შემწეობითაც დადებითად იქნება გადაჭრილი მოსწავლეთა შემოქმედებითი პიროვნების ფორმირების საპასუხისმგებლო ამოცანა. ხელოვნების სკოლა უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა მხატვრული ნიჭიერების ყოველმხრივ განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს მათი სულიერი მოთხოვნილების, სიმშვენიერის, სილამაზის და პარამონის წვდომის უნარს, ესთეტიკური გემოვნების, იდეალების, ცოდნის, უნარის და ისტატივის გამოიმუშავებას სოციალისტური საზოგადოების იდეალების შესაბამისად. სკოლა უნდა უზრუნველყოს, მოამზადოს მსმენელები, მაცურებლები, მკითხველები თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე — „მთავარია, რომ სკოლა არა მარტო იძლეოდეს კონკრეტული ცოდნა-გამოცდილების, ცოდნა-განათლების, ცოდნა-ჩვევების გავს, არამედ იგი უნდა ასწავლიდეს მოსწავლეს და მათეუკიდებელი დასკვნების გაკეთებას ამ ცოდნის ბაზაზე, ნერგავდეს შემოქმედებითი აზროვნების ჩვევებს“.

ა. ვირსალაძის სახელობის ხელოვნების სკოლაში, სადაც მოსწავლეები ეცნობიან ხელოვნების სახეებს, ფართო შესაძლებლობა იშლება მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების, მხატვრული შეხედულებებისა და იდეების, ესთეტიკურ ფასეულობათა გაგებისა და ესთეტიკური აღზრდისათვის, რაც მოსწავლეთა ესთეტიკური მოთხოვნილების, ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების საწინდარია.



ჭაჭის ისტორიიდან

განტანგ ჯალიაშვილი

ჭაჭი მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფორმაა. იგი უფრო სერიოზულია, ვიდრე გასართობი, მაგრამ მას მსუბუქი მუსიკისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თვისებაც ახასიათებს. ჭაჭის თავისი განვითარების ისტორია და კანონები აქვს და იგი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტანდარტების მეშვეობით უნდა განიხილით. მან უშოკლეს დროში გაიარა განვითარების რამდენიმე სტადია და დღესაც ამდიდრებს მუსიკალურ ხელოვნებას ახალი შემოქმედებით იღვებთა და მონაპოვრებით. აღსანიშნავია, რომ ჭაჭი, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, ძირითადად, საცეკვაო ფუნქციებს ასრულებდა. მხოლოდ 40-იანი წლების ბოლოდან დაიშვილრა მან ღირსეული ადგილი, როგორც ახალმა, მეტად ორიგინალურმა და თვითმყოფადმა ხელოვნებამ.

ჭაჭის უმთავრესი თვისება ის არის, რომ იგი უშუალოდ შესრულების პროცესში იქმნება და ასეთი სახით აღარასოდეს აღარ განქორცილდება. კლასიკური მუსიკის ნებისმიერ ნაწარმოებს შინაგანად არსებული მელიანობა აქვს იმისდა მიუხედავად; თუ ვინ ასრულებს მას. ჭაჭში კი უშუალოდ შემსრულებელი კმეის მუსიკას. თუ კლასიკური მუსიკის ისტორია კომპოზიტორების ჩამოყვლით შეიძლება წარმოვადგინოთ, ჭაჭური მუსიკის ისტორია შემსრულებლების

ისტორიაა. უმეტეს შემთხვევაში ჭაჭური იმპროვიზაცია შესრულების პროცესში იქმნება. თუმცა ჯელი როდ მორტონის, დიუკ ელინგტონის, ჩარლი მინგუსის და სხვების შემოქმედებაში ხშირად გვხვდება იმპროვიზაციის სხვაგვარი შესრულება. მაგალითად, ელინგტონის ორკესტრის ზოგიერთი სოლო პარტია თავიდან ბოლომდე ფიქსირებულია ნოტებზე.

დროთა განმავლობაში ჭაჭური მუსიკის შესრულებაში დიდი ცვლილებები მოხდა. თუ ადრეულ პერიოდში მუსიკოსებს სმენით უკრავდნენ, 30-იანი წლებიდან დღემდე ძნელია მოიხეხნოს ჭაჭის მუსიკოსის სპეციალური მუსიკალური განათლების გარეშე.

ბერეს ჰგონია, რომ ნებისმიერ მუსიკოსს შეუძლია შესარულოს ჭაჭური მუსიკა წინასწარი სპეციალური მომზადების გარეშე. კუშმარიტად მაღალი დონის ჭაჭის შესრულებისთვის კი რიტმის განსაკუთრებული შეგრძნება და დიდი იმპროვიზაციული ნიჭია საჭირო, რითაც უხვად არიან დაზარალებული ჭაჭური მუსიკის ცნობილი ისტატები.

ჭაჭი ხელოვნების ახალი დარგია. ამიტომ, რაც უფრო ფართო აუდიტორია გაიცნობს მას და ცნობილ შემსრულებლებს, მით უფრო ადვილ იქნება ჭაჭის პოპულარიზაცია, მით უფრო ნათელი გახდება განხ-

ვაყენე პეშპორტ ხელოვნებასა და იაფუაიან დასავ-
ლურ მკაულატურას შორის.

ჭაჭური მუსიკის სათავეებს მიეკუთვნება შორეულ
წარსულთან. XV საუკუნის პოლის, ამერიკის აღმოსავ-
ლის შემდეგ, ბევრმა ევროპელმა მიახლოება ახალ კონ-
ტინენტს. ისინი ხაზგასმობდნენ ახალ მიწაზე და ცეცხ-
ლითა და მახვლით უწარმდებდნენ ადგილობრივ
ინდიელ მოსახლეობას. XVIII საუკუნის შუა წლები-
დან გაჩაღდა ზანგი მონები ევროპა და მათი მახი-
ური გადმოყვანა ამერიკაში. ისინი ძირითადად აფრი-
კის დასავლეთ სანაპიროდან მომავალით (სენეგალი,
დაკომბა, სილიოს ძვლის ნაპირი, კონგო). ბრაზილია-
ში, ვესტ-ინდიების კუნძულებზე (იამაიკა, კუბა,
ჰაიტი) და სხვა ტერიტორიებზე ევროპელებმა კოლო-
ნიები დაარსეს, სადაც ზანგებმა მათი ქრისტიანობა
მიიღეს. ინგლისელები პრიტეტანტულ რელიგიას მი-
ხედვდნენ და თავის კოლონიებში (მათ შორის იამა-
იკაზე) ზანგებს, რიტუალურ ცეცხლებს და სიმღერე-
ბის შესრულებას, მათთვის დამახასიათებელ ფუნქ-
ციას ბაყუნა და ბუნენას უკრავდათ. კათოლიკე
ესპანელები და ფრანგები უფრადლებს არ აქცევდნენ,
თუ როგორ ერთობდნენ ზანგი მონები თავისუფალ
დროს და ბუნებრივია, რომ მათ კოლონიებში უფრო
შეზღვენიან აფრიკელი მუსიკის ელემენტები. ამის
მიზეზი შესაძლებელია იყო ის, რომ ფრანგების და
და განსაკუთრებით ესპანელების რიტუალი მუსიკა,
თავისი შემართებით, უახლოვდებოდა აფრიკელი ზან-
გების ცეცხლოვან რიტმებს. ზემოაღნიშნული კუნძუ-
ლები ერთგვარ ანტიფრანგ წინააღმდეგობას, სადაც
ხაზებიან ევროპელი და აფრიკელი მუსიკალური
ელემენტების თანდათანობითი შერევა, რომელმაც
შემდგომ თავის უმაღლეს წერტილს ქალაქ ახალ-ორ-
ლანდში მიაღწია. ეს ქალაქი სამართლიანად ითვლება
ჭაჭური მუსიკის საშობადლოდ.

ახალი ორლანდი 1732-44 წლებში ფრანგების ხელ-
ში იყო და თმცა შემდეგ 30 წელი ქალაქი ესპანე-
ლებს ეკუთვნოდა, მაინც მალე დაიდა იყო ფრან-
გების ზეგავლენა როგორც კულტურულ, ისე სოცია-
ლურ და სხვა სფეროებზე. 1801 წელს ნაპოლეონ
ბონაპარტემ ახალი ორლანდი საფრანგების დაუბრუნა,
მაგრამ სულ მალე, 1803 წელს, მანვე ქალაქი ამერი-
კის შეერთებულ შტატებს მიჰყავდა. როგორც ვხე-
დავთ, ახალი ორლანდის ისტორია საქაოლ მრავალ-
ფეროვანია. ხელიდან ხელში გადასვლამ, საუცხოო
გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მრავალმა სხვა ფა-
ქტორმა ხელი შეუწყო ამ ქალაქში მდიდარი მუსიკა-
ლური ატმოსფეროს შექმნას.

ზანგი მონები ახალ ორლანდში ძირითადად კუნძულ
ჰაიტიდან ჩამოყავალი, სადაც ფრანგების მიერ აფ-
რიკიდან გადმოყვანილი დაჯიშული ზანგები ცხოვ-
რობდნენ. აქაური მოსახლეობის ერთ-ერთი რიტუა-
ლური კულტის „ჰოლდენის“ რიტმის საფუძველად ითვლება
მომავალი ჭაჭური მუსიკის ძირითად ტალღისებურ
რიტმს „სვინგს“ (Swing).

ქალაქის ერთ-ერთი მოედანი კონგოს სახელს ატა-
რებად. აქ ხშირად გამოიხილდნენ ზანგები და შეკრე-
ბილ ხალხს თავის ოსტატობას უჩვენებდნენ. მოცე-
ვაკები, მომღერლები და თვინავით სარკვევებზე დამ-
კრებიანი ევროპელი მელოდიების და ამერიკელი
ხალხური მუსიკის შეტად ორიგინალურ ევრსიებს
საოჯახოდნენ მზუნველებს. თეთრიანაინი მოსახლეობა
საკრულად ეცნობოდა ფართო მასშტაბით ზანგების
საშემსრულებლო ხელოვნებას.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მოკლედ გა-
ვეცნობით ზანგური მუსიკისთვის დამახასიათებელ
მუსიკალურ ნიშნებს, რომლებიც მომავალი ჭაჭური
მუსიკის განუყოფელი ნაწილი გახდა.

ვისაც ერთხელ მაინც მოუხმენია აფრიკელი მუსი-
კა, ან უნახავს მისი შესრულება, თვალში მოხვდება
რიტმის განსაკუთრებული, წყნარია რილი. ამის მი-
ზეზია ის, რომ აფრიკაში მელოდები მომღერლებზე
კომპლარტული არაა, რადგან აქაური რელიგიის
თქმით დღილიან ღმერთები ლაპარაკობენ. აფრიკელ
მუსიკაში მელოდების რიტმი შეიძლება იყოს ორი,
სამი ან ოთხი. დღესაც ვხვდებით სხვადასხვა დოლ-
სიგან შემდეგარ ანსამბლს, სადაც დიდ დოლს „მამას“
უწოდებენ, ხოლო პატარას — „დედას“. ჩამდინებ
დოლსიგან შედგენილი ასეთი „ორკესტრი“ ასრულებს
თავიდან თავიანთი გადაცემულ ტრადიციულ რიტ-
მებს. სექციალური ანალიზის საფუძველზე გამოირკვა,
რომ დასავლეთ აფრიკელი მელოდები ერთდრო-
ულად იუენებენ 3/4, 4/4, 6/8 და დამატებით 5/4 მე-
ტრებს, თითქმის ორცენტრია ერთდროულად ურკავს
ვალსს, უან-სტებს და ფოქტრატს. წარმოიქმნება კო-
ლირიტმის საყარად მომიხვედელი და ამადლევეუ-
ლი სურათი. ჭაჭურ რიტმებს, მართალია, უფრო
კავშირი აქვთ აფრიკელთან, მაგრამ ამ უკანასკნელ-
თან შედარებით ისინი გათვლებით მარტივია.

აფრიკელი მუსიკის (განსაკუთრებით დასავლეთ
აფრიკის) მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია ე. წ.
„ძახილი და პასუხი“ (Call and response)
რაც მუსიკისმეცნიერებმა ანტიფრანგი სიმღერის
ცნობილი. როგორც ვხეობთ იყო აღნიშნული ზანგებ-
მა ამერიკაში ქრისტიანობა მიიღეს და აშენეს საკუ-
ლური ელემენტები, სადაც წირავალიცაა ექნებდნენ.
ქადაგებისას მქადაგებლის დოცეს (ძახილი) შეტე-
ბილი ხალხი ეტადა უპასუხებს (პასუხი). „ძახილი“
რიტუალურ ვარიაციებს მრავალფეროვნებით ხსითა-
დება, ხოლო „პასუხი“ სრულდება ზუსტად განსაზღ-
ვრულ რიტმში. ასეთი მონაცვლეობის ტექსტს არ
ენიკება დიდი მნიშვნელობა, რაც საერთოდ დამახა-
სიათებელია აფრიკელი მუსიკისთვის (ძახილსა და
პასუხს შემდგომში უწოდებთ „საპასუხო რეაქცია“).
საპასუხო რეაქცია ჭაჭური მუსიკის გამოყენების პო-
ლობს, სამაგალითია ამ ფართო შესანიშნავი ზანგი მომ-
ღერალი ქალის ბუნი სიმბის მიერ შესრულებული
ბლუზი „Empty Bed Blues“, როდესაც მომ-
ღერლის ნაღველი კულმინაციას აღწევს, ჩარლი
„ბოგ“ გრინი ტრომბონის სპეციფიკური გამოქმნილი
თქმისუბნება მას. დიდ ჭაჭურ რიტმებში სპა-
სუხო რეაქცია“ სრულდება შემდეგნაირად: თუ მე-
ლოდიას იწვევს სასოფონების ჭავთი, ფრანსი დამ-
თავრების წინ მას სასუხოზე ტრომბონები და საკვი-
რები, ანდა პირპიტი, საყვარებს და ტრომბონების
პარტია ეხმარება სასოფონების ჭავთი.

„საპასუხო რეაქცია“ გვხვდება აგრეთვე ამერი-
კელი ზანგების შრომის სიმღერებში (Work Song),
სადაც საკამარის იყო ორი მომღერალი და მომღ-
ერალი და სარკავი, რომელმაც შეიძლება „პასუხის“
შესრულება. ახალ ინგლისში (ამერიკის შეერთებულ
შტატების უილიჯრები ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწი-
ლი) ქერ კოდუე XVII საუკუნეში არსებობდა სიმღ-
რები, სადაც გამოყენებული იყო „საპასუხო რეაქ-
ცია“, მოკავანებით დიდ ქალაქებში ისინი დაიწვე-
ბას მიეცა, მაგრამ სოფლებს შემორჩა. მომღერლები

ასრულდნენ მელოდის საკუთარ ვარიაციებს (ანუ ასრულდნენ იმპროვიზაციას).

აფრიკული წარმოშობა აგრეთვე მომდებლად ან მუსიკის მიერ შესრულებული ბგერის უცნაური არტიკულაციით გადოცემული სხვადასხვა სახის შეძახის, რომელიც „ფაუცტური შეძახილით“ არის ცნობილი. ისინი აფრიკული კუბოების, მწეწრისმანების, ან ზამბის მკრეფავების სპეციფიკურ წამოძახლებას მოკავაზდნენ.

ახლა კი ვნახოთ, თუ რა შედეგი გამოიღო ევროპული და აფრიკული მუსიკალური ელემენტების შეერთება და აღნიშნული ზოგიერთი ფაქტორი, რამაც განაპირობა ჩაწერილი მუსიკის წარმოშობა XIX საუკუნის მწეწრულად.

ასეთი სინთეზის პირველ ნიმუშად ითვლება ინგლისელთა კოლონიებში ჩახსებადი პროტესტანტული საეკლესიო ჰიმნი „სპირიტუალი“ (Spirituals). რომელიც ფართოდ გავრცელდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ამ მიმდინარე საფუძვლად ედო ევროპული ჰარმონია, რომელიც შეღავათებულ იყო ე. წ. ბლუზური ნოტებით (Blue Notes). ბლუზური ნოტები მთელ მუსიკას წინადასა და სენტიმენტალურ იერს აღედგინა, „საანახო რეკვიამი“, „ფაუცტური შეძახილები“ და ფართო, გავლილი მელოდია კი მონოლოდურ მთლიანობას ანიჭებდნენ.

XX საუკუნის შუა წლებში თანდათან ჩამოყალიბდა და პოპულარობა მოიპოვა ლირიკული ხასიათის ზანგურმა სოლო სიმღერებმა „ბლუზებმა“ (Blues), რომლებშიც „სპირიტუალებისგან“ განსხვავებით სპარტობდა უფრო „მწიფერი“ გაცემების თემატიკა. რეგორია გაგრძელებული საეკლესიო, შიშობილურ კუთხის მონაყვარილი ადამიანის ნაფიქრი, შვილის გლოვა და სხვა. დროთა განმავლობაში განვითარდა ბლუზი უფრო მზიარული, ცოცხალი ნარსახეობად.

